თანასწორობის პოლიტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

ანგარიში მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის მიერ, „ღია საზოგადოების ფონდის“ (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია საია და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი, მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას.

კვლევის ავტორები: გიორგი ჭანტურია
მერი ქადაგიძე

კვლევის ხელმძღვანელები: მერაბ ქართველიშვილი
ნინო ბაღაშვილი

რედაქტორი: ნინო ჯავახიშვილი
ტექნიკური რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2020, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია /
იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი

სარჩევი

შესავალი 5

კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო 6

ნაწილი I. სახელმძღვანელოების შემუშავების, შეფასებისა და დამტკიცების საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა თანასწორობისა და ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონტექსტში 9

შესავალი 10

განათლების უფლების შესახებ საერთაშორისო აქტები 10

ხარისხიანი სახელმძღვანელოს მნიშვნელობა 11

სახელმძღვანელოების შემუშავებისა და დამტკიცების პრაქტიკის მიმოხილვა 12

სახელმძღვანელოების შემუშავებისა და დამტკიცების პოლიტიკა შვედეთში 13

სახელმძღვანელოების შემუშავებისა და დამტკიცების პოლიტიკა ესტონეთში 14

სახელმძღვანელოების შემუშავების, შეფასებისა და დამტკიცების პოლიტიკის ანალიზი 15

სახელმძღვანელოების პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლები ტრანზიტულ სისტემებში 17

სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა 19

სახელმძღვანელოების შინაარსის ინკლუზიურობა მრავალფეროვნებისა და ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონტექსტში 21

შეჯამება 22

ნაწილი II. სახელმძღვანელოების შემუშავების, შეფასებისა და დამტკიცების პოლიტიკის ანალიზი საქართველოში, თანასწორობისა და ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონტექსტში 23

საქართველოში ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით შემუშავებული პოლიტიკა ზოგადი განათლების სისტემაში 24

საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვა 24

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიზნით შემუშავებული სახელმწიფო პოლიტიკის მიმოხილვა 25

ეროვნული სასწავლო გეგმის მიმოხილვა 26

საბაზო საფეხურის საგნობრივი სტანდარტების შესაბამისობა თანასწორობის პრინციპებთან 27

სახელმძღვანელოების შემუშავების, შერჩევისა და დამტკიცების პროცედურა საქართველოში 29

გრიფის მინიჭების წესის განვითარება ისტორიულ ჭრილში და არსებული პრაქტიკის მიმოხილვა 30

სახელმძღვანელოების შინაარსობრივი და ტექნიკური შეფასება 33

ნაწილი III. სახელმძღვანელოების შემუშავების, შეფასებისა და დამტკიცების პროცესში არსებული ძირითადი გამოწვევების ანალიზი 35

თვისებრივი კვლევის შედეგების მიმოხილვა 36

სახელმძღვანელოების შემუშავება 36

სახელმძღვანელოების შინაარსის შეფასება 38

სახელმძღვანელოს შერჩევა სკოლის დონეზე 41

შეჯამება 44

სახელმძღვანელოების კონტენტ–ანალიზის შედეგების მიმოხილვა 46

სახელმძღვანელოს შეფასება თანასწორობისა და ყველა სახის
დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონტექსტში 46

სამოქალაქო განათლება მე-9 კლასი - მოსწავლის სახელმძღვანელო 48

ინკლუზიური აღწერა 48

საქართველოს გეოგრაფია, მე-9 კლასი - მოსწავლის სახელმძღვანელო 53

ინკლუზიური აღწერა 53

დისკუსია კვლევის შედეგების შესახებ 57

სახელმწიფოსა და სკოლას შორის სახელმძღვანელოების შერჩევის პასუხისმგებლობისა
და უფლებამოსილების არათანაბარი განაწილება 57

შეფასებაზე ორიენტირებული მოდელის გავლენა სახელმძღვანელოების
ხარისხის გაუმჯობესებაზე 57

სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობის პოლიტიკის გავლენა
სახელმძღვანელოების ხარისხზე 58

სახელმძღვანელოებში ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრა და
ადამიანის უფლებების სწავლების ხელშეწყობის შესაძლებლობების ანალიზი 58

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები 60

დანართი 1 63

დანართი 2 64

შესავალი

თანასწორობის პრინციპების დაცვა და ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრა ზოგადი განათლების სისტემაში წარმოადგენს როგორც განათლების სოციალურ ფუნქციას, ასევე ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისა და დასახული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას.

სასკოლო სახელმძღვანელოები ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმია, განსაკუთრებით იმ სისტემებში, სადაც მასწავლებლების კომპეტენციებისა და სწავლების ახალი მიდგომების გამოყენების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გამოწვევები არსებობს. გარდა ამისა, სახელმძღვანელო, ცოდნის კონსტრუირებასთან ერთად, სოციალური და იდეოლოგიური ფუნქციის მატარებელია და დიდ გავლენას ახდენს მოსწავლის ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ფორმირებაზე. შესაბამისად, ხარისხიანი სახელმძღვანელოს ფართო გაგება ეფუძნება დაშვებას, რომ ის, როგორც ძირითადი სასწავლო რესურსი, ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებისთვის უნივერსალური ღირებულებების, თანასწორობის, მრავალფეროვან საზოგადოებაში ინდივიდის ინტეგრირებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის საჭირო სხვა უნარების განვითარებას.

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევის მიზანია ზოგადი განათლების სისტემაში სასკოლო სახელმძღვანელოების შემუშავებისა და შეფასების პოლიტიკის ანალიზი თანასწორობის უზრუნველყოფისა და ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონტექსტში.

ნაშრომის პირველი ნაწილი აღწერს სასკოლო სახელმძღვანელოების პოლიტიკის ფორმირების საერთაშორისო პრაქტიკას როგორც განათლების სისტემის მართვის ფორმის, ასევე ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიურობის კონტექსტში. ძირითადი ტენდენციების ასახვის მიზნით, ნაშრომში აღწერილია როგორც ევროპის, ისე აზიის ქვეყნების გამოცდილება. სახელმძღვანელოების შერჩევისა და შეფასების ანალიზი განხორციელდა მსოფლიო ბანკის, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციისა და აზიის განვითარების ბანკის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური რეკომენდაციების გათვალისწინებით.[1]

ნაშრომის მეორე ნაწილში მიმოხილულია საქართველოში ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით შემუშავებული პოლიტიკა ზოგადი განათლების სისტემაში. კერძოდ, სახელმწიფოს ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის ძირითადი მდგენელების გათვალისწინებით, ნაშრომში განხილულია ზოგადი განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი ნორმატიული და სტრატეგიული დოკუმენტები. ასევე, გაანალიზებულია მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტების თავსებადობა თანასწორობის პრინციპებთან. ამასთან, კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში აღწერილია სახელმძღვანელოების შემუშავებისა და დამტკიცების წესის ცვლილება ისტორიულ ჭრილში და გაანალიზებულია არსებული მექანიზმის ძირითადი მახასიათებლები თანასწორობისა და ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონტექსტში.

სახელმძღვანელოების შემუშავებისა და დამტკიცების არსებული მოდელის, ასევე თავად სახელმძღვანელოების შესაბამისობა თანასწორობის პრინციპებთან მიმოხილულია ნაშრომის მესამე ნაწილში, თვისებრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით. წიგნების შემუშავებისა და დამტკიცების პროცესის ანალიზი აქცენტს აკეთებს როგორც სახელმძღვანელოების შექმნასა და შეფასებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე, აგრეთვე ამ პროცესში სკოლებისა და მასწავლებლების ჩართულობაზე. რაც შეეხება სახელმძღვანელოების კონტენტ-ანალიზს, კვლევის მიზნებისთვის, მათი შინაარსისა და დიზაინის თანასწორობის პრინციპებთან შესაბამისობის დასადგენად, გამოყენებულია ჩარჩო, რომელიც ეფუძნება გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს ავტორებისა და სახელმძღვანელოს შემფასებლებისთვის, ასევე ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ 2016 წელს სახელმძღვანელოს კვლევისთვის გამოყენებულ მეთოდოლოგიას.

კვლევის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები გამიზნულია როგორც სახელმძღვანელოების შექმნისა და შეფასების პოლიტიკის მიმართულებით გადაწყვეტილებების მიმღები ინსტიტუციების, ისე სამოქალაქო სექტორისა და ყველა დაინტერესებული მხარისთვის, რომლებიც ამ პროცესში პირდაპირი ან ირიბი ფორმით მონაწილეობენ.

[1] UNESCO. «Making Textbook Content Inclusive: A Focus on Religions, Gender and Culture» (2011); Smart, Andy, and Shanti Jagannathan. *Textbook policies in Asia: development, publishing, printing, distribution, and future implications* (Asian Development Bank, 2018); Roberts-Schweitzer, Eluned, Vincent Greaney, and Krezentia Duer, eds. *Promoting Social Cohesion Through Education: Case Studies and Tools for Using Textbooks* (The World Bank, 2006).

კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო

კვლევა განხორციელდა კომბინირებული მეთოდოლოგიით, მეორეული ინფორმაციის ანალიზის, კონტენტ-ანალიზისა და სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით.

მეორეული ინფორმაციის ანალიზის მეთოდის აღწერა

მეორეული ინფორმაციის ანალიზის მეთოდით შევისწავლეთ სახელმძღვანელოების შემუშავებისა და შეფასების კუთხით არსებული საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილება.

საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის მიზნით შევისწავლეთ შემდეგი ტიპის დოკუმენტები:

- საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სახელმძღვანელოების ინკლუზიურობის და თანასწორობის პრინციპების დანერგვის მიზნით განხორციელებული შეფასებები და მომზადებული რეკომენდაციები;
- განსხვავებული საგანმანათლებლო სისტემების გამოცდილება - პოლიტიკის დოკუმენტები და ანგარიშები. ნაშრომის მიზნებისთვის ცალკეა განხილული შვედეთისა და ესტონეთის სახელმძღვანელოების შემუშავებისა და დამტკიცების მექანიზმები. ორივე ქვეყნის შერჩევის ძირითადი კრიტერიუმი სისტემის რეგულირების ხარისხი იყო. შვედეთში სახელმძღვანელოების დამტკიცების სისტემა სრულად დარეგულირებულია, ხოლო ესტონეთში რეგულირების დონე მინიმალურია. ამასთან, საქართველოში სახელმძღვანელოების პოლიტიკის განვითარების შესაძლო ალტერნატივების ანალიზისთვის ორმაგად საინტერესოა ესტონეთის, როგორც ყოფილი საბჭოთა ქვეყნის გამოცდილება. გარდა ამ მაგალითებისა, ნაშრომში სახელმძღვანელოების შემუშავებისა და დამტკიცების სისტემის აღწერა მოიცავს მაგალითებს სხვა ქვეყნების პრაქტიკებიდანაც;
- საერთაშორისო შეთანხმებები თანასწორობის, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის, განათლების ხელმისაწვდომობისა და ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

ადგილობრივი კონტექსტისა და გამოწვევების აღწერის მიზნით გავაანალიზეთ შემდეგი დოკუმენტები:

- ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები;
- კანონი ზოგადი განათლების შესახებ;
- ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეფცია და ძირითადი პრინციპები;
- მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა და საგნობრივი სტანდარტები;
- განათლების სტრატეგია 2017-2021;
- სახელმძღვანელოს გრიფირების წესი და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები.

კონტენტ-ანალიზის მეთოდის აღწერა

კვლევის ფარგლებში, თანასწორობის პრინციპებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სახელმძღვანელოების ანალიზისთვის გამოვიყენეთ კონტენტ-ანალიზის მეთოდი, კონკრეტულად, კონცეპტუალური ანალიზი. ამ მეთოდის საშუალებით შევისწავლეთ, თუ რა თეორიულ კონცეფციებზეა აგებული შესასწავლი თემატიკა, რამდენად სწორად არის აღწერილი და გამოყენებული ტერმინები და რამდენად აძლევს სახელმძღვანელო მოსწავლეს იმის შესაძლებლობას, რომ სოციალური, კულტურული, ეკონომიკური თუ სხვა პროცესები ადამიანის უფლებების ჭრილში გაიაზროს.

სახელმძღვანელოების შერჩევის კრიტერიუმები

გრიფირების სტატუსი: შევარჩიეთ გრიფირებული სახელმძღვანელოები, რომლებიც დღეის მდგომარეობით სასწავლო პროცესში გამოიყენება.

კლასი: კვლევის მიზნებისთვის შეირჩა მე-9 კლასის სახელმძღვანელოები, რომელთა გრიფირების კონკურსი 2020 წლის შემოდგომაზე გამოცხადდება. აქედან გამომდინარე, კონტენტ-ანალიზის ფარგლებში იდენტიფიცირებული პრობლემების გათვალისწინება შესაძლებელი იქნება გრიფირების კონკურსის ახალი ეტაპისთვის.

საგნობრივი ჯგუფი: კვლევის მიზნებისთვის შეირჩა საზოგადოებრივი მეცნიერების საგნობრივი ჯგუფი, ვინაიდან აღნიშნული ჯგუფის საგნების შინაარსში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა ერთ-ერთი ძირითადი და არა გამჭოლი სასწავლო მიზანია. ამ საგნობრივი ჯგუფის ფარგლებში არ გაგვიანალიზებია მე-9 კლასის ისტორიის სახელმძღვანელო, რადგან ეს უკანასკნელი სიღრმისეულად

არის შესწავლილი სხვადასხვა კვლევის ფარგლებში. საპირისპიროდ, საქართველოს გეოგრაფიის სახელმძღვანელოს შესწავლა ამ კუთხით არ განხორციელებულა.

სახელმძღვანელოს შეფასების კრიტერიუმები

სახელმძღვანელოების შინაარსისა და დიზაინის თანასწორობის პრინციპებთან შესაბამისობის მიზნით გამოვიყენეთ ჩარჩო, რომელიც ეფუძნება გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მიერ წიგნის ავტორებისა და შემფასებლებისთვის მომზადებულ რეკომენდაციებს, აგრეთვე ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ 2016 წელს სახელმძღვანელოს კვლევისთვის გამოყენებულ მეთოდოლოგიას (ჩარჩო და შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის წარმოდგენილი მე-5 თავში).

სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდის აღწერა

კვლევის პროცესში, მეორეული ინფორმაციის და კონტენტ-ანალიზის შედეგების მრავალმხრივი გააზრებისა და ინტერპრეტირების პროცესში დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღების, ასევე რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, 13 სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა. რესპონდენტები შეირჩნენ მიზნობრივად:

რესპონდენტის სტატუსი	ჩატარებული ინტერვიუს რაოდენობა
განათლების სპეციალისტი/მკვლევარი	2
გრიფირების პროცესში ჩართული პირი განათლების სამინისტროდან	1
სახელმძღვანელოს შინაარსობრივი შეფასების საბჭოს რეცენზენტი	2
საერთაშორისო ექსპერტი	2
მოქმედი მასწავლებელი	7
მოქმედი დირექტორი	1
სახელმძღვანელოს ავტორი	2
გამომცემლობის წარმომადგენელი	2

კვლევის პროცესში დისკუსია წარიმართებოდა სახელმძღვანელოების შეფასების არსებული მოდელის - გრიფირების წესის ირგვლივ, კონკრეტულად, გრიფირების 2018 წლის კონკურსის და 2019 წელს კონკურსში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ. ინტერვიუები ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით წარიმართა. სიღრმისეული ინტერვიუს ფარგლებში სადისკუსიო თემებს წარმოადგენდა:

- სახელმძღვანელოების შექმნის, შეფასებისა და დამტკიცების არსებული პროცედურა, ძირითადი პრობლემები და გამოწვევები;
- სახელმძღვანელოების შეფასების პროცესში თანასწორობის, ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის მექანიზმები;
- სახელმძღვანელოების ხარისხის შეფასება, მათ შორის, თანასწორობის პრინციპების ასახვისა და ადამიანის უფლებების სწავლების მიმართ არსებული მდგომარეობა.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის ძირითად შეზღუდვას საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის კონტექსტში წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სხვა ქვეყნების სისტემების აღწერა მხოლოდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის ანალიზს ეფუძნება. შესაბამისად, წარმოდგენილი მონაცემები საკმარისი არ არის სახელმძღვანელოების შემუშავებისა და შეფასების პოლიტიკის ფარგლებში არსებული ძირითადი გამოწვევების სიღრმისეული ანალიზისთვის.

სახელმძღვანელოების ანალიზის პროცესში კვლევის შეზღუდვას წარმოადგენს, ერთი მხრივ, შერჩეული ერთეულების სიმცირე. შესაბამისად, შედეგები აღწერს მხოლოდ შერჩეულ ერთეულებს და არა საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერების ჯგუფის ყველა გრიფირებულ სახელმძღვანელოს. მეორე მხრივ, კვლევის ფარგლებში ვერ განხორციელდა იდენტიფიცირებულ გამოწვევებზე ამ კონკრეტული სახელმძღვანელოების ავტორების უკუკავშირის მიღება, რასაც შესაძლებელია განსხვავებული პერსპექტივით წარმოედგინა ამა თუ იმ საკითხის გაშუქების მათეული ხედვა.

რაც შეეხება სიღრმისეული ინტერვიუების მეთოდის გამოყენებას, ამ შემთხვევაშიც მიღებული შედეგები მხოლოდ რესპონდენტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა და მათი მოსაზრებების განზოგადება იმ ჯგუფზე, რომელსაც ესა თუ ის რესპონდენტი წარმოადგენს, შეუძლებელია. მეორე და ასევე საგულისხმო გამოწვევა უკავშირდება ინტერვიუს ჩატარების ფორმატსა და თემატიკას. კერძოდ, ქვეყანაში პანდემიის გამოცხადების შემდგომ ინტერვიუები წარიმართა დისტანციურად, რაც ზოგიერთი რესპონდენტის შემთხვევაში არაკომფორტულ გარემოს ქმნიდა. ამასთან, ინტერვიუების ნაწილი ჩატარდა დისტანციური სწავლების დაწყებამდე, რის გამოც გარკვეულ ვერ მოხერხდა ნაწილთან აღნიშნული პროცესების გავლენის ანალიზი სახელმძღვანელოების პოლიტიკაზე.

აღნიშნული შეზღუდვის ეფექტის შემცირებისა და ინფორმაციის დანაკლისის შევსების მიზნით, კვლევის ფარგლებში ინტერვიუები ჩატარდა განათლების საერთაშორისო ექსპერტებთან, მათ შორის, ესტონეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელმძღვანელოების მიმართულების სპეციალისტთან. რესპონდენტზე სიღრმისეული ინტერვიუს ფორმატის მორგებისა და უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით ვიდეოჩაწერა არ განხორციელებულა. ტრანსკრიპტებისა და აუდიო-ვიდეო ჩანაწერები ხელმისაწვდომია მხოლოდ მკვლევარებისთვის.

კვლევის ფარგლებში რესპონდენტების კონფიდენციალურობა და ანონიმურობა დაცულია, შედეგების აღწერა და ანალიზი მათი იდენტიფიცირების საშუალებას არ იძლევა.

ნაწილი I

სახელმძღვანელოების შემუშავების, შეფასებისა და დამტკიცების საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა თანასწორობისა და ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონტექსტში

შესავალი

ტექნოლოგიური განვითარების მიუხედავად, არაერთი ქვეყნის სასკოლო სისტემაში დღემდე მთავარ საგანმანათლებლო რესურსად რჩება სახელმძღვანელოები როგორც მოსწავლეთათვის, ასევე მასწავლებელთათვის.[2] არ არსებობს სახელმძღვანელოების დამტკიცების ერთიანი სისტემა, თუმცა, საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ძირითადად გამოყოფენ ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ მოდელებს.

აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოებზე დამოკიდებულება აქტუალურია ისეთ ქვეყნებში, სადაც მასწავლებლების კვალიფიკაცია დაბალია და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი არ არის. განსაკუთრებით იქ, სადაც მასწავლებლები სასწავლო პროცესის დაგეგმვაში, ტრადიციულად, არ მონაწილეობდნენ და ასრულებდნენ მხოლოდ ცენტრალიზებული სისტემის მიერ დადგენილ მითითებებს, მიჰყვებოდნენ დეტალურად გაწერილ სილაბუსებს.[3]

მეორე მხრივ, განვითარებულ ქვეყნებში სახელმძღვანელოები დამხმარე მასალის როლს ასრულებს და არ განიხილება როგორც სწავლა-სწავლების მთავარი რესურსი.[4] ამ შემთხვევაში მასწავლებლისათვის მნიშვნელოვანია ეროვნული სასწავლო გეგმა და არა უშუალოდ სახელმძღვანელო.

შემდგომ თავებში განხილულია განათლების უფლებისა და სახელმძღვანელოების მნიშვნელობის საკითხები. ამასთან, სახელმძღვანელოების დამტკიცების საერთაშორისო პრაქტიკა როგორც ისტორიულ ჭრილში, ასევე თანამედროვე პერსპექტივიდან.

განათლების უფლების შესახებ საერთაშორისო აქტები

არსებობს გლობალური კონსენსუსი განათლების უფლების მნიშვნელობის შესახებ. მეტიც, ეს არის სხვა უფლებების განხორციელების საშუალება. ამ უფლების რეალიზების პასუხისმგებლობა კი სახელმწიფოებს აკისრიათ. აღნიშნული ვალდებულება, პირველ რიგში, წარმოდგენილია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (1948). დოკუმენტის მიხედვით, ყველას აქვს განათლების უფლება. გარდა ამისა, ხაზგასმულია, რომ ხარისხიანი განათლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის. განათლების უფლება აღიარებულია შემდეგ კონვენციებში:

- ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (1966). კონკრეტულად, მე-13 თავი მიმოიხილავს განათლების უფლების აუცილებლობას, ასევე მის მიზანს და მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებებს.

  წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის განათლების მიღების უფლებას. ისინი თანხმდებიან, რომ განათლება მიმართულ უნდა იქნეს ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსების შემეცნების სრულად განვითარებისაკენ; უნდა განამტკიცებდეს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას. ისინი ასევე თანხმდებიან, რომ განათლებამ ყველას უნდა მისცეს თავისუფალ საზოგადოებაში ქმედითი მონაწილეობის შესაძლებლობა; რომ ყველა ერს, რასობრივ, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს შორის განავითაროს ურთიერთგაგება, შემწყნარებლობა და მეგობრობა და ხელი შეუწყოს გაერთიანებული ერების საქმიანობას მშვიდობის შესანარჩუნებლად;

- კონვენცია განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ (1960). სხვა საკითხებთან ერთად, მე-6 მუხლი ხაზს უსვამს შემდეგს: *„მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, დიდი ყურადღება მიაქციონ გაერთიანებული ერების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის მიერ მიღებულ ნებისმიერ რეკომენდაციას, რომელიც განსაზღვრავს განათლებაში სხვადასხვა ფორმის დისკრიმინაციის საწინააღმდეგოდ მისაღებ ზომებს და მიზნად ისახავს განათლებაში შესაძლებლობისა და მოჰყრობის თანასწორობის უზრუნველყოფას“;*

- კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1979). გარდა ზოგადი თემატიკისა, კონვენცია აგრეთვე აღნიშნავს თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული სახელმძღვანელოების მნიშვნელობას - *„მონაწილე სახელმწიფოები მიიღებენ ყველა შესაბამის ზომას ქალთა დისკრიმინაციის აღსაკვეთად, რათა აღჭურვონ ისინი მამაკაცთა თანასწორი უფლებებით განათლების დარგში. კერძოდ, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე, უზრუნველყონ: [...] (გ) მამაკაცთა და ქალთა როლის ნებისმიერი სტერეოტიპული კონცეფციის აღმოფხვრა ყველა დონის და ყველა ფორმის სწავლებისას, ერთობლივი სწავლების და სწავლების სხვა სახეობების წახალისების გზით, რომლებიც*

[2] United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO). «Global education monitoring report summary 2016: education for people and planet: creating sustainable futures for all» (2016).

[3] United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO). «Global education monitoring report summary 2016: education for people and planet: creating sustainable futures for all» (2016).

[4] Miao, Fengchun, Sanjaya Mishra, and Rory McGreal. *Open educational resources: policy, costs, transformation*. UNESCO Publishing (2016).

ხელს შეუწყობს ამ მიზნის მიღწევას, კერძოდ, სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სასკოლო პროგრამების გადასინჯვის, ასევე სასკოლო სწავლების მეთოდების ადაპტაციის გზით";

- ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, განათლების უფლების რეალიზების მიზნით, სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება უზრუნველყონ განათლების სფეროში ინფორმაციისა და მასალების ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისთვის. გარდა ამისა, კონვენცია დამატებით ავალდებულებს ქვეყნებს წაახალისონ საბავშვო ლიტერატურის გამოცემა და გავრცელება;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის მიხედვით, *„მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებას განათლებაზე. ამ უფლების დისკრიმინაციის გარეშე და თანაბარ პირობებში რეალიზებისათვის, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვასა და მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების მისაწვდომობას".*

განათლება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიხედვით. მიზანი N4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის. დოკუმენტი ხაზს უსვამს სასწავლო მასალების ადაპტირებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების გლობალური ინდიკატორი). სამწუხაროდ, აღნიშნული საკითხი ნახსენები არ არის საქართველოსთვის მისადაგებულ ეროვნულ ინდიკატორებსა და სამიზნე მაჩვენებლებში.[5]

მდგრადი განვითარების მეოთხე მიზნის მისაღწევად, 2015 წელს შემუშავდა ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც აყალიბებს კონკრეტულ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმას. აღნიშნული გეგმის მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების განხილვა და განახლება იმისათვის, რომ ისინი არ შეიცავდნენ გენდერულ სტერეოტიპებს და თავისუფალნი იყვნენ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისაგან. ამასთან, სახელმძღვანელო ხელს უნდა უწყობდეს თანასწორობის, ტოლერანტობისა და ადამიანის უფლებების წახალისებას.[6]

ხარისხიანი სახელმძღვანელოს მნიშვნელობა

ტრადიციულად, განასხვავებენ სახელმძღვანელოების განმარტების ორ ჯგუფს. ერთის მიხედვით, სახელმძღვანელოდ ითვლება ის რესურსი, რომელიც აღიარებული და დამტკიცებულია სახელმწიფოს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ან სხვა პასუხისმგებელი უწყების მიერ. აღნიშნული სისტემა მეტწილად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მოქმედებს. მეორე, ანგლო-საქსური განმარტების მიხედვით კი, სახელმძღვანელოს ცნებას განსაზღვრავს სამოქალაქო საზოგადოება, ანუ გამომცემლობა, ავტორი და მასწავლებელი.[7]

საუკუნეების განმავლობაში სახელმძღვანელოები მთავარ საგანმანათლებლო რესურსს წარმოადგენდა. გარდა ინფორმირებისა, ხარისხიანი სახელმძღვანელო ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას და დღემდე ხარისხიანი განათლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად ითვლება, ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მასწავლებლებთან ერთად.[8]

სახელმძღვანელო მასწავლებლისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი რესურსია, ხშირ შემთხვევაში ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლებისა და შეფასების სტრუქტურირებაში ეხმარება მათ. საგულისხმოა, რომ განვითარებად ქვეყნებში ხარისხიანი სახელმძღვანელო მასწავლებლის კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ ხარვეზებს აბალანსებს. ამ მხრივ, არანაკლებ ღირებული რესურსია მასწავლებლის წიგნი, რომელსაც პირდაპირი გავლენა აქვს მოსწავლეებზე.[9]

სახელმძღვანელოების მნიშვნელობის აღწერისას რამდენიმე ძირითადი კომპონენტი გამოიყოფა:

1. *სახელმძღვანელოების ეფექტიან პოლიტიკას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სისტემის გაუმჯობესებაში:*

   განათლების ხარისხის კომპონენტებად ხშირად მოიხსენიებენ სამ მიმართულებას - ეროვნული სასწავლო გეგმა, სახელმძღვანელო და შეფასების სისტემა. სახელმძღვანელო ამ შემთხვევაში შეგვიძლია

[5] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ინტეგრაცია საქართველოს ეროვნულ საჯარო პოლიტიკის სისტემაში" (თბილისი: 2019).

[6] UNESCO. *Education 2030: Incheon Declaration: Towards Inclusive and Equitable Quality Education and Lifelong Learning for All*. (UNESCO: Institut for Longlife Learning, 2017).

[7] Kovač, Miha, and Mojca K. Šebart. «Where East meets West: controversies of textbook publishing in small former communist countries» (*Publishing research quarterly* 20, no. 3, 2004): 40-51.

[8] Smart, Andy, and Shanti Jagannathan. *Textbook policies in Asia: development, publishing, printing, distribution, and future implications*. (Asian Development Bank: 2018).

[9] Oates, Tim. «Why textbooks count.» *Cambridge (England: Cambridge Assessment*, 2014).

განვიხილოთ როგორც შუა რგოლი სასწავლო გეგმასა და შეფასებას შორის. ეროვნული სასწავლო გეგმის ეფექტიანი განხორციელება მეტწილად დამოკიდებულია ხარისხიან სახელმძღვანელოებზე, რომლებსაც შეფასების სისტემაზე აქვს გავლენა;

2. *კარგ სახელმძღვანელოს გავლენა აქვს განათლების ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე:*

   სწავლა-სწავლების პროცესი და მოსწავლეების მიღწევები საერთაშორისო შეფასებების მიხედვით. არსებობს მყარი კორელაცია სახელმძღვანელოების დამტკიცების პოლიტიკას, საკლასო პედაგოგიკასა და სასწავლო შედეგებს შორის, ვინაიდან სახელმძღვანელო, უმრავლეს შემთხვევაში, მასწავლებლის მთავარ სასწავლო რესურსს წარმოადგენს.[10]

   რაც შეეხება ხელმისაწვდომობის საკითხს, როგორც ზემოთ არის ნახსენები, ამ ტიპის სახელმძღვანელოები ხელს უწყობს მასწავლებლის კვალიფიკაციასა და კომპეტენციასთან დაკავშირებული პრობლემების დაბალანსებას;

3. *კერძო სექტორი მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეა:*

   ისტორიულად კერძო სექტორი დიდ როლს ასრულებდა სახელმძღვანელოების შემუშავების პროცესებში. არაერთი ქვეყნის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ სწორედ კერძო სექტორის აქტიური ჩართულობა განაპირობებს და დიდ გავლენასაც ახდენს მათ ხარისხზე;

4. *ციფრული მასალები არის სახელმძღვანელოების დამხმარე და არა შემცვლელი:*

   მიუხედავად იმისა, რომ ციფრული ტექნოლოგიები განიხილება როგორც „განათლების მომავალი“ და შეიძლება პოზიტიური გავლენაც ჰქონდეს ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე, არცერთი განათლების სისტემა სრულად არ გადასულა ციფრულ ტექნოლოგიებზე. განვითარებული ქვეყნები იყენებენ როგორც ბეჭდურ, ასევე ელექტრონულ რესურსებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ფინანსური საკითხიც. მიჩნეულია, თითქოს ციფრული ტექნოლოგიები ხარჯს შეამცირებს, თუმცა პრაქტიკა აჩვენებს, რომ პირიქითაც ხდება, განსაკუთრებით მოკლევადიან პერიოდში. არაერთი ქვეყნის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ციფრული ტექნოლოგიების დანერგვისას საჭიროა საკმაოდ გრძელვადიანი სტრატეგია და პოლიტიკა, რადგან ამ მიმართულებით გატარებულმა არასწორმა და ნაჩქარევმა პოლიტიკამ შესაძლოა სერიოზული რისკები შექმნას როგორც ხარისხის, ასევე ხელმისაწვდომობის კუთხით. განათლების მკვლევარი, კემბრიჯის უნივერსიტეტის შეფასებისა და განვითარების კვლევის ჯგუფის ხელმძღვანელი, ტიმ ოატესი საკმაოდ საინტერესოდ აღწერს სახელმძღვანელოს როლს. მისი ნაშრომის „Why Textbooks Count“ მიხედვით, ციფრულმა სახელმძღვანელოებმა შესაძლოა განათლების სისტემის განვითარებას მოუტანოს როგორც მნიშვნელოვანი დანაკარგი, ასევე პოზიტიური შედეგიც. მისი აზრით, საუკეთესო გამოსავალია შერეული მიდგომა, სადაც გამოიყენება როგორც ელექტრონული, ასევე ნაბეჭდი ვერსიები;

5. *მასწავლებლებს აქვთ გადამწყვეტი როლი სახელმძღვანელოების შემუშავებისა და შეფასების პროცესებში:*

   საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, მასწავლებლებს დიდი როლი აქვთ სახელმძღვანელოების შემუშავება/შეფასებისას. მიზანშეწონილია, რომ ისინი რეალურად იყვნენ ამ პროცესის წარმმართველები, რათა სახელმძღვანელოს შინაარსი, ენა და პედაგოგიკის საკითხები მოსწავლეთა საჭიროებებს შეესაბამებოდეს. ამ მხრივ, აუცილებელია სახელმწიფოს როლის შემცირება, რადგან არაერთი პრაქტიკის მიხედვით, ძირითად ფუნქციებს განათლების სამინისტროს შესაბამისი სამსახურები (მაგალითად, ეროვნული სასწავლო გეგმების) ასრულებენ.

სახელმძღვანელოების შემუშავებისა და დამტკიცების პრაქტიკის მიმოხილვა

სახელმძღვანელოების დამტკიცების ორ ძირითად მოდელს განიხილავენ: ცენტრალიზებულსა და დეცენტრალიზებულს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს პოლიტიკურ იდეოლოგიასა და სახელმძღვანელოების პოლიტიკას შორის პირდაპირი კავშირი არ არსებობს, აღნიშნული გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენად დიდია სახელმწიფოს მხრიდან სახელმძღვანელოების ბაზრისა და დამტკიცების პროცედურების რეგულირების ხარისხი. ცენტრალიზებულ სისტემაში სახელმწიფოს მიერ, სამინისტროს ან მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურის მეშვეობით მოწმდება, თუ რამდენად ითვალისწინებს ესა თუ ის სახელმძღვანელო ეროვნულ სასწავლო გეგმას, ძირითად სტანდარტებსა და სკოლისთვის სავალდებულო

[10] Wilkens, Hendrianne J. «Textbook approval systems and the Program for International Assessment (PISA) results: A preliminary analysis.» (*IARTEM e-Journal* 4, no. 2, 2011): 63-74.

გამოცემის მოთხოვნებს. დეცენტრალიზებულ სისტემაში მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები დელეგირებულია ადგილობრივ მმართველ ორგანოებზე, ხოლო სასწავლო პროცესი მთლიანად დამოკიდებულია მასწავლებლებზე, სახელმძღვანელოების შინაარსი კი - ავტორებზე. სამინისტრო შესაძლოა შემოიფარგლებოდეს სარეკომენდაციო ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცებით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების უმრავლესობაში სახელმძღვანელოების შემუშავებისა და გამოცემის სისტემა განსხვავებულად განვითარდა, პედაგოგიური და საგამომცემლო ტრადიციების შესაბამისად. მიუხედავად სისტემებს შორის განსხვავებებისა, ქვეყნების უმრავლესობაში არსებობდა ღია და კონკურენტული ბაზარი და სახელმძღვანელოები კერძო გამომცემლობების მიერ გამოიცემოდა. სკოლებსა და მასწავლებლებს კი შეეძლოთ დამოუკიდებლად აერჩიათ ნებისმიერი, რაც სკოლაში ახალი პრაქტიკის დანერგვის საშუალებას იძლეოდა.[11]

მაგალითად, ავსტრიაში არსებობდა რეგულაცია, რომლის მიხედვითაც სახელმძღვანელოებს სახელმწიფო შემოწმება უნდა გაევლოთ. ამის შემდგომ სკოლებში მხოლოდ შემოწმებული და მოწონებული წიგნები ხვდებოდა.

განსხვავებული სისტემა იყო დასავლეთ ევროპაში, სკანდინავიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ სახელმწიფოებში ტრადიციული დეცენტრალიზებული სისტემა მოქმედებდა და არ არსებობდა სახელმძღვანელოების შემოწმების რაიმე სახის მექანიზმი. უფრო მეტიც, ინგლისში მხოლოდ 1980-იან წლებში დაამტკიცეს ეროვნული სასწავლო გეგმა.[12]

განსხვავებულად განვითარდა სიტუაცია ყოფილი პოსტსაბჭოთა ქვეყნების შემთხვევაში. საბჭოთა კავშირის ცენტრალიზებული სისტემიდან გამოსვლის შემდეგ, სახელმწიფოების უმრავლესობისთვის რთული აღმოჩნდა დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული სახელმძღვანელოების ბაზრის განვითარება როგორც ადამიანური კაპიტალის დეფიციტის, ასევე ფინანსური კრიზისის გამო.

მომდევნო თავში განვიხილავთ სახელმძღვანელოების დამტკიცების ორ მაგალითს. სრულიად დეცენტრალიზებული და დარეგულირებული სისტემა განხილულია შვედეთის მაგალითზე. საინტერესოა ესტონეთის მოდელის მიმოხილვაც, ვინაიდან ამ ქვეყანამ საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ დიდი გზა განვლო - სრულიად ცენტრალიზებული სისტემიდან დეცენტრალიზებულ მოდელზე გადავიდა და დღეს თავისუფლებისა და ავტონომიის ხარისხით ერთ-ერთი მოწინავეა როგორც პოსტსაბჭოთა, ასევე ევროპის ქვეყნებში.[13]

სახელმძღვანელოების შემუშავებისა და დამტკიცების პოლიტიკა შვედეთში

შვედეთის განათლების სისტემა დეცენტრალიზებულია მუნიციპალიტეტების დონეზე. მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული და ფინანსური საკითხების მართვაზე. სკოლები ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტიდან, ცალკეულ შემთხვევებში ცენტრალური ხელისუფლების მიზნობრივი გრანტით. სწავლა-სწავლების პროცესზე პასუხისმგებელია სკოლა.

განათლებისა და კვლევის სამინისტრო პასუხისმგებელია სისტემის მართვის ძირითადი ჩარჩოს შემუშავებაზე, ხოლო განათლების ეროვნული სააგენტო და სკოლების ინსპექცია პასუხს აგებს როგორც სისტემის მონიტორინგზე, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავებაზე. სასწავლო კურიკულუმი ადგენს სწავლების ზოგად პრინციპებს ყოველი საგნისთვის და განსაზღვრავს მოკლე და გრძელვადიან მიზნებს. სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზება, ასევე სასწავლო რესურსებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირებული არ არის და მასწავლებლების გადაწყვეტილებასა და არჩევანს ეფუძნება. არ არსებობს სასკოლო სახელმძღვანელოების შემოწმებისა და დამტკიცების სისტემა. მათ არჩევენ სკოლები, ხოლო მიწოდებას უზრუნველყოფენ გამომცემლობები.[14]

სახელმძღვანელოების დამტკიცების სისტემის დარეგულირებამდე შვედეთის განათლების სისტემამ რამდენიმე ეტაპი გაიარა. სახელმძღვანელოების დამტკიცების სქემა არსებობდა 1938-1974 წლებში, 1974 წლიდან კი სახელმწიფოს მიერ მტკიცდებოდა მხოლოდ სოციალურ მეცნიერებებში, 4 კომპონენტის - ფასის, დიზაინის, შინაარსისა და ენის მიხედვით. დერეგულაციის შემდეგ ეტაპზე მასწავლებლებისათვის დაწესებული იყო სავალდებულო სასწავლო მასალის მოცულობა მთლიან რესურსებში.[15] 2011 წლიდან

[11] Kovač, Miha, and Mojca K. Šebart. «Where East meets West: controversies of textbook publishing in small former communist countries.» (*Publishing research quarterly* 20, no. 3, 2004): 40-51.

[12] Kovač, Miha, and Mojca K. Šebart, 40-51.

[13] Santiago, Paulo, Anthony Levitas, Péter Radó, and Claire Shewbridge. «OECD Reviews of School Resources-Estonia» (2016).

[14] Swedan Overview, *Europian Commision*, 2020, available at: https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/swedan_en.

[15] Anna Johnsson Harrie, *The State and the Textbook. The State Approval Scheme for Textbooks and Teaching Aids in Sweden 1938-1999* (Linköping: Linköping University, 2009).

ყველა არსებული რეგულაცია გაუქმდა, 2017 წლიდან კი მასწავლებლები სრულიად დამოუკიდებლად განსაზღვრავენ და იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რომელი სახელმძღვანელო, ვიდეო-აუდიო მასალა და ტექნოლოგია გამოყენონ.[16] შვედეთის საგანმანათლებლო სისტემაში არ არსებობს ცენტრი ან ორგანიზაცია, რომელიც სახელმძღვანელოებს ამოწმებს და ადგენს სავალდებულო ავტორების ან გამოცემების სიას. სკოლები ინდივიდუალურად არჩევენ მასალებს და უკვეთენ გამომცემლობას, ხოლო მოსწავლეებს უფასოდ გადასცემენ რესურსს. გამონაკლისს წარმოადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის საჭირო რესურსების შექმნა, რაც შვედეთის განათლების ეროვნული სააგენტოს მოვალეობაა, კერძო გამომცემლობის მიერ შემუშავებული მასალების ადაპტირებასთან ერთად.

გამომდინარე იქიდან, რომ ყოველ სკოლას სახელმძღვანელოების შერჩევის მიმართ საკუთარი მიდგომა აქვს, ინფორმაცია შერჩევის პროცედურის ან ხარისხის შესახებ ნაკლებად ხელმისაწვდომია, თუმცა საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევები მასწავლებლების მოტივაციისა და შეფასების ზოგადი კრიტერიუმების ანალიზის საშუალებას იძლევა. შვედი მასწავლებლების მიერ სახელმძღვანელოების შერჩევის მოტივაციისა და კრიტერიუმების ანალიზი სხვადასხვა კვლევის ფარგლებში აჩვენებს, რომ მათთვის პრიორიტეტულია შინაარსი და ის, თუ რამდენად ადვილად იკითხება ტექსტი. მასწავლებლების დიდი უმრავლესობისთვის ფასზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმებია სახელმძღვანელოთი სწავლებისა და გამომცემელთან ურთიერთობის გამოცდილება, ასევე კოლეგების რეკომენდაცია.[17]

ცალკეული კვლევები მიანიშნებს იმასაც, რომ შვედეთის შემთხვევაში სახელმძღვანელოების შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება იმ კრიტერიუმებისგან, რომელსაც რეგულირებული სისტემის პირობებში იყენებდნენ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შვედი მასწავლებლების დიდი ნაწილი სწავლების დროს მხოლოდ სახელმძღვანელოს არ ეყრდნობა. შესაბამისად, რესურსების მრავალფეროვნებისა და მათ შორის, ელექტრონული რესურსების აქტიური გამოყენების პირობებში, მასწავლებლები უფრო მოქნილები არიან სახელმძღვანელოს შერჩევის პროცესში.[18]

სახელმძღვანელოების შემუშავებისა და დამტკიცების პოლიტიკა ესტონეთში

ესტონეთის განათლების სისტემა დეცენტრალიზებულია და პასუხისმგებლობა ცენტრალურ ადგილობრივ ხელისუფლებასა და სკოლებს შორის მკაფიოდ არის გამიჯნული. ცენტრალური ხელისუფლება ადგენს განათლების დაფინანსების, სახელმწიფო მონიტორინგისა და ხარისხის შეფასების რეგულაციებს. ადგილობრივი ხელისუფლება უზრუნველყოფს ყველა ბავშვისა და მოზარდისთვის სწავლის შესაძლებლობას საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე ამ დაწესებულებების მოვლა-პატრონობის საკითხების ადმინისტრირებას, ხოლო სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებულ ძირითად გადაწყვეტილებებს იღებს სკოლა. ესტონეთში გადაწყვეტილებების 76% სწორედ სკოლის დონეზე მიიღება, რაც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ სკოლებში რესურსების გამოყენების ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკის კვლევის ფარგლებში, კვლევაში მონაწილე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს - 41%-ს მნიშვნელოვნად აღემატება.[19]

ესტონეთში განათლების სისტემური რეფორმა 2014 წელს დაიწყო და შემუშავდა „მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის უზრუნველყოფის სტრატეგია 2020“. განათლების სამინისტრო პასუხისმგებელია განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების მიღწევაზე, ასევე ჩარჩო დოკუმენტების შემუშავებასა და სწავლებების სხვადასხვა საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმების მომზადებაზე.

ესტონეთს სახელმძღვანელოების შექმნისა და განვითარების დიდი ისტორია აქვს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ის იყო ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან სახელმწიფოებს შორის, რომლებმაც მცირე პოპულაციის პირობებში წარმატებით შეძლეს სახელმძღვანელოების ბაზრის გახსნა კერძო გამომცემლობებისთვის. მსგავსი მახასიათებლების მქონე სხვა ქვეყნებისგან, მაგალითად, სლოვაკეთისგან განსხვავებით, ესტონეთში სახელმძღვანელოების შემუშავებისთვის დიდი ფინანსური რესურსი იხარჯებოდა, რაც მცირე ტირაჟის პირობებში მათ ფასს ზრდიდა.[20] მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის განვითარების საწყის ეტაპზე სახელმძღვანელოების მაღალი ფასი ხელმისაწვდომობის პრობლემას ქმნიდა, მეორე მხრივ, ხელს უწყობდა ავტორებისა და გამომცემლობების მიერ წიგნების ხარისხის გაუმჯობესებას. 2005 წლისთვის, სასწავლო გეგმის ცვლილებასთან ერთად, ყველა საფეხურზე შეიცვალა სახელმძღვანელოები. ესტონეთს

[16] Reichenberg, Monica, And Rune Andreassen. «Norwegian And Swedish Teachers'choice Of Textbooks In A Deregulated System.» *Iartem 1991-2016: 25 Years Developing Textbook And Educational Media Research*: 117.

[17] Reiche Reichenberg, Monica, And Rune Andreassen. « *Iartem 1991-2016: 25 Years Developing Textbook And Educational Media Research*.

[18] Swedan Overview, *Europian Commision*, 2020, available at: https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/swedan_en.

[19] Santiago, Paulo, Anthony Levitas, Péter Radó, and Claire Shewbridge. «OECD Reviews of School Resources-Estonia» (2016).

[20] Kovač, Miha, and Mojca K. Šebart, 40-51.

სისტემის დერეგულირების პოლიტიკა არ შეუცვლია და დღეისათვის სახელმძღვანელოების დამტკიცების პროცესში რეგულირების მინიმალური დონეა შენარჩუნებული.

სკოლებს აქვთ სრული თავისუფლება, აირჩიონ მათთვის სასურველი საგანმანათლებლო ლიტერატურა და სასწავლო მასალები, მათ შორის, სახელმძღვანელოები, სავარჯიშოების წიგნები, სამუშაო რვეული, გზამკვლევები, ელექტრონული წიგნები და სხვა. თითოეული კლასისათვის ხელმისაწვდომია სახელმძღვანელოს სერიების რამდენიმე ალტერნატივა. ყოველწლიურად სკოლები სახელმწიფოსგან ფინანსდებიან საჭირო სახელმძღვანელოების, სამუშაო რვეულებისა და სასწავლო მასალების შესაძენად, სასწავლო მასალები უფასოა მოსწავლეებისთვის.

კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად, სკოლებს ევალებათ სასწავლო რესურსების შერჩევა და ამ პროცესში მინიმალური სტანდარტების დაკმაყოფილება. სამინისტრო ყოველი კლასისა და საგნისთვის ადგენს სასწავლო ლიტერატურის შეფასების პროცესის სავალდებულო მინიმალურ სტანდარტს. უნდა აღინიშნოს, რომ ესტონეთში ამ პროცესში მოსწავლეების მიერ შეფასების შედეგებსაც ითვალისწინებენ და როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეების მხრიდან ყველაზე დიდი მნიშვნელობა ტექსტის შინაარსსა და სიმარტივეს ენიჭება.[21]

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა საგნისთვის სახელმძღვანელოების შერჩევის სტრატეგიების შესახებ მწირი ინფორმაციაა, ამ მიმართულებით განხორციელებული კვლევების დიდი ნაწილი ისტორიის სწავლებასა და ისტორიის სახელმძღვანელოების შერჩევის პრაქტიკას ეთმობა.

2014 წლის რეფორმის შემდეგ მასწავლებლები უფრო და უფრო ნაკლებად არიან დამოკიდებულები სახელმძღვანელოებზე. ისტორიის მასწავლებლები ხშირ შემთხვევაში იყენებენ როგორც ძველ, ასევე ახალ სახელმძღვანელოებს, საკითხის მრავალი პერსპექტივით წარმოსადგენად. თანამედროვე სახელმძღვანელოები ისტორიული ფაქტების მიწოდებაზეა ორიენტირებული, ხოლო ფაქტების ინტერპრეტაციას დიალოგის მეთოდით ასახავს და ყველა პერსპექტივის გათვალისწინებას ცდილობს. თუმცა სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მსგავსი პოლიტიკურად და ემოციურად მგრძნობიარე თემების გაშუქება მეტ სიფრთხილესა და უფრო ფართო კომპეტენციას საჭიროებს.[22]

2018 წლიდან ესტონეთში დაიწყო ელექტრონული სახელმძღვანელოების შემუშავება და პრაქტიკაში უფრო აქტიური გამოყენება. მათი შემუშავება კერძო გამომცემლობებისა და სხვა საგანმანათლებლო თუ საგამომცემლო დაწესებულებების მიერ ხორციელდება და სკოლის მოსწავლეებისათვის უფასოდ არის ხელმისაწვდომი.

სახელმძღვანელოების შემუშავების, შეფასებისა და დამტკიცების პოლიტიკის ანალიზი

განათლების, სახელმძღვანელოების ინტერნაციონალიზაციისა და სწავლა-სწავლების პროცესის ძირითადი ორიენტირების ცვლილებამ განაპირობა სახელმძღვანელოების როლისა და მათი დამტკიცების მოდელების შეცვლაც.

სახელმძღვანელოების პოლიტიკის შესახებ დისკუსიამ ახალი განზომილებები შეიძინა.[23] განათლების სისტემის დეცენტრალიზაციისა და მასწავლებლებისათვის მეტი თავისუფლების მინიჭების სარგებლის გააზრება, ერთი მხრივ, განაპირობებს იმას, რომ სახელმწიფოები ცდილობენ სისტემის დერეგულირებასა და მასწავლებლებისთვის სასწავლო პროცესისა და სწავლის შინაარსის დაგეგმვის საშუალების მიცემას.[24] ამასთან, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ცენტრალიზებული სისტემის ძირითადი არგუმენტი - ხარჯეფექტიანობაც. მეორე მხრივ, თავისუფალი ბაზრის პირობებში, სახელმძღვანელოების ბაზრის გაჯერება ართულებს მასწავლებლებისთვის მათი შერჩევის პროცესს და ამ შემთხვევაში ჩნდება რეგულირების სუსტი მექანიზმების შემუშავების საჭიროება დეცენტრალიზებული სისტემის პირობებში.[25] შედეგად, მკვეთრად ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ მოდელებს შორის გაჩნდა შერეული და ტრანზიტული მოდელები, რომლებიც არ ჯდება არც ერთ და არც მეორე კატეგორიაში. სახელმძღვანელოების შეფასებისა და დამტკიცების ტრანზიტული მოდელების ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია - ერთი მხრივ, ამ ტი-

[21] Rodríguez Rodríguez, J., T. B. Garcia, and E. Bruillard. «IARTEM 1991-2016: 25 years developing textbook and educational media research» (*Kongsberg: IARTEM*, 2019).

[22] Oja, M, «The image of the other in the history of Estonia on the basis of contemporary textbook analysis.»*Yearbook 2013–International Society for History Didactics (*2013): 57-72.

[23] Picciotto, Robert. «The logic of renewal: evaluation at the World Bank (1992-2002)» (2002).

[24] Wilkens, Hendrianne. «Textbook approval systems and the Program for International Assessment (PISA) results: A preliminary analysis.» (*IARTEM e-Journal* 4, no. 2, 2011): 63-74.

[25] Sousa, Joana, and Maria de Lourdes da Trindade Dionísio. «Evaluation and selection of textbooks in (Portugal, 2013).

პის სისტემები კონცეპტუალურად მსგავსია და, შესაბამისად, შესაძლებელია საერთო ტენდენციებზე მსჯელობა, მეორე მხრივ, არსებული გამოცდილება საქართველოში სახელმძღვანელოების შეფასების პოლიტიკის განვითარების დინამიკას შეესაბამება.

პოლიტიკის ანალიზისას გამოვიყენებთ მის ჩარჩოს, რომელიც ეყრდნობა ევროპის, ასევე, აზიის ქვეყნების მაგალითებსა და საერთო ტენდენციებს. სახელმძღვანელოების შერჩევა და შეფასების ჩარჩო ეყრდნობა სახელმძღვანელოების პოლიტიკის ანალიზის საერთაშორისო პრაქტიკას, მსოფლიო ბანკის, UNESCO-სა და აზიის განვითარების ბანკის მეთოდოლოგიას.[26] იხ. ცხრილი 1.

ცხრილი 1: სახელმძღვანელოების პოლიტიკის ანალიზის ჩარჩო

შეფასების კომპონენტი	ძირითადი შეკითხვები კომპონენტის ანალიზისთვის
სახელმწიფოს როლი სახელმძღვანელოების შექმნაში	▪ როგორ ნაწილდება როლები სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის სახელმძღვანელოების შექმნის პროცესში? ▪ როგორ განისაზღვრება მოთხოვნა სახელმძღვანელოზე?
სახელმძღვანელოს როლი ზოგადი განათლების მიზნების მიღწევაში	▪ როგორ განისაზღვრება სახელმძღვანელოს როლი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევაში? ▪ როგორ უკავშირდება სახელმძღვანელოები ეროვნულ სასწავლო გეგმას და საგამოცდო პოლიტიკას?
სახელმძღვანელოების შექმნის, შეფასებისა და დამტკიცების პროცედურა	▪ რამდენ ეტაპად ხორციელდება სახელმძღვანელოების შერჩევა და დამტკიცება? ▪ რა სიხშირით ხდება სახელმძღვანელოების განახლება? ▪ ასეთის არსებობის შემთხვევაში, ვინ არის შერჩევის პროცედურის წარმართვაზე პასუხისმგებელი? ▪ რას გულისხმობს, რა ეტაპებისგან შედგება სახელმძღვანელოს შერჩევის დამტკიცების პროცედურა? ▪ როგორია ფასის/ხარისხის თანაფარდობა სახელმძღვანელოს შერჩევის დროს? ▪ როგორ არის უზრუნველყოფილი საავტორო/ბეჭდვის უფლებების რეალიზების საკითხი?
სახელმძღვანელოს შერჩევის პროცესის გამჭვირვალობა და ინკლუზიურობა	▪ ვინ არიან სახელმძღვანელოს შემფასებლები? ▪ რამდენად გამჭვირვალეა სახელმძღვანელოს შემფასებლის შერჩევის/შეფასების პროცედურა? ▪ არის თუ არა პროცესი ღია საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის? ▪ რა არის ხარისხიანი სახელმძღვანელოს შეფასების კრიტერიუმები? ▪ როგორ მონაწილეობენ წიგნების შერჩევაში სკოლა და მასწავლებლები?
სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის	▪ ვინ ყიდულობს სახელმძღვანელოს, მშობელი, სკოლა თუ სახელმწიფო? ▪ უზრუნველყოფილია თუ არა ყველა მოსწავლისთვის/ მასწავლებლისთვის ვარგისი და მაღალი ხარისხის სახელმძღვანელო?
სახელმძღვანელოების ინკლუზიურობა	▪ არის თუ არა სახელმძღვანელოების ინკლუზიურობა სახელმძღვანელოების პოლიტიკის პრიორიტეტი? ▪ უზრუნველყოფს თუ არა არსებული პროცედურა სახელმძღვანელოს შინაარსის ინკლუზიურობას საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით?

[26] UNESCO. «Making Textbook Content Inclusive: A Focus on Religions, Gender and Culture.» (2011); mart, Andy, and Shanti Jagannathan. *Textbook policies in Asia: development, publishing, printing, distribution, and future implications* (Asian Development Bank, 2018); Roberts-Schweitzer, Eluned, Vincent Greaney, and Krezentia Duer, eds. *Promoting Social Cohesion Through Education: Case Studies and Tools for Using Textbooks* (The World Bank, 2006).

სახელმძღვანელოების პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლები ტრანზიტულ სისტემებში

კვლევის მიზნებისთვის ტრანზიტულ მოდელად მოიაზრება სისტემა, რომელშიც:

- სახელმწიფო ცენტრალიზებულად განსაზღვრავს ეროვნულ სასწავლო გეგმას და შესაბამისად აწესებს გარკვეულ სტანდარტს, რომელსაც სახელმძღვანელო უნდა აკმაყოფილებდეს;
- არსებობს სისტემა, პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს სახელმძღვანელოს სტანდარტთან შესაბამისობას და გამოარჩევს მას ბაზარზე არსებული სხვა სახელმძღვანელოებისგან;
- სკოლებს აქვთ არჩევანის თავისუფლება მხოლოდ სამინისტროს მიერ დამტკიცებულ სახელმძღვანელოებს შორის.

აღნიშნული მოდელი დამახასიათებელია იაპონიისთვის, ხოლო ვიეტნამმა 2015 წელს გამოაცხადა „ერთი სასწავლო გეგმა, ბევრი სახელმძღვანელოს“ პოლიტიკა. რაც შეეხება ევროპას, მსგავსი სისტემა მოქმედებს რუმინეთში, ხორვატიაში, ბულგარეთში, სერბეთში, თურქეთში.[27] სახელმძღვანელოების შემუშავების ტრანზიტული პოლიტიკის ანალიზისთვის სამი პრინციპული საკითხია მნიშვნელოვანი:

- არჩევანის საშუალება სახელმძღვანელოებს შორის და მათი როლი ზოგადი განათლების მიზნების მიღწევასა და შედეგების შეფასებაში;
- სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების ხარისხი და პროცესის გამჭვირვალობა;
- სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა.

ტრანზიტულ სისტემაში სახელმწიფოს მხრიდან სისტემის დეცენტრალიზაციისა და ბაზრის დერეგულირების საკითხი განპირობებულია როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური კონტექსტით. ამასთან, არაერთი ქვეყანა ირჩევს ბევრი სახელმძღვანელოს პრინციპს, არჩევანის საშუალების უზრუნველყოფის მიზნით.

მრავალი სახელმძღვანელოს მიდგომა გულისხმობს, რომ სკოლებს აქვთ არჩევანი რამდენიმედან შეარჩიონ საუკეთესო. მიჩნეულია, რომ განათლების სისტემა, რომელიც სკოლას და უშუალოდ მასწავლებელს აძლევს საშუალებას, თავად აირჩიონ სახელმძღვანელოები, უკეთეს შედეგებს აჩვენებს.[28] მნიშვნელოვანია, რომ ასეთ შემთხვევებში, სახელმძღვანელო მეტად არის ორიენტირებული ეროვნულ სასწავლო გეგმაზე და ნაკლებად - გამოცდებზე. გარდა ამისა, მასწავლებელთა მონაწილეობა უზრუნველყოფს, რომ სახელმძღვანელო უფრო მეტად პრაქტიკულია, ვიდრე აკადემიური (აღნიშნული გამოწვევაა იმ შემთხვევაში, თუ შეფასებასა და შემუშავებაში მნიშვნელოვან როლს განათლების სამინისტრო ან აკადემიური სფეროს წარმომადგენლები ასრულებენ). გასათვალისწინებელია, რომ საგამოცდო საკითხები მხოლოდ ერთ სახელმძღვანელოზე არ უნდა იყოს მორგებული. ჩინეთის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ გამოცდებში გათვალისწინებულია ყველა გამოყენებადი სახელმძღვანელო. რაც შეეხება მათ ხელმისაწვდომობას, ამ შემთხვევაში ტრანზიტულ ქვეყნებში განსხვავებული მოდელები მოქმედებს: შესაძლოა, სახელმძღვანელოები ყველა მოსწავლისთვის ან კონკრეტული საფეხურის მოსწავლეებისთვის იყოს უფასო, ან ფინანსდებოდნენ მხოლოდ მოწყვლადი ჯგუფები.

სახელმძღვანელოების შექმნის, შეფასებისა და დამტკიცების პროცესი

ტრანზიტული მოდელების პრაქტიკა აჩვენებს, რომ სახელმძღვანელოების შექმნის პროცესი რამდენიმე საფეხურისგან შედგება, ესენია:

- სახელმძღვანელოს პროტოტიპის შექმნა და წარდგენა;
- სახელმძღვანელოს შეფასება და დამტკიცება;
- სახელმძღვანელოს ბეჭდვა და მიწოდება.

სახელმძღვანელოს წარდგენა კონკურსში მონაწილეობისთვის: ტრანზიტული მოდელების ქვეყნებს ძირითადად ორსაფეხურიანი შეფასების სისტემა აქვთ. პირველ ეტაპზე სახელმძღვანელოს მაკეტს წარადგენენ გამომცემლობები ან ავტორთა ჯგუფი, რაზეც დეტალურ უკუკავშირს იღებენ. ამ შემთხვევაში გამომცემლობებიც და ავტორებიც დაცულები არიან დამატებითი შრომისგან. ამის შემდეგ მუშაობა გრძელდება რეკომენდაციების გათვალისწინებასა და სახელმძღვანელოს საბოლოო ვერსიის მომზადებაზე. განვითა-

[27] Country profiles, *European Commission*, 2020, available at: https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/.

[28] Performers, Strong, and Successful Reformers. «Lessons from PISA for the United States» (2010): 237-241.

რებულ სისტემებში სახელმძღვანელოს ქმნის ავტორთა ჯგუფი, რომელშიც ძირითადად გაერთიანებულნი არიან პრაქტიკოსი მასწავლებლები და შესაძლოა, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები. ასეთია, მაგალითად, გერმანიისა და იაპონიის პრაქტიკა.

სახელმძღვანელოს შემფასებლები: ძირითად შემთხვევებში შემფასებელთა ჯგუფი დაკომპლექტებულია როგორც საგნის ექსპერტებით, ასევე პრაქტიკოსი მასწავლებლებით. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ სისტემისთვის პროცესის გამჭვირვალობა პრიორიტეტულია, წახალისებულია მასწავლებელთა და საგნის ექსპერტების ყოველწლიური როტაცია. გამოწვევაა წიგნის ავტორების მონაწილეობა შემფასებლის რანგში. მსგავსი პრაქტიკა გავრცელებული იყო პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ასევე სერბეთსა და საბერძნეთში, თუმცა, თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკაში ეს გადაწყვეტილება კორუფციის რისკის შემცველად მიიჩნევა. შესაბამისად, ქვეყნების უმრავლესობაში ავტორები საბჭოების წევრები არ არიან. შეფასების ჯგუფის შესარჩევი კრიტერიუმები განსხვავებულია, თუმცა, ძირითადად, გათვალისწინებულია რეგიონული და გენდერული ბალანსის საკითხები.[29]

მაგალითი 1:

სამხრეთ კორეის მაგალითზე[30] შეიძლება ითქვას, რომ შემფასებელთა ჯგუფი შედგება მინიმუმ 5 წევრისგან:

1. მასწავლებელი;
2. მკვლევარი, აკადემიური მიმართულებით;
3. მშობელი;
4. საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი;
5. სპეციალისტი საგამომცემლო სფეროდან (ადამიანი, რომელსაც აქვს გამოცდილება სახელმძღვანელოების გამოცემის კუთხით);
6. ხარჯთაღრიცხვის/ფინანსური საკითხების სპეციალისტი;
7. სხვა დაინტერესებული მხარეები, რომლებსაც აქვთ პროფესიული ცოდნა ან გამოცდილება თემატური საგნისა თუ სახელმძღვანელოს კუთხით.

შემფასებელთა ჯგუფში შესაძლოა იყოს არაშემფასებელი წევრიც, რომელიც მოდერატორის როლს შეასრულებს და დააკვირდება, თუ რამდენად სრულდება შეფასების მოთხოვნები. საჭიროების შემთხვევაში, მას უფლება აქვს, სთხოვოს ჯგუფის სხვა წევრებს, უფრო კონკრეტულად განმარტონ შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები.

[29] Smart, Andy, and Shanti Jagannathan. *Textbook policies in Asia: development, publishing, printing, distribution, and future implications*. (Asian Development Bank, 2018). National Policies in Europe, *European Commission, 2020,* available at: https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice Tamisoglou, Chrysa. "What effect does school history have on Greek nationality pupils in relation to their ideas about their own nation and 'significant other'nations and their people?." PhD diss., (University of East Anglia, 2011).

[30] Smart, Andy, and Shanti Jagannathan, 2018.

სახელმძღვანელოს შინაარსის შეფასება: რაც შეეხება სახელმძღვანელოს და შეფასების კრიტერიუმებს, საერთო პრაქტიკის მიხედვით, არის როგორც ზოგადი, ასევე საგნობრივი კრიტერიუმები, თუმცა დროთა განმავლობაში მიდგომა შეიცვალა და დღეს, საგნობრივთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სახელმძღვანელოს ტექნიკურ პარამეტრებსა და ელექტრონული სწავლების კომპონენტის გათვალისწინებას. დღითი დღე უფრო მნიშვნელოვანი ხდება სახელმძღვანელოების ინკლუზიურობის პრინციპის დაცვაც. ქვემოთ განხილულია სახელმძღვანელოს შემუშავების პრინციპები ჰონგ-კონგის მაგალითზე:

მაგალითი 2:

სახელმძღვანელოს შემუშავების პრინციპები შექმნილია ჰონგ-კონგის განათლების ბიუროს მიერ. აღნიშნული პერიოდულად ახლდება ამავე ბიუროს სახელმძღვანელოების კომიტეტის მხრიდან. მისი დანიშნულებაა:

- მისცეს კონკრეტული კრიტერიუმები მასწავლებლებს ხარისხიანი სახელმძღვანელოების შესარჩევად;
- იყოს ერთგვარი სახელმძღვანელო დოკუმენტი გამომცემლობებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთათვის.

<u>პრინციპები:</u>

1. შინაარსი: კურიკულუმი;
2. სწავლა-სწავლება: მეთოდოლოგია;
3. სტრუქტურა და ორგანიზება: აღნიშნული მჭიდროდ არის დაკავშირებული შინაარსთან; თუმცა გამომცემლობებს აქვთ შესაძლებლობა შემოქმედებითად და განსხვავებულად წარმოაჩინონ თემატიკა;
4. ენობრივი საკითხები;
5. სახელმძღვანელოს სქემა: ვიზუალური და ტექნიკური მხარეები (მაგ. ტექსტის ზომა, დაშორება და ა.შ.).

თითოეული პუნქტი ფასდება სხვადასხვა ქულის მიხედვით, მაქსიმალურად 1-დან 10-მდე. მაგალითად, პირველ პუნქტში შინაარსი - 1 ქულა ნიშნავს იმას, რომ სახელმძღვანელოს მიზანი და ამოცანები კავშირშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, ხოლო 10 ქულა ნიშნავს, რომ მოსწავლეებს ხელს უწყობს გაეცნონ დამატებით მასალებს და დამოუკიდებლად იმუშაონ. სახელმძღვანელოში მოცემულია დამატებითი საკითხავი მასალა თუ ვებგვერდები.

სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა

სახელმძღვანელოს ფასი და ძირითადი დანახარჯები: სახელმძღვანელოები და სასწავლო რესურსები განათლების სისტემის მნიშვნელოვან ხარჯს წარმოადგენს. ხარჯის შემცირების მიზნით მიჩნეულია, რომ სახელმძღვანელოების სიცოცხლისუნარიანობის გაზრდა მნიშვნელოვნად ამცირებს დანახარჯებს. გარდა ამისა, დაბალი შემოსავლების ქვეყნებში გასათვალისწინებელია ტირაჟის მოცულობა საგნებისა და საფეხურების მიხედვით და ხელახალი წარმოების კონტროლი. იმისათვის, რომ დაცული იყოს ბალანსი ხარჯებს, ეფექტიანობასა და ხარისხს შორის, რიგ შემთხვევებში სახელმწიფო ცდილობს კომერციულად გამოცემული სახელმძღვანელოების საცალო ფასის რეგულირებას, წიგნის ტექნიკური მახასიათებლების განსაზღვრისა და განფასების გზით.

სახელმძღვანელოების ბეჭდვა და მიწოდება: სახელმძღვანელოების დროული ბეჭდვა და მიწოდება წარმატებული სისტემის ერთ-ერთი ინდიკატორია. შესაბამისად, სახელმწიფოები ამ მხრივაც მნიშვნელოვან რესურსს ხარჯავენ. წიგნების ბეჭდვის თვალსაზრისით ტრანზიტულ სისტემებში რამდენიმე მოდელია გავრცელებული: წიგნებს ბეჭდავს სახელმწიფო სტამბა ან სახელმწიფო ტენდერში გამარჯვებული გამომცემლობა. შესაძლებელია, სახელმწიფომ შეიძინოს უკვე მზა სახელმძღვანელოებიც და მხოლოდ მისი განაწილება უზრუნველყოს.

გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, არსებობს სახელმძღვანელოების მიწოდების ოთხი მოდელი:

- ცენტრალიზებულად, უფასო დამზადება და მიწოდება სახელმწიფოს მიერ ერთჯერადი ან განმეორებითი გამოყენების პირობით. მსგავსი სისტემა მოქმედებს თურქეთში;
- სახელმძღვანელოების გაქირავების სისტემა, გაქირავების თანხას იხდიან მშობლები. ეს სისტემა მოქმედებდა სერბეთში და ასევე ყოფილ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში;
- სახელმძღვანელოების შეძენა მშობლების მიერ.

თუმცა, ვხვდებით კომბინირებულ მიდგომებსაც. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სერბეთისა და აზიის რამდენიმე ქვეყნის მოდელი.

მაგალითი 3:

სერბეთში სახელმძღვანელოების ლიცენზირების სისტემა მოქმედებს. კონკურსი ცხადდება 4 წელიწადში ერთხელ და გამონაკლის შემთხვევაში უფრო ადრე, სასწავლო გეგმის განახლების მიზეზით. წიგნებს წინასწარ დამტკიცებული კატალოგიდან არჩევენ სკოლები.

ყოველწლიურად მოწყვლადი და სოციალურად შეჭირვებული ოჯახების ბავშვებისთვის სახელმძღვანელოების სრული ან ნაწილობრივი დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა და ადგენს კონკრეტულ წესს. ეს წესი განსაზღვრავს, რომელი საფეხურისა და სახელმძღვანელოს სუბსიდირება ხდება სახელმწიფოს მიერ. ასევე განისაზღვრება კრიტერიუმები, რომლის მიხედვით წყდება, ეკუთვნის თუ არა მოსწავლეებს დაფინანსება.

განსხვავებული წესი მოქმედებს უმცირესობების ენაზე დაბეჭდილი ან საპილოტე პროგრამის ფარგლებში შემუშავებული მცირეტირაჟიანი წიგნებისთვის.[31] ამ შემთხვევაში გამომცემლობები ვალდებულნი არიან, მათთვის სახელმძღვანელოების ბეჭდვით მიღებული საერთო შემოსავლების 2% გამოყონ.

მაგალითი 4: ქვეყანა	პრაქტიკა
ჰონგ-კონგი, ჩინეთი	მშობლები თავად ყიდულობენ სახელმძღვანელოებს, ხოლო მათი ფასი არ რეგულირდება სახელმწიფოს მიერ და დამოკიდებულია გამომცემლობებზე.
ინდოეთი	სახელმძღვანელოები მეტწილად უფასო და მრავალჯერადად გამოყენებადია.
ბანგლადეში	
შრი-ლანკა	
ინდოეთი	
ინდონეზია	სახელმძღვანელოების ყიდვა მეტწილად მშობლების პასუხისმგებლობაა.
იაპონია	სახელმწიფო გამომცემლობებს უხდის ფიქსირებულ თანხას, ხოლო თავად სახელმძღვანელოები უფასოდ მიეწოდებათ მოსწავლეებს. მასწავლებლის წიგნის შეძენა ხდება სკოლების მიერ.
ჩინეთი	მოქმედებს უფასო სახელმძღვანელოების სისტემა (მოსწავლეები წლის ბოლოს აბრუნებენ სახელმძღვანელოებს).
კორეის რესპუბლიკა	სახელმძღვანელოს ფასები განისაზღვრება გამომცემლობების მიერ, თუმცა სახელმწიფოს გარკვეულ შემთხვევებში შეუძლია ჩარევა ფასის რეგულირების მიზნით.
სინგაპური	გარდა სოციალურად დაუცველი ჯგუფებისა, მშობლებს თავად უხდებათ სახელმძღვანელოს შეძენა. გარკვეულ სიტუაციებში სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა ჩაერიოს ფასების რეგულირების საკითხებში.

[31] Maghnouj, Soumaya, Daniel Salinas, Hannah Kitchen, Caitlyn Guthrie, George Bethell, and Elizabeth Fordham. «The Serbian education system» (2020).

სახელმძღვანელოების შინაარსის ინკლუზიურობა მრავალფეროვნებისა და ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონტექსტში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განათლების სისტემები განსხვავდებიან მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის კონტექსტში. კერძოდ, შესაძლოა განათლების სისტემა დომინანტური იდეოლოგიით იმართებოდეს და პოლიტიკისა და პრაქტიკის დონეზე უმცირესობების უგულებელყოფას ცდილობდეს. ხოლო, მეორე მხრივ, ვხვდებით სისტემებს, რომლებშიც მრავალფეროვნება, სოციალური ინკლუზია და პლურალიზმი პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის ძირითადი პრინციპია.[32]

უთანასწორობისა და შესაძლო დისკრიმინაციის იდენტიფიცირება განათლების სისტემაში საჭიროებს მართვისა და მონიტორინგის, ასევე ინფორმაციის შეგროვების გამართულ სისტემას. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიმღებებთან ერთად კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება ნებისმიერ პროცესს, რომელიც მრავალფეროვნების საკითხებს შეეხება. ეს პროცესი შეიძლება იყოს ღია, გამჭვირვალე და მონაწილეობითი.

აღიარებულია, რომ სახელმძღვანელოს გამოცემის ნებისმიერი მოდელი უნდა უზრუნველყოფდეს მათ ინკლუზიურობას, ვინაიდან ყველა მოსწავლის უფლებაა მიიღოს ხარისხიანი განათლება, რომელიც ითვალისწინებს სამართლიანობისა და თანასწორობის საკითხებს.

 სახელმძღვანელოს შინაარსის ინკლუზიურობა გულისხმობს, რომ მისი შინაარსი, ენა, ვიზუალური მახასიათებლები არ შეიცავს ინდივიდის დისკრიმინაციის ნიშნებს რელიგიური, გენდერული, კულტურული თუ რაიმე სხვა მოტივით.

ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს მსოფლიო ბანკი და გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO). ორივე ინსტიტუციის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების განახლებას.

მაგალითი 5:

სახელმძღვანელოების ინკლუზიურობის მონიტორინგისთვის UNESCO ქვეყნებს სთავაზობს შეფასების ჩარჩოს. შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია:

- სახელმძღვანელოში ინკლუზიური და ნეიტრალური ენის გამოყენება;
- განსხვავებული იდენტობის წარმოჩენა და მიღება;
- ადამიანის უფლებების ინტეგრირებული სწავლება.

დისკრიმინაციის საფუძველი შეიძლება იყოს განსხვავებული, შესაბამისად, კონკრეტული მიმართულებით გამოყენებული კრიტერიუმებიც სხვადასხვაა.

მაგალითად, გენდერული თანასწორობის კუთხით სახელმძღვანელოების მხრივ სამი ძირითადი შეკითხვა უნდა დაისვას:

- შეიცავს თუ არა მიუკერძოებელ ხედვას/ინფორმაციას ადამიანის სრული პოტენციალის შესახებ როგორც კაცის, ასევე ქალის შემთხვევაში (ტექსტობრივადაც და ილუსტრაციებითაც);
- შეიცავს თუ არა სექსისტურ ენას;
- რამდენად თანასწორად წარმოაჩენს კაცსა და ქალს (იგულისხმება გაშუქების ხარისხი და მასშტაბი).[33]

ის, თუ რამდენად არის ეს საკითხები გათვალისწინებული სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში, უნდა დადგინდეს შინაარსის რევიზიის დროს, საბჭოს მიერ.

გამომდინარე იქიდან, რომ ტრანზიტულ სისტემებში სახელმძღვანელოების შინაარსი დიდწილად ეროვნულ სასწავლო გეგმას ეფუძნება, იმ შემთხვევაში, თუ ზოგადი განათლების მიზანი მოსწავლეებისათვის სოციალური ინტერკულტურული ღირებულებების, ემპათიისა და ტოლერანტობის უნარის განვითარებაა, ეს უკანასკნელი, უწინარეს ყოვლისა, ასახული უნდა იყოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში, საგნობრივ და სახელმძღვანელოების შეფასების სტანდარტში.

თუმცა, რამდენად შეესაბამება სტანდარტი შინაარსს, რთული სათქმელია სახელმძღვანელოების კონტენტ-ანალიზის გარეშე. ამ შემთხვევაში საერთაშორისო პრაქტიკაზე საუბარი შესაძლებელია იმ სტანდარტების კონტექსტში, რომელსაც ორგანიზაციები აწესებენ განათლების უფლების რეალიზებისა და განათლების ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად.

[32] Miao, Fengchun, Sanjaya Mishra, and Rory McGreal. *Open educational resources: policy, costs, transformation* (UNESCO Publishing, 2016).

[33] De Decker, Jolien, Manoëlle Verschueren, and Barbara Ávila (Paris: The United Nations Educational, Scientific and Cultural Organization, 2017).

შეჯამება

სახელმძღვანელოების შერჩევისა და დამტკიცების საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ განათლების სისტემის მართვის იდეოლოგიის შესაბამისად, სახელმძღვანელოების პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტის გადაწყვეტა აისახება როგორც მათ ხარისხზე, ასევე ხელმისაწვდომობასა და ინკლუზიურობაზე. აქედან გამომდინარე, დეცენტრალიზაციის ხარისხისა და კერძო სექტორისთვის ბაზრის დერეგულირების სარგებელი სწორედ ამ კრიტერიუმებთან მიმართებით უნდა შეფასდეს.

სახელმძღვანელოების დამტკიცების მექანიზმის ტრანზიტული მოდელების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოებში, სადაც სახელმძღვანელო ძირითად და მთავარ სასწავლო რესურსს წარმოადგენს, კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროცესების გამჭვირვალობის, სამართლიანი და ინკლუზიური შერჩევის პრინციპების გათვალისწინება.

აღნიშნული განსაკუთრებით საგულისხმოა სწავლების შინაარსის დაგეგმვაში სოციალური ინკლუზიის პრინციპების გასათვალისწინებლად, რათა სახელმძღვანელოები სოციალური უთანასწორობისა და უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის შელახვის ხელშემწყობ ინსტრუმენტად არ იქცეს.

ნაშრომის შემდეგ ნაწილში მიმოვიხილავთ სახელმძღვანელოების პოლიტიკას საქართველოს კონტექსტში.

ნაწილი II

სახელმძღვანელოების შემუშავების, შეფასებისა და დამტკიცების პოლიტიკის ანალიზი საქართველოში, თანასწორობისა და ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონტექსტში

საქართველოში ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით შემუშავებული პოლიტიკა ზოგადი განათლების სისტემაში

საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვა

თანასწორობის პრინციპების დაცვა ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი მდგენელია და გარანტირებულია როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობით.

კონსტიტუციის მე-5 მუხლის შესაბამისად, საქართველო სოციალური სახელმწიფოა, რომლის ზრუნვის საგნად განსაზღვრულია საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, თანასწორობისა და სოციალური პრინციპების განმტკიცება. თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით, კონსტიტუციის მე-11 მუხლით აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით. სახელმწიფო ვალდებულია ყველა მოქალაქისათვის, განურჩევლად ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უზრუნველყოს თავიანთი კულტურის შენარჩუნების, განვითარებისა და მშობლიური ენის პირად ცხოვრებაში თუ საჯაროდ გამოყენების უფლება. ასევე, სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს ქალებისა და მამაკაცებისთვის თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებზე წვდომისა და არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოში ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის სრულყოფისა და დისკრიმინაციის შემთხვევებთან ბრძოლის ერთიანი საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად, 2014 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი[34].

„კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა“.

კანონის მე-2 მუხლი განმარტავს პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის ფორმებს:

პირდაპირი დისკრიმინაცია *გულისხმობს ისეთი მოპყრობის ან პირობების შექმნას, რომელიც პირს ხელს უშლის კანონით დადგენილი უფლებებით სარგებლობაში, რაიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს.*

ირიბი დისკრიმინაციის ფორმაში მოიაზრება *ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა. ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო, პირს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს თანაბარ მდგომარეობაში აყენებს.*

კანონის მე-4 მუხლის მიხედვით, დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ყველა ორგანიზაცია ვალდებულია, თავისი საქმიანობა და მარეგულირებელი აქტები კანონთან თანხვედრაში მოიყვანოს და დისკრიმინაციის ფაქტზე რეაგირების დროს კანონის მიხედვით იმოქმედოს.

საქართველოს სახელმწიფოს თანასწორობის პრინციპების დაცვას ავალდებულებს ის საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც ხაზს უსვამს როგორც დისკრიმინაციის ცალკეული ფორმების, ასევე ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრის აუცილებლობას. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-7 მუხლის მიხედვით, ყოველი ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ამ დეკლარაციის დამრღვევი ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისგან. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 26-ე მუხლი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, უზრუნველყონ კანონის წინაშე თანასწორობა და დისკრიმინაციული ქმედებების აღკვეთა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-14 მუხლით. ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა.

თანასწორობის პრინციპების დაცვის, ფუნდამენტური უფლებების განხორციელებისა და საკუთარი კულტურული და ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების დაცვის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტად განათლების უფლების შეუზღუდავი რეალიზება მოიაზრება. გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26-ე მუხლი განმარტავს, რომ განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი

[34] საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (2 მაისი, 2014).

თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას. ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის მე-12 და მე-14 მუხლები ხაზს უსვამს განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობასა და თანაბარი შესაძლებლობების შექმნას ყველასთვის. ამ მუხლებში საუბარია მულტიკულტურული და ინტერკულტურული განათლების უზრუნველყოფის მნიშვნელობაზე, ამ პროცესში მასწავლებელთა ადეკვატურ გადამზადებასა და ხარისხიანი სახელმძღვანელოების მომზადებაზე.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 29-ე მუხლის შესაბამისად, განათლება უნდა ემსახურებოდეს „ბავშვისათვის ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში განცხადებული პრინციპებისადმი პატივისცემის გაღვივებას, მათ შორის, ადამიანის უფლებების სწავლების მეშვეობით“.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიზნით შემუშავებული სახელმწიფო პოლიტიკის მიმოხილვა

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი. ასევე, ის საერთაშორისო შეთანხმებები და ჩარჩო დოკუმენტები, რომელთა შესრულებაზეც სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, მათ შორის, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ და გაეროს მდგრადი განვითარების მე-4 მიზნის ფარგლებში ეროვნულ დონეზე განსაზღვრული ინდიკატორები.

საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მიხედვით, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების, ხოლო 27-ე მუხლის შესაბამისად, განათლების მიღებისა და მისი ფორმის შერჩევის უფლება.

ზოგადი განათლების სისტემის მიზანია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბება. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში ისიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქის აღზრდას: [35]

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს ზოგადი განათლების ღიაობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მე-9 მუხლის განმარტებით, ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება. მე-13 მუხლი ქმნის ნეიტრალურობისა და ყველა სახის დისკრიმინაციისგან დაცვის წინაპირობებს, ასევე დაუშვებლად მიიჩნევს სასწავლო პროცესის რელიგიურ ინდოქტრინაციას, პროზელიტიზმისა და იძულებითი ასიმილაციის მიზნებისთვის გამოყენებას. იგივე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები სკოლას ვალდებულებად განუსაზღვრავს, უზრუნველყოს სასკოლო გარემოში შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრება, განურჩევლად მოსწავლის/მშობლის/მასწავლებლის სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა. გარდა ამისა, განუსაზღვრავს, დაიცვას ეთნიკური უმცირესობების მიერ თავიანთი კულტურული კუთვნილების გამოხატვის უფლება,[36] ხოლო კანონის მე-18 მუხლი უზრუნველყოფს მოსწავლის, მასწავლებლისა და მშობლისათვის რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლების დაცვას და დაუშვებლად მიიჩნევს მათთვის ისეთი ვალდებულებების დაკისრებას, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს“.

განათლების სექტორის და განსაკუთრებით ზოგადი განათლების ხელშეწყობა, სამთავრობო სტრატეგია 2014-2020-ის მიხედვით, ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი ძირითად პრიორიტეტად არის მიჩნეული.[37] განათლების სფეროში სახელმწიფოს სტრატეგიის განხორციელების მიზნით შემუშავებულია განათლებისა და მეცნიერების სისტემის ერთიანი სტრატეგია 2017-2021.

სტრატეგია, მოსწავლეების მომავალი ცხოვრებისთვის მომზადების მიზნით, ზოგადი განათლების სისტემის სპეციფიკურ მიზნად განსაზღვრავს მაღალი ხარისხის განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო შედეგების უზრუნველყოფას.[38]

[35] საქართველოს მთავრობის დადგენილება №84. „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ (18 ოქტომბერი, 2004).

[36] საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ (25 აპრილი 2005).

[37] საქართველოს მთავრობის დადგენილება N400 საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე (2014).

[38] განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. *განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიანი სტრატეგია* 2017-2021 (2017).

თანასწორობის, სწავლა-სწავლების პროცესის ინკლუზიურობისა და განათლების თანაბარი, თანასწორი მიწოდების უზრუნველყოფა ასახულია განათლების სტრატეგიის ძირითად მიმართულებებში.

N1 სტრატეგიული ამოცანის ფარგლებში, სახელმწიფომ ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა უნდა უზრუნველყოს ეროვნული უმცირესობების, სპეციალური საჭიროებების, სოციალურად დაუცველი, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები და მაღალმთიანი სოფლების მოსწავლეებისთვის. ამოცანის მიღწევის ძირითად მექანიზმად მოაზრებულია სოციალური პროგრამებისა და ქვეპროგრამების განვითარება, კერძოდ: მოსწავლეთა უზრუნველყოფა უფასო ტრანსპორტით და სახელმძღვანელოებით, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა და სასკოლო, მათ შორის, ადაპტირებული ინფრასტრუქტურის განვითარება.

თანასწორობის პრინციპების, ადამიანის უფლებების დაცვისა და ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის ასპექტებს ითვალისწინებს სტრატეგიული ამოცანები 2 და 3. ზოგადი განათლების პრიორიტეტია თანასწორობის, ინკლუზიურობისა და არაძალადობრივი გარემოს შექმნა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის და სწავლა-სწავლების პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით წარმართვა. ამ მიმართულებით, ძირითადი აკადემიური მიზნების მიღწევასთან ერთად, აღნიშნულია მოსწავლეებისთვის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ჩამოყალიბების, ადამიანის უფლებებისა და ინტერკულტურული განათლების სწავლების მნიშვნელობა.

ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში, აღნიშნული ამოცანები ასახულია შესაბამის მხარდამჭერ პროგრამაში მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმისა და ახალი სკოლის მოდელის დანერგვის გზით, ასევე, სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის ნაწილში, მასწავლებლების პროფესიული განვითარების მოდულებსა და ინკლუზიური განვითარების მხარდამჭერ პროგრამებში.[39]

ეროვნული სასწავლო გეგმა სწავლების შინაარსის, ორგანიზების პრინციპების განმსაზღვრელი დოკუმენტია, შესაბამისად, შემდეგ ქვეთავში მიმოვიხილავთ მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეფციას ადამიანის უფლებების სწავლების, თანასწორობის პრინციპების დაცვისა და მოსწავლეებში ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების კონტექსტში.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიმოხილვა

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა 2014-2016 წლებში შემუშავდა. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ, კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას. სწავლა-სწავლების პროცესის და ცოდნის აქტიური კონსტრუირების მიზნით შემუშავდა სწავლის ჰოლისტური დიზაინი, რომელიც შედგება საკვანძო ცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საკვანძო კითხვებისა და კომპლექსური დავალებებისგან[40].

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში აქცენტი კეთდება სამოქალაქო განათლების სწავლების გაძლიერებაზე დაწყებით და საბაზო საფეხურზე, რაზეც მიანიშნებს სასწავლო ბადეში ახალი საგნების - „მე და საზოგადოება“ და „მოქალაქეობა“ დამატება. კონცეფციის ნაწილში აღწერილია მოსწავლეებში თანასწორობის, ტოლერანტობის მრავალფეროვნების გააზრებასთან დაკავშირებული ასპექტები როგორც გამჭოლი, ასევე საგნობრივი კომპეტენციების ჭრილში.

თანასწორობის, ტოლერანტობისა და ინტერკულტურულ მგრძნობელობასთან დაკავშირებული კომპეტენციები ძირითადად ასახულია მე-7 მუხლში, ეთიკის და, ნაწილობრივ, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის კომპეტენციების განმარტებაში.

ეთიკის კომპეტენცია მოიაზრებს მოსწავლეებისათვის[41] ეთიკური ნორმების დაცვის, სოლიდარობის განცდის, ემპათიის, განსხვავებულობის მიმღებლობის, საკუთარ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრების უნარის განვითარებას. კომუნიკაციისა და თანამშრომლობის კომპეტენციის ფარგლებში მოსწავლემ უნდა შეძლოს განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა და პიროვნული ღირსების გააზრება და დაფასება.

[39] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობა: პროგრამის კონცეფცია (თბილისი: 2019).
ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამები, განათლება ხელმისაწვდომია: http://inclusion.ge/geo/static/19.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №06/ნ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ (29 იანვარი, 2019).

[40] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, *ეროვნული სასწავლო გეგმა,* კარი I - სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური საკითხები *(2018წ).*

[41] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, *ეროვნული სასწავლო გეგმა,* კარი I. თავიII. თავი II. სწავლა-სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები (2018).

მე-8[1] მუხლის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობებისთვის ენის სწავლების მიმართულებით, ბილინგვური სწავლების ფარგლებში, ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოზარდის უფლებას, ასაკის შესაბამისად, მშობლიურ ენაზე დაეუფლოს წიგნიერ მეტყველებას.

ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდურ ორიენტირებში ხაზგასმულია მოსწავლეზე ფოკუსირებული სწავლების მნიშვნელობა. აღნიშნულია, რომ ყველა მოსწავლე უნიკალურია და აუცილებელია სწავლა მიმდინარეობდეს ისეთ პოზიტიურ გარემოში, რომელშიც მოსწავლე თავს გრძნობს დაფასებულად და აღიარებულად.[42]

თანასწორუფლებიანობის დაცვა სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკის ძირითად პრინციპად არის მიჩნეული. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით დაუშვებელია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების საფუძველზე განაწილება ან/და სკოლის მიერ მოსწავლეთა მიღებისათვის ბარიერების შექმნა, სეგრეგაცია სასკოლო მზაობის ან მიღწევების დონის მიხედვით. მოსწავლეებისათვის განვითარების თანაბარი პირობების შესაქმნელად სკოლა ვალდებულია, მათ მრავალფეროვანი, ინდივიდუალურ მიდგომაზე დაფუძნებული სწავლება შესთავაზოს. თავის მხრივ, მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში.

ეროვნულის სასწავლო გეგმის პრიორიტეტული მიმართულებებიდან ერთ-ერთი კულტურული მრავალფეროვნებაა. აღნიშნული იკვეთება ესგ-ის მიერ სკოლის საერთო კულტურის ძირითად მახასიათებლებში. კერძოდ, მე-18 მუხლში სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესისა და სხვა დამატებითი აქტივობების განხორციელების მიზნად განსაზღვრულია:

„ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრება სკოლის საზოგადოების წევრებს შორის, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა“.

ასევე განმარტებულია, რომ სკოლის საერთო კულტურა მოზარდს უნდა დაეხმაროს კულტურათაშორისი დიალოგის წარმართვაში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ და ხელი შეუწყოს კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების დამკვიდრებას და შემწყნარებლური (ტოლერანტული) ღირებულებების ჩამოყალიბებას. ეს უკანასკნელი გულისხმობს:

„ქვეყანასა თუ მსოფლიოში არსებული მრავალფეროვნების მიმღებლობას და პატივისცემას, რაც ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. სკოლის საერთო კულტურამ ხელი უნდა შეუწყოს მოზარდს იმის გააზრებაში, რომ ყოველი ადამიანი წარმოადგენს გარკვეული ენის, კულტურის, ტრადიციის მატარებელ ინდივიდს, რომელსაც თავისი უნიკალური წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნისა თუ საზოგადოების წინსვლაში.“ [43]

საბაზო საფეხურის საგნობრივი სტანდარტების შესაბამისობა თანასწორობის პრინციპებთან

თანასწორობისა და მრავალფეროვნების, ადამიანის უფლებების სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები ასახულია საგნობრივ სტანდარტებში როგორც მიზნების, ასევე შედეგების ნაწილში. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში განახლებულია მხოლოდ დაწყებითი და საბაზო საფეხურის საგნობრივი სტანდარტები. კვლევის შერჩევის გათვალისწინებით, საგნობრივი სტანდარტები მიმოხილულია საბაზო საფეხურის საგნების მაგალითზე.

საბაზო საფეხურზე ისტორია საქართველოს და მსოფლიო ისტორიის ინტეგრირებულად სწავლებას გულისხმობს. საგნის სწავლა-სწავლების მიზნებს შორის აღნიშნულია, რომ ისტორია მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მოსწავლის ჰუმანურ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, პატრიოტ მოქალაქედ ჩამოყალიბებას.[44]

ისტორიის სტანდარტის შედეგების ნაწილში ასევე აღნიშნულია, რომ ისტორიის სწავლა-სწავლების პროცესი პატრიოტიზმის, სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებაზე ორიენტირებულად უნდა წარიმართოს.

მოსწავლემ საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ უნდა შეძლოს:[45]

- ფაქტების, ინტერპრეტაცია/მოსაზრებებისა და სტერეოტიპების ერთმანეთისგან გარჩევა;

[42] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, *ეროვნული სასწავლო გეგმა,* კარი I. თავიII. თავი III. ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები (2018).

[43] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, *ეროვნული სასწავლო გეგმა,* კარი I. თავიII. თავი II. სწავლა-სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები (2018).

[44] განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, *ეროვნული სასწავლო გეგმა: ისტორია, საბაზო საფეხურის სტანდარტი* (2018).

[45] განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, *ეროვნული სასწავლო გეგმა: ისტორია, საბაზო საფეხურის სტანდარტი (*2018).

- პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა კულტურული, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ;
- ისტორიული მაგალითების მოშველიებით სახელმწიფოებრივი აზროვნებისა (პატრიოტიზმი) და დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, მონაწილეობა) საჭიროების დასაბუთება.

გეოგრაფიის სტანდარტი საბაზო საფეხურზე კონტინენტებისა და საქართველოს გეოგრაფიის შესწავლას გულისხმობს. თანასწორობისა და მრავალფეროვნების, ასევე ადამიანის უფლებების სწავლების კონტექსტში გეოგრაფიის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს მოსწავლეებს სხვა ხალხების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება ჩამოუყალიბოს.

ამ მიზნის შესაბამისად, მოსწავლემ უნდა შეძლოს ყოველი გეოგრაფიული რეგიონისა და კონტინენტის შემთხვევაში მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლების (ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობა, სტრუქტურა, სიმჭიდროვე, განსახლება) ცვალებადობის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების გააზრება; ასევე, მოსახლეობის მახასიათებლების შესწავლა ეთნიკური, რასობრივი, ლინგვისტური მრავალფეროვნების კონტექსტში.[46]

ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის ფარგლებში საბაზო საფეხურზე მოსწავლეები შეისწავლიან სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტებს (ქართველ კლასიკოსთა თხზულებებს, თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურას, არამხატვრულ ლიტერატურას და ა.შ.).

თანასწორობისა და ტოლერანტული ღირებულების ასახვის კუთხით, საგნის სასწავლო მიზანია მოსწავლეს გამოუმუშავოს პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობა მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ზოგადად, ქართული კულტურის მიმართ, ხელი შეუწყოს მოსწავლეების სხვა კულტურების პატივისმცემელ, ჰუმანურ ღირებულებაზე ორიენტირებული, შემოქმედებითი და მაძიებელი პიროვნების ფორმირებას.[47]

სტანდარტი 3 ძირითად თემატურ ბლოკს გამოყოფს. აღნიშნული თემატური ბლოკები მოსწავლეს საშუალებას აძლევს იმსჯელოს ადამიანის, როგორც ინდივიდისა და საზოგადოების ნაწილზე, გაიაზროს მშობლიური ქვეყნის კულტურის, ტრადიციების მნიშვნელობა.

სტანდარტს თან ერთვის სავალდებულო ავტორთა სია. სავალდებულო ავტორთა სია შემცირებულია წინა სტანდარტთან შედარებით, თუმცა ამჯერადაც მხოლოდ ეთნიკურად ქართველ ავტორებს აერთიანებს. მეორე მხრივ, მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ თავად შეიტანონ სასწავლო მასალაში ახალი ლიტერატურა, შესასწავლი თემისა და სასწავლო მიზნების გათვალისწინებით.

რაც შეეხება ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტს: სწავლების ძირითად მიზნად განსაზღვრულია მოსწავლეების მიერ ენის სწავლის უნარის დაუფლება და სახელმწიფო ენის ფუნქციურად გამოყენება კომუნიკაციური მიზნების თუ სასწავლო საქმიანობათა განსახორციელებლად.

აღსანიშნავია, რომ თანაბარი შესაძლებლობის შექმნისა და ასევე კულტურული მრავალფეროვნების კონტექსტში, სტანდარტი მიზნად ისახავს მოსწავლეებისათვის სხვა კულტურების დაფასების, პატივისცემის უნარის განვითარებას და სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციას[48].

საბაზო საფეხურზე, სოციალური და კულტურული კომპეტენციების ნაწილში, მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- განსხვავებული კულტურული ნორმებისა და ღირებულებების გაგება-გააზრება და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა;
- განსხვავებულ კულტურულ კონტექსტებში ინტეგრირება.[49]

თანასწორობისა და კულტურული მრავალფეროვნების საკითხები, ტოლერანტობისა და ჰუმანური ღირებულებების განვითარების, ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების სხვადასხვა ასპექტი ასახულია სახვითი ხელოვნებისა და უცხო ენის სტანდარტებში. რაც შეეხება მოქალაქეობას, აღნიშნული საგნის თვითმიზანი სწორედ ადამიანის უფლებების, თანასწორობისა და დემოკრატიის პრინციპების სწავლებაა. შესაბამისად, სტანდარტის მიზნებს დამოუკიდებლად არ განვიხილავთ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეფცია და საგნობრივი სტანდარტები დიდწილად შეესაბამება თანასწორობის პრინციპებს და ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა

[46] განათლებისა და მეცნიერების *სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმა: გეოგრაფია, საბაზო საფეხურის სტანდარტი* (2018).

[47] განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, *ეროვნული სასწავლო გეგმა: ქართული ენა და ლიტერატურა, საბაზო საფეხურის სტანდარტი* (2018).

[48] განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, *ეროვნული სასწავლო გეგმა: ქართული, როგორც მეორე ენა საბაზო საფეხურის სტანდარტი (2018).*

[49] განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, *ეროვნული სასწავლო გეგმა: ქართული, როგორც მეორე ენა საბაზო საფეხურის სტანდარტი (2018).*

სწავლების ელემენტებს. გამომდინარე იქიდან, რომ საბაზო საფეხურზე სტანდარტის დანერგვა ჯერ არ დაწყებულა, რთულია იმის თქმა, თუ როგორ შეძლებენ სახელმძღვანელოს ავტორები და მასწავლებლები სტანდარტებში განხილული ცნებების მოსწავლეებისათვის მიწოდებას და ინტერპრეტირებას. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დემოკრატიის, სახელმწიფოებრიობის, თანასწორობის, პატრიოტიზმის, მრავალფეროვნების ცნებების შესწავლისათვის. ამ შემთხვევაში სასურველია, რომ სტანდარტებში, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი მეცნიერების ჯგუფში, მკაფიოდ იყოს წარმოჩენილი საქართველო, როგორც ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვანი ქვეყანა და აღნიშნული იყოს ეს ფაქტი, როგორც ქვეყნის კულტურული მრავალფეროვნების საფუძველი.

მეორე, საგნობრივ სტანდარტებს თან სდევს წლიური პროგრამები, რომლებიც მასწავლებლებისთვის სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა პრაქტიკა აჩვენებს, რომ რიგ შემთხვევაში პედაგოგები ზედმიწევნით მიჰყვებიან სტანდარტსა და გეგმას. ამიტომ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საგნობრივი სტანდარტების გადახედვა და ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების ნაწილში მრავალფეროვნების საკითხის უფრო მკაფიოდ წარმოდგენა. მაგალითად განვიხილოთ გეოგრაფიის მე-9 კლასის წლიური პროგრამა. ამ უკანასკნელში ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების საკითხი მოხსენებულია მხოლოდ სამხრეთ საქართველოს კონტექსტში და მკვიდრ წარმოდგენებში ნათქვამია, რომ:

„სამხრეთ საქართველო ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით გამოირჩევა“.

ასევე, კითხვის ნიშანს ბადებს ჩანაწერი გეოგრაფიის წლიური გეგმის თემატურ კითხვებში, რომ კათოლიკეები მხოლოდ სამხრეთ საქართველოში არიან.

მართებული იქნება ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, ლინგვისტური მრავალფეროვნების საკითხები ასეთივე ფორმით იყოს ასახული საქართველოს სხვა მხარეების შესწავლის ნაწილშიც, განსაკუთრებით მაღალმთიანი აჭარისა და ქვემო ქართლის კონტექსტში.

ცხადია, ეს საკითხები ამა თუ იმ ფორმით წარმოდგენილი იქნება სახელმძღვანელოებშიც, თუმცა მიგვაჩნია, რომ ვინაიდან ეს ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტია მასწავლებლებისათვის და, პირველ ყოვლისა, მათი წარმოდგენების კონსტრუირებას ისახავს მიზნად, ამ საკითხებზე ყურადღების გამახვილება დაეხმარება მათ მრავალფეროვნების, თანასწორობის საკითხების უკეთ გააზრებასა და მოსწავლეებისთვის ტოლერანტული ღირებულებების ჩამოყალიბებაში.

ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ერთ-ერთი მექანიზმია გრიფირებული სახელმძღვანელოები. შემდეგ თავში მიმოვიხილავთ საქართველოში სახელმძღვანელოების შემუშავების, ასევე სკოლაში დაშვების პოლიტიკას და პრაქტიკას.

სახელმძღვანელოების შემუშავების, შერჩევისა და დამტკიცების პროცედურა საქართველოში

საქართველოში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სახელმძღვანელოების შექმნისა და ხარისხის გაუმჯობესებისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. 1997 წელს, ფონდ „ღია საზოგადოების“ სახელმძღვანელოების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, გამომცემლობებს კონკურსში მონაწილეობის საშუალება მიეცათ.[50] ინიციატივამ ბიძგი მისცა ახალი სახელმძღვანელოების შექმნასა და სკოლებისთვის მიწოდებას, ასევე, სახელმძღვანელოების შემუშავების პროცესის მიმართ სანდოობის გაჩენას.

სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობის გაზრდას ისახავდა მიზნად მათი გაქირავების სისტემის შემუშავებაც. პროგრამა დაიწყო 2002 წლიდან მსოფლიო ბანკის მხარდაჭერილი, განათლების გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის ფარგლებში. შედეგად საპილოტე სკოლებში მშობლებს შეეძლოთ წიგნები საბაზრო ფასის 30%-ის საფასურად ექირავებინათ და წლის ბოლოს დაებრუნებინათ.[51] მიუხედავად ამისა, სახელმძღვანელოების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან გამოწვევად რჩებოდა.

2004 წლიდან განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმამ ძირეულად შეცვალა სახელმძღვანელოების შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა. 2006 წელს პირველი ეროვნული გეგმის დამტკიცებამ განაპირობა ახალი სახელმძღვანელოების შემუშავების აუცილებლობა.[52] პროცესს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი უძღვებოდა. სასკოლო წიგნების შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა რეკომენდებული სახელმძღვანელოს გრიფირების წესით განისაზღვრა.

[50] Open Society Georgia Foundation. *Review Report of the Georgian Education Development Project: Education Support Program* (2002).

[51] Giorgi Gabashvili, *The Case Studies* (Open Society Georgia Foundation, 2005).

[52] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, №841 ბრძანება ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ (28 სექტემბერი, 2006).

გრიფის მინიჭების წესის განვითარება ისტორიულ ჭრილში და არსებული პრაქტიკის მიმოხილვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 11 მაისის №428 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა რეკომენდებული სახელმძღვანელოსთვის გრიფის მინიჭების წესი,[53] რაც ორი გზით, კონკურსის ან პილოტირების საფუძველზე იყო შესაძლებელი. გრიფირების კონკურსში მონაწილეობა შეეძლოთ მხოლოდ გამომცემლობებს. გრიფი მოქმედებდა ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოების გავრცელებამდე. კონკურსის გზით სახელმძღვანელოს სტანდარტთან შესაბამისობას ადგენდა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი ექსპერტთა ჯგუფთან ერთად.

პილოტირებაში მონაწილეობა შეეძლოთ გამომცემლობებს განცხადებისა და საპილოტე მასალის წარდგენის საფუძველზე. პილოტირებაზე წიგნის დაშვება არ მოიაზრებდა მისთვის გრიფის მინიჭების აუცილებლობას. გრიფირების კონკურსი ცხადდებოდა ერთი ან რამდენიმე კლასის სახელმძღვანელოსთვის, მაგალითად, I, III, X კლასისთვის.

რეკომენდებული სახელმძღვანელოს გრიფირების წესი შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში უზრუნველყოფდა ასოციაციებისა და გამომცემლობების ჩართულობას, ასევე გამომცემლობებს უწევდა პროფესიულ მხარდაჭერას და აძლევდა ხარვეზების აღმოფხვრის საშუალებას პირობითი გრიფის მინიჭების გზით.[54] სტანდარტის დაკმაყოფილების შემდეგ სახელმძღვანელოს ენიჭებოდა გრიფი ან პირობითი გრიფი. რეკომენდებული სახელმძღვანელოს გრიფირების წესის შესაბამისად, სახელმწიფო არ ერეოდა ბეჭდვისა და გავრცელების უფლებამოსილებაში, საავტორო უფლებებსა და ფასის დადგენის პროცესში.

2007 წლისთვის გრიფირებული იყო 29 დიდი და მცირე გამომცემლის მიერ მომზადებული 167 სახელმძღვანელო. ახალი სახელმძღვანელოები, ესგ-ის ჯგუფის შეფასებით, ითვალისწინებდა მოსწავლეების ინდივიდუალურ თავისებურებებს, განსხვავებას სწავლის ფორმებსა და შესაძლებლობებში, გაუმჯობესებული იყო დიზაინი და ტექნიკური მახასიათებლები[55].

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 18 მარტის №138 ბრძანებით, რეკომენდებული სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების ახალი წესის საფუძველზე, გაუქმდა პილოტირების გზით სახელმძღვანელოსათვის გრიფის მინიჭების წესი და პირობითი გრიფირების შესაძლებლობაც.[56]

ცვლილებები აისახა ცენტრისა და გამომცემლობების უფლებამოსილებისა და ვალდებულების ნაწილშიც. ახალი წესი აღარ ავალდებულებდა ცენტრს საქმიანობა წარემართა გამომცემლობებთან და სახელმძღვანელოების გამომცემელთა ასოციაციებთან ურთიერთთანამშრომლობით.[57] ასევე, მე-12 მუხლის შესაბამისად, გრიფირების ვადა განისაზღვრა 6 წლით.

გრიფირების ამ წესში პირველად გაჩნდა ჩანაწერი, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ფასის რეგულირების მცდელობად შეიძლება იქნეს მიჩნეული. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ვ ქვეპუნქტი ავალდებულებს გამომცემლობას:

„წიგნის გრიფირების შემდგომ, პირველ სასწავლო წელს, უზრუნველყოს სახელმძღვანელოს გაყიდვა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ამ წესის დანართით გათვალისწინებულ სახელმძღვანელოს ანკეტაში გამომცემლობის მიერ მითითებული ფასის მიხედვით“.

2009 წელს დამტკიცებული წესი, განსხვავებით სხვა რედაქციებისგან, ითვალისწინებდა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების სპეციალური კატალოგის გვერდზე განთავსებას შეფასებებთან ერთად როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი შეფასების შემთხვევაში. სპეციალისტების შეფასებით, ამ გზით სახელმძღვანელოს ხარისხზე პასუხისმგებლობას ინაწილებდნენ გამომცემლობები, სახელმწიფო და სკოლები. მასწავლებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ ენახათ კონკრეტული სახელმძღვანელოს რეცენზია და თავად განესაზღვრათ, ღირდა თუ არა ამ სასწავლო რესურსის გამოყენება.

სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 15 მარტის №19 ბრძანების საფუძველზე, გაიზარდა მოთხოვნა სახელმწიფოს მხრიდან ავტორებისა და რედაქტორების გამოცდილებისა და კვალიფიკაციის კონტროლზე. გამომცემლობების ვალდებულებების ნაწილში გაჩნდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც მათ დაევალათ ცენტრთან ურთიერთობის წარმართვა ხელშეკრულების საფუძველზე, ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის წიგ-

[53] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N428 ბრძანება, რეკომენდებული სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ (11 მაისი, 2006).

[54] იქვე.

[55] *ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, წლიური ანგარიში 2007-08* (2007).

[56] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №138 ბრძანება რეკომენდებული სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ (18 მარტი, 2009).

[57] იქვე.

ნებისა და რვეულების დადგენილი რაოდენობის ერთეულების უსასყიდლოდ გადაცემა[58]. ამავე წესის მე-8 მუხლის საფუძველზე გრიფირების ვადა 5 წლით განისაზღვრა.

2011 წლიდან თვისებრივად შეიცვალა სახელმწიფოს პოლიტიკა განათლების სექტორში. განათლების პოლიტიკის ყველა მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის გაძლიერების ტენდენცია შეეხო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესსაც.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის №30/ნ ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭებისა და საფასურის დამტკიცების წესი. წესის საფუძველზე 3 ძირითადი ცვლილება განხორციელდა.

პირველ ყოვლისა, განსხვავებით წინა რედაქციებისგან, გრიფირების კონკურსში მონაწილეობის უფლება იურიდიულ პირებთან ერთად მიენიჭათ კერძო პირებს, ავტორს ან ავტორთა ჯგუფს.[59]

მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, გრიფირების კონკურსში მონაწილეობის მსურველს, გრიფირებისთვის წარმოდგენილი სახელმძღვანელოსთვის/სერიისთვის გრიფის მინიჭების შემთხვევაში, თანხმობა უნდა განეცხადებინა ცენტრისთვის მისი გამოყენების უფლებით, ჩვეულებრივი ან განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულებით გადაცემაზე.

ამავე წესის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებების პირობებში ცენტრს მიენიჭა უფლებამოსილება, სახელმძღვანელოს გამოყენების უფლება გადაეცა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, საავტორო უფლების მფლობელისათვის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს ტირაჟის ღირებულების 10%-ის ჰონორარის სახით გადახდის ვალდებულებით.

მესამე ცვლილება გულისხმობდა სახელმძღვანელოს სერიის გრიფირების პრინციპის შემოღებას. სერია განკუთვნილი უნდა ყოფილიყო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ერთი საგნისთვის, საფეხურის ფარგლებში. სერიის წარმოდგენის შემთხვევაში გრიფის მინიჭებისთვის დადგენილი მოთხოვნები უნდა დაეკმაყოფილებინა სერიის თითოეულ სახელმძღვანელოს, სხვა შემთხვევაში გრიფს ვერცერთი ვერ მიიღებდა.

მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, გრიფის მინიჭების ეტაპზე გადაწყვეტილების მიმღებ რგოლებს შორის გამოიკვეთა შემთანხმებელი კომისიის როლი. კომისიის მუშაობის წესსა და შემადგენლობას განსაზღვრავდა მინისტრი. კომისიას, გრიფირების პროცედურის გავლის გარეშე, სახელმძღვანელოს/სერიისთვის გრიფის მინიჭების უფლებამოსილება მიენიჭა.

დაბოლოს, გრიფირების კონკურსში ჩართვის მსურველებს უნდა გადაეხადათ ამავე წესით დადგენილი საფასური სახელმძღვანელოსა და სახელმძღვანელოს კომპლექტისათვის.[60]

2012 წლიდან გრიფირების პროცედურის სამართლებრივი ურთიერთობების წარმართვის უფლებამოსილება გადაეცა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. ამავე ცვლილების მიხედვით, ცენტრს მიენიჭა უფლებამოსილება განსაკუთრებულ შემთხვევებში, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, მათ შორის, შემოსავლის მიღების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით შეექმნა სასკოლო სახელმძღვანელო, რომელიც შემთანხმებელ კომისიას გრიფის მისანიჭებლად წარედგინებოდა. ასევე, გაიზარდა სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების საფასური, ყველა ტიპის საკონკურსო ნაშრომის მიმართ 1 სრული კომპლექტის ფასმა შეადგინა 1600 ლარი, ნაცვლად 500-ისა.

სახელმწიფომ გამომცემლობებს საავტორო უფლების გადაცემის ვალდებულება 2011 წელს დაუწესა, თუმცა 2013 წლიდან უფასო სახელმძღვანელოების პროგრამის ფარგლებში დაიწყო ამ უფლებით სარგებლობა და თავად დაბეჭდა წიგნები.

სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიუხედავად, გამოწვევას წარმოადგენდა მათი ვარგისობისა და განახლების საკითხი. 2013 წელს დაბეჭდილი სახელმძღვანელოების 57% საჭიროებდა ყოველწლიურ ბეჭდვას, ვინაიდან შეიცავდა წიგნში სამუშაო ან ამოსაჭრელ ფურცლებს, თუმცა 2015 წლის აუდიტის შესაბამისობის ანგარიშით ირკვევა, რომ სკოლების მხრიდან სახელმძღვანელოების მდგომარეობის შეფასება, რაოდენობების სწორად მიწოდება და ასახვა განათლების მართვის სისტემაში დროულად არ მოხდა. ამან, ერთი მხრივ, განაპირობა საჭიროზე მეტი სახელმძღვანელოს შეძენა და სახელმწიფო ბიუჯეტის არამიზნობრივი გამოყენება, მეორე მხრივ, სკოლების ნაწილში მოსწავლეებს მოუწიათ გადაქსე-

[58] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №19/ნ ბრძანება სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ (15 მარტი, 2010).

[59] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №30/ნ ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესის შესახებ (25 თებერვალი, 2011).

[60] იქვე.

როქსებული, ძველი ან გამოსაყენებლად უვარგისი სახელმძღვანელოებით სარგებლობა.[61]

2014 წლიდან გრიფირების ახალ წესზე მუშაობა დაიწყო, თუმცა გამომცემლობებსა და სამინისტროს შორის შეთანხმების მიღწევას ართულებდა ის გარემოება, რომ გამომცემლობებს წინსწრებით მოუწევდათ ხარჯის გაწევა მაშინ, როცა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, შეინარჩუნებდნენ გრიფირებული სახელმძღვანელოების ბეჭდვის უფლებას თუ მხოლოდ საავტორო ჰონორარს მიიღებდნენ. ბუნდოვანი იყო ისიც, თუ როგორ უზრუნველყოფდა სამინისტრო საავტორო უფლებების დაცვას. ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ, გრიფირების საფასურის წესის დადგენის, საავტორო ჰონორარის განსაზღვრისა და საავტორო უფლებების დაცვის ნაწილში გარკვეული შეთანხმებები შედგა, თუმცა საავტორო უფლებების სამინისტროსთვის გადაცემის ნაწილში შეთანხმება ვერ მოხერხდა.

2017 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 16 თებერვლის №28/ნ ბრძანებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების ახალი წესი დამტკიცდა, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს/მიმდინარეობდა გრიფირების კონკურსი 2018-2019 წლებში.[62]

გრიფირების მიზნად განისაზღვრა სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი ამოცანების განხორციელების ხელშეწყობა, მოსწავლეების ხარისხიანი სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის გზით.

შეიცვალა პროცესის ადმინისტრირების წესი, შეიქმნა გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა, მისი მართვა კი სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას დაევალა. ასევე, გაუქმდა სახელმძღვანელოს გრიფირების საფასური. 2018-2019 წლებში გრიფირების პროცესი 5 ეტაპად მიმდინარეობდა.[63]

I ეტაპი გულისხმობს გრიფირების კონკურსის გამოცხადებას განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით როგორც სახელმძღვანელოზე, ასევე სახელმძღვანელოს სერიაზე.

გრიფირების კონკურსში სიახლეს წარმოადგენს განმცხადებლის მიერ სახელმძღვანელოს/კონცეფციის წარდგენა სამინისტროსთვის. კონცეფცია მოიაზრებს წიგნის აგების პრინციპს, სარჩევს და სანიმუშო თავს. კონცეფციის მართებულობა დგინდება ესგ-ის მიმართ და შედეგები ეცნობება გამომცემელს, თუმცა არ აისახება დადგენილი გრიფირების ეტაპების მიმდინარეობისას.

II ეტაპზე განმცხადებელი (ფიზიკური/იურიდიული პირი) კონკურსში მონაწილეობის მიზნით განაცხადს არეგისტრირებს გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში. III - განაცხადის შემოწმების ეტაპზე დგინდება შესაბამისობა მოთხოვნებთან და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში განმცხადებელს ეძლევა გამოსწორების 5-დღიანი ვადა.

IV ეტაპზე სახელმძღვანელო/სერია ფასდება შინაარსობრივი და ტექნიკური პარამეტრების მიხედვით. შინაარსობრივი შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად:

I - ძირითადი შეფასება-შესაბამისობის დადგენა მთავარ შინაარსობრივ კრიტერიუმებთან;

II - სახელმძღვანელოს დახვეწა/გაუმჯობესება, რა დროსაც მიმდინარეობს საგნობრივი ჯგუფის შემფასებლების რეკომენდაციების განხილვა ავტორებსა და ავტორთა ჯგუფთან.

შინაარსობრივი რეცენზირების კრიტერიუმები - ნაწილისთვის გამოიყენება ქულებით, ხოლო ნაწილისთვის სიტყვიერი შეფასება. სიტყვიერი შეფასება გულისხმობს შეფასებას: „სრულად აკმაყოფილებს“, „ნაწილობრივ აკმაყოფილებს“, „არ აკმაყოფილებს“. სახელმძღვანელო შეფასების მე-2 ეტაპზე გადადის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულად ან ნაწილობრივ კმაყოფილების იმ კრიტერიუმებს, რომლებიც ფასდება სიტყვიერი შეფასებით.[64]

ტექნიკურ შეფასებას სახელმძღვანელო/სერია გადის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სერიის ყველა სახელმძღვანელომ დაძლია შინაარსობრივი შეფასების ბარიერის 90%. ტექნიკური შეფასებაც მოიაზრებს პირველ ეტაპზე მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, ხოლო მეორე ეტაპზე - ხარვეზების გასწორებას. სახელმძღვანელოს რეცენზიას ახორციელებს რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფი.

[61] სახელმწიფო აუდიტის სამსახური, მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში 2010-2014 წლები (თბილისი: 17 სექტემბერი, 2015).

[62] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N28/ნ, ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ (16 თებერვალი, 2017).

[63] იქვე.

[64] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N768 ბრძანება ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ (31 დეკემბერი, 2018).

V ეტაპზე საგნობრივი ჯგუფების წარდგინებით მიიღება სახელმძღვანელოს/სერიისთვის გრიფის მინიჭების გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

„სახელმძღვანელოს/სერიის თითოეულმა მაკეტმა შინაარსობრივი რეცენზირების I ეტაპზე გადალახა კრიტერიუმებით დადგენილი მაქსიმალური ჯამური ქულების 90%-იანი ზღვარი („სრულად აკმაყოფილებს" ყველა იმ კრიტერიუმს, რომლის მიმართ გამოიყენება სიტყვიერი შეფასება. ასევე, სრულად აკმაყოფილებს ტექნიკურ სტანდარტს".[65]

გრიფის მინიჭების შემდეგ სამინისტრო აფორმებს სალიცენზიო ხელშეკრულებას ყველა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს სერიის საავტორო უფლების მფლობელთან. სალიცენზიო ხელშეკრულება არეგულირებს საავტორო ჰონორარის რაოდენობას, ასევე სამინისტროს მიერ საავტორო უფლების შეძენის პირობას. კერძოდ, სკოლების მიერ სასურველი სახელმძღვანელოების შერჩევამდე, სამინისტრო ადგენს თითოეულ საგანში სახელმძღვანელოს საბოლოო შეწონილ ქულას. შეწონილი ქულა გამოიანგარიშება სერიის საბოლოო ქულისა და ფასდაკლების შეწონვით, რომელსაც რეგისტრაციის დროს განმცხადებელი წარუდგენს გარანტორს.

სახელმძღვანელოს საბოლოო ქულის წონა კონკურსისთვის 95%-ია, ხოლო საავტორო უფლების მფლობელის მიერ გარანტორისთვის შეთავაზებული ფასდაკლება - 5%. ეს თანაფარდობა 2018 წელს 90:10-ზე იყო.

რანჟირების სიიდან სკოლებს შესარჩევად მიეწოდებათ 3 ერთეული იმ შემთხვევაში, თუ საერთო რაოდენობა 3-ს აღმატება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების რაოდენობა 3-ს არ აღემატება, რანჟირების ქულის გამოთვლა საჭირო არ არის. შერჩეული ერთეულების სია მიეწოდება განათლების საინფორმაციო მართვის სააგენტოს, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებს მასწავლებლებისა და მოსწავლეების წიგნებით უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნულმა პრინციპმა განაპირობა, რომ 2018 წელს არ განხორციელდა ყველა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს შესყიდვა, შესაბამისად, სკოლების ნაწილმა ვერ მიიღო ის წიგნები, რომელიც შეარჩია.

გრიფირების 2006-2011 წლების პროცედურისგან განსხვავებით, 2017 წლის წესის შესაბამისად განსაზღვრულია სახელმძღვანელოს გადამუშავებისა და განახლების წესი, რომელიც მოიაზრებს საავტორო უფლების მფლობელის, სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. წესის მე-16 მუხლის მიხედვით, ნაცვლად 6 წლისა, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის გრიფის მოქმედების ვადა განისაზღვრება შესაბამისი საგნობრივი სასწავლო გეგმის მოქმედების პერიოდით.[66]

საავტორო უფლებების დაცვის მიზნით გრიფმინიჭებულ სასწავლო რესურსზე დაიწყო ჰოლოგრამის (შემდგომში საიდენტიფიკაციო ჭდე) დატანა. 2017 წლის წესის მიხედვით, განმასხვავებელი ნიშნის დატანა საავტორო უფლების მფლობელის ვალდებულება იყო, ხოლო 2018 წლის ცვლილებების პაკეტით, ეს უფლებამოსილება სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეცა.[67]

სახელმძღვანელოების შინაარსობრივი და ტექნიკური შეფასება

კრიტერიუმების თვალსაზრისით, გრიფირების წესი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და როგორც ძველი, ასევე მოქმედი წესი ითვალისწინებს სახელმძღვანელოს შეფასებას შინაარსის ორგანიზების, ესგ-სთან შესაბამისობის, სტრუქტურისა და ტექნიკური გამართულობის ნიშნით. თანასწორობისა და ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონტექსტში სახელმძღვანელოების შეფასება გათვალისწინებულია გრიფირების განსხვავებული წესის პირობებში. 2006 წელს კრიტერიუმები იყო უფრო ზოგადი და რიგ შემთხვევაში, სახელმძღვანელოს შეფასების პრინციპიდან გამომდინარე, გრიფირების პროცესში მიმდინარეობდა ხარვეზების შესწორება სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. 2009-2011 წლის რედაქციებში სახელმძღვანელოს შეფასების კრიტერიუმები იყო უფრო მკაფიო და სტრუქტურირებული. ასევე, გრიფირების მიზნით სახელმძღვანელოს შეფასების წინაპირობებში მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა მისი კანონთან შესაბამისობა, *რაც გულისხმობდა, რომ სახელმძღვანელო არ ფასდებოდა, თუ მისი შინაარსი ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობას, ასევე თუ მისი შინაარსი ან დიზაინი დისკრიმინაციული და დისკრედიტაციული ხასიათის იყო.*

2018-2019 წლის გრიფირების პროცესის ფარგლებში სახელმძღვანელოს შინაარსობრივი და ტექნიკური რეცენზირების კრიტერიუმები განისაზღვრა რეცენზირების წესის საფუძველზე. შინაარსობრივი შეფასე-

[65] „ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე."

[66] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N28/ნ ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ (16 თებერვალი, 2017).

[67] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ნ №46/ნ ბრძანება.

ბის კრიტერიუმები რაოდენობრივად შემცირდა და ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის განცხადებით, ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმას დაუახლოვდა. თანასწორობისა და ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონტექსტში 5 ძირითადი კრიტერიუმია გამოყოფილი:

5.1 - თანასწორობის დაცვა, დისკრიმინაციისა და დისკრედიტაციული ელემენტების აკრძალვა;

5.2 - ეთიკის ნორმების დაცვა;

5.3 - ძალადობისკენ მოწოდების ან შუღლის გაღვივების აკრძალვა;

5.4 - კომერციული რეკლამის აკრძალვა;

5.5 - შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან;

5.6 - შესაბამისობა მდგრადი განვითარების პრინციპებთან.

რაც შეეხება შემფასებლებს, 2006 წელს გრიფის მინიჭების მიზნით სახელმძღვანელოს აფასებენ ცენტრის ან მოწვეული ექსპერტები, აგრეთვე დარგობრივ სპეციალისტებთან ერთად ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართული პირები. 2009-2010 წლის წესის მიხედვით, გრიფის მისანიჭებლად წარდგენილ სახელმძღვანელოს აფასებდნენ ექსპერტები, რომლებიც იყვნენ მაღალი რეპუტაციის მქონე დარგის აღიარებულ სპეციალისტები.

2010 წლიდან სახელმძღვანელოების შეფასების პროცესში შემცირდა ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის, შემდგომში დეპარტამენტის ჩართულობა. შედეგად, სახელმძღვანელოების თავსებადობის განსაზღვრა ესგ-სთან გართულდა, ვინაიდან ეროვნულ სასწავლო გეგმასთან სახელმძღვანელოს შესაბამისობის დადგენის მოტივაცია და კომპეტენცია ბევრად უფრო დაბალი იყო გარე ექსპერტებსა და პრაქტიკოს მასწავლებლებში. აღნიშნული პრინციპი გადაიხედა 2018-2019 წლის გრიფირების პროცესის დაწყებამდე და ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი კვლავ ჩაერთო შეფასების პროცესში, ასევე მკაფიოდ განისაზღვრა საგნობრივი ჯგუფის რეცენზენტების ზუსტი შემადგენლობა, რომელიც აერთიანებს: მასწავლებლებს, დარგის მეცნიერებს, ფილოლოგს, ფსიქოლოგს, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის სტანდარტის შემუშავებაში გამოცდილების მქონე პირს, ეროვნული სასწავლო გეგმის ექსპერტს ან სხვა სპეციალისტს. 2017 წლიდან პროცესში ჩართულები არიან მშობლები, რომელთაც წარადგენს სკოლა, ხოლო 2018 წლიდან შეფასების პროცესში რეცენზენტის სახით, ადამიანის უფლებების მიმართულებით ჩართულები არიან თემატური სპეციალისტებიც, რომლებსაც სამინისტროს სახალხო დამცველი წარუდგენს.

2019 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 3 ოქტომბრის N1222 ბრძანების საფუძველზე გრიფირების კონკურსი გამოცხადდა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნის, VII კლასის ზოგიერთი საგნის და VIII კლასის სახელმძღვანელოებზე/სერიებზე.[68]

 შესაბამისად, გრიფირების კონკურსი შესარჩევი ერთეულებისთვის დასრულდება არა უგვიანეს 2020 წლის 19 ივნისისა.

მომდევნო თავში წარმოდგენილია სახელმძღვანელოების დაშვების მექანიზმის ანალიზი თვისებრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

[68] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N 1222 ბრძანება განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგიერთი საგნისა და საშუალო საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების კონკურსის გამოცხადების შესახებ (3 ოქტომბერი, 2019).

ნაწილი III

სახელმძღვანელოების შემუშავების, შეფასებისა და დამტკიცების პროცესში არსებული ძირითადი გამოწვევების ანალიზი

თვისებრივი კვლევის შედეგების მიმოხილვა

სახელმძღვანელოების შემუშავების, შეფასებისა და დამტკიცების პროცესში არსებული ძირითადი გამოწვევების ანალიზი ეყრდნობა თვისებრივი კვლევის კომპონენტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგებს.

სახელმძღვანელოების შემუშავება

სახელმძღვანელოებს სახელმწიფოს მოთხოვნის საფუძველზე ქმნიან გამომცემლობებთან აფილირებული ან დამოუკიდებელი ავტორი/ავტორები. სახელმძღვანელოების შექმნის შესაძლებლობაზე გავლენას ახდენს ავტორთა კომპეტენცია, მოტივაცია და შექმნის ვადები.

ავტორების კომპეტენცია და მოტივაცია

კომპეტენციების კუთხით ძირითადი გამოწვევაა სახელმძღვანელოს მეთოდური გამართვა და ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თავსებადობის უზრუნველყოფა.

ავტორების დიდ ნაწილს წარმოადგენენ დარგის მეცნიერ-მუშაკები, რომლებსაც აქვთ საგნის სიღრმისეული ცოდნა, თუმცა ნაკლები პედაგოგიური პრაქტიკა, რაც აისახება სახელმძღვანელოს აგების სტრუქტურაზე, მეთოდიკასა და ტექსტის ენაზე. მეორე მხრივ, ავტორები, რომლებიც პრაქტიკოსი მასწავლებლები არიან, გამოწვევებს აწყდებიან ამა თუ იმ თემის ან საკითხის მრავალმხრივი წარმოდგენის კუთხით.

„ხშირად ვხვდებით შემთხვევებს, როცა შინაარსი მაღალი პროფესიონალიზმით არის დაწერილი, მაგრამ ბავშვებისთვის გაუგებარია“.

რეცენზენტი

სახელმძღვანელოს აგება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეფციაზე დაყრდნობით საერთო გამოწვევაა სხვადასხვა კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე ავტორებისთვის. აღნიშნულზე მიანიშნებს ისიც, რომ VII კლასის სახელმძღვანელოების შეფასების პროცესში ჭარბობდა ხარვეზები მის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის ნაწილში. ამასთან, ავტორების ნაწილი ამ მიმართულებით ყველაზე ხშირად ცდილობდა რჩევებისა და დახმარების მიღებას როგორც ფორმალურად, ასევე არაფორმალურად, რედაქტორებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის ექსპერტებთან კომუნიკაციის გზით.

„როცა სახელმძღვანელოზე დავიწყეთ მუშაობა, ყველაზე ხშირად პრობლემა გვქონდა ახალი ესგ-ის კონცეფციების გარკვევაზე და ამ მხრივ ექსპერტები ძალიან გვეხმარებოდნენ. მაგალითად, ბოლომდე ბუნდოვანი იყო შემაჯამებელი და კომპლექსური დავალების საკითხი“.

ავტორი 1

„მიმაჩნია, რომ საგნის კარგი სპეციალისტი ვარ და წერაც შემიძლია, თუმცა შეფასებების შემდეგ გავიაზრე, რომ მე სხვა რამეს ვგულისხმობ ცნებებში და ექსპერტები სხვა რამეს ითხოვენ“.

ავტორი 2

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი გამოწვევაა დაბალი მოტივაცია, რასაც თავად ავტორები და განათლების სპეციალისტები მუშაობის პროცესში მხარდაჭერის ნაკლებობითა და საავტორო ჰონორარის სიმცირით ხსნიან.

ავტორები პროცესში მხარდაჭერას, პირველ ყოვლისა, რედაქტორებისგან და შემდგომ სამინისტროსგან ელიან. თუმცა, მათი თქმით, ეს მხარდაჭერა „ფაქტობრივად, ნულის ტოლია“.

ამ მოსაზრებას იზიარებს ერთ-ერთი სპეციალისტი და მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მხრიდან წიგნების შექმნაში ინვესტირება ხდება მხოლოდ მზა სახელმძღვანელოს საბეჭდი ფაილის შეძენის დროს და არა მის მომზადებამდე ან შეფასების პროცესში, რედაქტორებისა და ავტორების მხარდაჭერის გზით. შესაბამისად, რიგ შემთხვევაში, ავტორს თავად უწევს საკუთარი შრომის დაგეგმვა, ორგანიზება და დაფინანსება.

„ავტორი თავად დებს ინვესტიციას წიგნის წერაში“.

განათლების მკვლევარი

„ტოპ კლასის სპეციალისტები არ წერენ სახელმძღვანელოებს და არ ჩანან ბაზარზე , ამის მიზეზი ალბათ ძალიან დაბალი ჰონორარი და ძალიან დიდი სამუშაო დატვირთვაა“.

რეცენზენტი 2

რაც შეეხება ჰონორარის მოცულობას, ავტორები, ისევე როგორც გამომცემლობების წარმომადგენლები, მიიჩნევენ, რომ ჰონორარი საქმის მოცულობის შეუსაბამოა. ერთ-ერთი ავტორი კი საკუთარ შრომას აფასებს, როგორც „მოხალისეობას“.

„ჩვენ თავიდანვე შევთანხმდით, რომ „მოხალისეები“ ვართ და ამას [სახელმძღვანელოს დაწერას] ვაკეთებდით, რადგან გვინდოდა მოსწავლეებსა და მასწავლებელს მართლა ესარგებლათ, თორემ ისე არცერთს არ გვიღირდა ამდენი შრომა ამ თეთრებისთვის“.

ავტორი 2

გრიფირების ვადები და კონკურსის პირობები

სახელმძღვანელოების შექმნასა და შემდგომ უკვე შეფასებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს შორის გამოიკვეთა გრიფირების კონკურსის შემჭიდროებული ვადებისა და კონკურსის სერიაზე გამოცხადების პრობლემა.

2018 წელს ავტორებს 3-4 თვემდე ჰქონდათ სამუშაოდ, ხოლო 2019 წლისთვის ვადა 5 თვემდე გახანგრძლივდა. ეს პერიოდი, ავტორებისა და გამომცემლობების წარმომადგენლების შეფასების მიხედვით, მაინც არ არის საკმარისი და მათ უწევთ ყველა სხვა პროცესის შეჩერება, რათა მოასწრონ მასალის ჩაბარება. ზოგიერთი რესპონდენტის შეფასებით, შეზღუდულ ვადებში მუშაობას ზოგჯერ ართულებდა თანმხლები პროცედურული ხარვეზები, კერძოდ, გამომცემლობების წარმომადგენლების თქმით, 2018 და 2019 წელს გამოცხადებული კონკურსების პირობები და შინაარსობრივი კრიტერიუმები თავიდანვე არ იყო ცნობილი, რის გამოც გამომცემლობებსა და ავტორებს უკვე დაწერილი სახელმძღვანელოების სრულად გადაწერა მოუწიათ.

„ვადები არის ძალიან მცირე” [მე-7 კლასის სახელმძღვანელოების გრიფირება]“.

გამომცემლობის წარმომადგენელი

„წელს მთავარი პრობლემა იყო ის, რომ გზადაგზა გვაწევდნენ ინსტრუქციებს [2019-2020]. პრაქტიკულად, საგნობრივი შეფასების კრიტერიუმები ბოლომდე არ იყო ცნობილი“.

გამომცემლობის წარმომადგენელი

მიუხედავად იმისა, რომ 2018-2019 წლის კონკურსი სერიაზე არ გამოცხადებულა, კვლევის ფარგლებში სერიის გრიფირება ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად და შესაძლო რისკად დასახელდა.

ცალკეული რესპონდენტების შეფასებით, სერიის გრიფირება სახელმძღვანელოების ხარისხზე 2 მიმართულებით ახდენს გავლენას:

რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ სახელმძღვანელოების სერიაზე კონკურსის გამოცხადება ამცირებს ერთ წიგნზე დახარჯულ დროსა და ძალისხმევას. ასევე, ავტორთა კონკრეტულ ჯგუფებს აქვთ თავისი ნიშა, თუმცა სერიის გრიფირების ფარგლებში ხდება სერიის სხვა სახელმძღვანელოების მომზადებაც, რაც ხარისხზე აისახება.

„ხარისხის კუთხით სერიას აქვს თავისი ხიბლი, რომ ერთ კონცეფციას მიჰყვება, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ერთი სახელმძღვანელოს შიდა ხარისხი“.

გრიფირების პროცესის მენეჯმენტში ჩართული პირი

ზოგიერთი რესპონდენტი კი მიიჩნევს, რომ სერიის გრიფირება ზრდის კომპრომისზე წასვლის რისკს, კერძოდ: თუ სერიის ერთი სახელმძღვანელო არ არის სათანადო ხარისხის, ამის გამო შესაძლოა ჩავარდეს მთელი სერია. ამ შემთხვევაში კომპრომისია ერთი დაბალი ხარისხის სახელმძღვანელოს დაშვება სერიის სხვა უკეთესი სახელმძღვანელოების შენარჩუნების მიზნით.

სახელმძღვანელოების შინაარსის შეფასება

რეცენზირების წესი და პირობები

სახელმძღვანელოს შინაარსის შეფასება ორ საფეხურად ხორციელდება, რეცენზენტები ჯერ ინდივიდუალურ შენიშვნებს/რეკომენდაციებს ამზადებენ, ხოლო შემდეგ ჯგუფურად განიხილავენ და თანხმდებიან რეკომენდაციის ასახვის მართებულობაზე.

გამოწვევები ინდივიდუალური შეფასების კუთხით უკავშირდება შემფასებლების კომპეტენციასა და მათი შერჩევის პროცესის გამჭვირვალობას.

„შემფასებლებში ნამდვილად არის კომპეტენციის დეფიციტი მეთოდური კუთხის გათვალისწინებით“.

საბჭოს წევრი 1

„მისასალმებელია, რომ საბჭოში ახლა საგნობრივი სტანდარტების სპეციალისტებიც არიან, თუმცა ყველა საგნისთვის ეს რესურსიც არ არის საკმარისი“.

საბჭოს წევრი 2

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები კომპეტენციების დეფიციტს, რიგ შემთხვევებში, განიხილავენ არა საბჭოს ყველა რეცენზენტის, არამედ მხოლოდ დარგობრივი მეცნიერების კომპეტენციების ჭრილში, ვინაიდან მიიჩნევენ, რომ მათ პრაქტიკული პედაგოგიკის გამოყენების ყველაზე ნაკლები გამოცდილება აქვთ და ვიწრო დარგობრივი პერსპექტივით აფასებენ სახელმძღვანელოს.

მეორე მხრივ, განათლების ერთ-ერთი სპეციალისტის შეფასებით, ესგ-ის ექსპერტებისგან განსხვავებით დარგის მეცნიერ-მუშაკებს ნაკლები მოტივაცია აქვთ სახელმძღვანელო ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და მიზნების მიღწევის კონტექსტში განიხილონ.

პრობლემად დასახელდა ინდივიდუალური შეფასების დროს დაწერილ ქულებსა და სიტყვიერ შეფასებას შორის (დასაბუთება) განსხვავება.

„გადავხედე შემფასებლებსაც და სადღაც ეჭვი გაგვიჩნდა... მაგალითად, როდესაც არსებითი ხასიათისაა შენიშვნა და ქულა მაინც არ წერია მაღალი, იქ ობიექტურობის განცდა ეჭვქვეშ დგება. ერთი მრივ, პროფესიულ ღირსებას იცავენ, შენიშვნებს წერენ, მაგრამ, მეორე მხრივ, ეცოდებათ ავტორები და ქულებს აკლებენ“.

გრიფირების პროცესის მენეჯმენტი

„გაუგებარია, შემფასებლები როგორ წერენ შეფასებას და მერე საჯაროდ რატომ ლანძღავენ იმავე სახელმძღვანელოებს“.

განათლების სპეციალისტი

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები, შეფასების პროცესის გაუმჯობესების კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს შორის, ყველაზე ხშირად ასახელებენ გრიფირების პროცესში ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ჩართვას. ეს განპირობებულია მოლოდინით, რომ სახელმძღვანელო იქნება შესაბამისობაში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და უფრო პრაქტიკულ საჭიროებებზე ორიენტირებული.

რაც შეეხება რეცენზენტების შერჩევის საკითხს, რესპონდენტებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ შერჩევის პროცესსა და კრიტერიუმებზე. გამონაკლისს წარმოადგენს შერჩევის პროცესში უშუალოდ ჩართული პირი. მისი განცხადებით, გრიფირების კონკურსში რეცენზენტები შეირჩევიან კონკურსის საფუძველზე, გასაუბრების გზით. თუმცა, 2019 წლისთვის კონკურსი არ გამოცხადებულა და შერჩევა განხორციელდა იმ რეცენზენტებს შორის, რომლებიც VII კლასის სახელმძღვანელოების გრიფირების კონკურსის ფარგლებში მუშაობდნენ. საგულისხმოა, რომ ის რესპონდენტები, რომლებიც ინფორმირებულები არიან სახალხო დამცველის მიერ რეცენზენტების წარდგენის შესახებ, შერჩევის პროცესს უფრო ენდობიან, ვიდრე ისინი, რომლებსაც ეს ინფორმაცია არ აქვთ.

„2019-2020 წელს არ ყოფილა კონკურსი. 80% იგივე შემადგენლობაა. არ დაგვიბარებია ის კანდიდატები, რომელთა შეფასებების ობიექტურობა ეჭვებს აჩენდა“.

„სულ მაინტერესებს, ვინ და როგორ ხდებიან შემფასებლები, ზოგადად, კონკურსი მაინც თუ ცხადდება, უხერხულია ხოლმე facebook-ით რომ იგებ, ვინ აფასებდა შენს წიგნს“.

ავტორი 1

„მგონია, ვინც სჭირდებათ, მას არჩევენ, თორემ სახელმძღვანელოს შეფასებას დიდი მუშაობა ნამდვილად არ ეტყობა“.

მასწავლებელი 3

ჯგუფური განხილვა და რეკომენდაციების ასახვა

სახელმძღვანელოების შეფასების ჯგუფური განხილვის ეტაპზე გამოწვევაა დისკუსიების რაოდენობა, ხანგრძლივობა და მოდერაცია. შეხვედრები ტარდება იშვიათად და ზოგჯერ 8 საათზე მეტხანს გრძელდება.

„შარშან მხოლოდ ერთხელ შეიკრიბნენ საბჭოები და, ფაქტობრივად, ღამის 12 საათამდე მუშაობდნენ, რომ შეეჯერებინათ რეკომენდაციები“.

სამინისტროს წარმომადგენელი

„აბსოლუტურად წარმოუდგენელია, რომ ასეთ სტრესულ პირობებში იმუშაო და პროდუქტიული იყო. ფაქტობრივად, შესვენების გარეშე და მინიმალური საჭიროების გაუთვალისწინებლად ვმუშაობდით, რაც უკვე პრაქტიკად იქცა 2012 წლიდან“.

რეცენზენტი

რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღების პროცესს, 2018 წელს გრიფირების პროცესში ჩართული შემფასებლებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე იკვეთება, რომ ყველა რეცენზენტისთვის ყოველთვის მკაფიო არ არის გადაწყვეტილების მიღების წესი და პრინციპები. მაგალითად, როგორ უნდა აისახოს რეკომენდაციები ავტორებისთვის - ამ კუთხით პრობლემა გამოიკვეთა ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის კონტექსტში სახალხო დამცველის წარდგენილი რეცენზენტების მიერ მომზადებული რეკომენდაციების ასახვის დროს.

პროცესში ჩართული ყველა მხარისთვის, ისევე როგორც გარე დაინტერესებული პირებისთვის, პრობლემას წარმოადგენდა რეცენზენტებსა და ავტორებს შორის ღია კომუნიკაციის შეუძლებლობა. ეს მათი აზრით, პროცესს აზარალებს როგორც ხარვეზების აღმოფხვრის კუთხით, ასევე გამჭვირვალობის თვალსაზრისით.

ეს პრობლემები 2019 წლის კონკურსისთვის, შინაარსობრივი რეცენზირების მეორე (ხარვეზების აღმოფხვრის) ეტაპზე ანონიმურობის მოხსნით და ავტორებისა და რეცენზენტებისთვის მოსაზრებების გაზიარების შესაძლებლობის მიცემით გადაწყდა.

თანასწორობის პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა

კვლევის ფოკუსიდან გამომდინარე, ჩამოთვლილ გამოწვევებთან ერთად ცალკე გავაანალიზეთ ის ხარვეზები, რომლებიც არსებობს გრიფირების პროცესში სახელმძღვანელოების თანასწორობის პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის კონტექსტში. გამოიკვეთა 2 მთავარი გამოწვევა: საკითხისადმი დამოკიდებულება და გადაწყვეტილების მიღების პროცესის მართვა.

საკითხისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, ყველა მხარე თანხმდება, რომ სახელმძღვანელო არ უნდა შეიცავდეს დისკრიმინაციულ ელემენტს, თუმცა რესპონდენტები საკითხის მნიშვნელობას განსხვავებულად აფასებენ.

მაგალითად, სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი გენდერის, კულტურისა და ადამიანის უფლებების სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პრაქტიკოსი მასწავლებლები და დარგის მეცნიერები საკითხს სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებენ და ხშირად ცდილობენ უტრირებულად განიხილონ ესა თუ ის ხარვეზი, განსაკუთრებით კი გენდერული, ეთნიკური და რელიგიური მგრძნობელობის ჭრილში. საგნობრივი ექსპერტის აზრით კი, ე.წ. „სხვა სპეციალისტების“ რეკომენდაციები ხშირად გაზვიადებული, ხელოვნური და ნაკლებად მნიშვნელოვანია.

სამინისტროს წარმომადგენლის მოსაზრებით კი, ეროვნული სასწავლო გეგმის სპეციალისტები ცდილობენ „მხარეებს შორის“ დისკუსიის პროცესის ნორმალიზებას. მისივე შეფასებით, შესაძლებელია სახელმძღვანელოში ყველა საკითხი იმგვარად აისახოს, რომ ეს იყოს ავთენტური, გაზიარებული მოსწავლეებისათვის, ინტეგრირებული სასწავლო მიზნებთან და ნაკლებად ორიენტირებული მრავალფეროვნების რიცხვებით ასახვაში.

„მაქსიმალიზმის გამო საგნის ექსპერტები ზოგჯერ არ ეთანხმებოდნენ სხვა სპეციალისტებს, რადგან თვლიდნენ, რომ ძალიან ხელოვნური ჩარევა გამოდიოდა. მაგალითად, როცა ამბობენ, ამდენი კომპოზიტორი კაცი რომ ახსენე, იქ ქალიც უნდა იყოს, წინააღმდეგობა წარმოიქმნება, რომ მუსიკის ამოცანები და მიზნები არის უპირველესი. ხელოვნურად „მიშენებული“ არ უნდა იყოს ეს თემები, ასე გააზრება ვერ მოხდება.

[...] ქართულ ნაწარმოებებშიც არის დისკრიმინაციული მიმართებები... მაგ. „ბაში-აჩუკი“ საამისოდ კარგი ქეისია. [...] მოკლედ, ხელოვნურად ჩასმული საკითხები არ მუშაობს, თუ სიღრმისეულად გააზრების საშუალება არ იქნება და თავად მასწავლებლებსაც არ დავეხმარეთ გააზრებაში“ .

სამინისტროს წარმომადგენელი

რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღებას, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ კრიტერიუმებში სპეციალისტები დამოუკიდებლად აფასებენ სახელმძღვანელოს, სხვა ჯგუფის წევრების გარეშე გადაწყვეტილების მიღების საშუალება მაინც არ ეძლევათ.[69]

„მე არ ვყოფილვარ ჩართული ამ პროცესში და სრულიად გაუგებარი იყო როგორ უნდა გვემუშავა. მოვამზადეთ რეკომენდაციები და აღმოჩნდა, რომ მარტო მე ვაფასებ ამ კრიტერიუმით, მაგრამ სხვები წყვეტენ, უნდა აისახოს თუ არა ეს, რაც ნამდვილად ბუნდოვანია“.

რეცენზენტი

სახელმძღვანელოს შერჩევა სკოლის დონეზე

სკოლის დონეზე სახელმძღვანელოების არჩევასთან დაკავშირებით დასახელებული გამოწვევები უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების პროცესის ღიაობას და სახელმძღვანელოს შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციისა და კომპეტენციების ნაკლებობას.

სახელმძღვანელო სკოლის დონეზე უნდა შეირჩეს კათედრაზე, ყველა ალტერნატივის შეფასების განხილვისა და შეფასების შემდეგ (იმ შემთხვევაში, თუ არის არჩევანის საშუალება), თუმცა, რესპონდენტების თქმით, გადაწყვეტილება სკოლის დონეზე ზოგიერთ შემთხვევაში დირექტორის მიერ სუბიექტურად მიიღება და პროცესში კათედრა საერთოდ არ მონაწილეობს.

„ჩვენ ყოველთვის განვიხილავთ ყველა სახელმძღვანელოს. მე უფრო მაქვს ცოდნა იმისა, რა როგორ შევაფასო და მასწავლებლებს ვეუბნები, რატომ არის ცუდი ან კარგი ეს ავტორი, მაგრამ ტრენინგზე ჩემ გვერდით მჯდარა მასწავლებელი და უთქვამს, რა ვიცი, რა წიგნი ავიღეთ, დირექტორმა მონიშნაო“.

დირექტორი

„თუ ასარჩევი გვაქვს რამე, კათედრაზე ვირჩევთ, მაგრამ რაც ვიცი, ძირითადად დირექტორები არჩევენ თვითონ“.

მასწავლებელი 5

[69] აღნიშნული პრობლემები უფრო დეტალურად და ასევე მრავალმხრივი უკუკავშირის საფუძველზე აღწერილია სახალხო დამცველის მიერ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის წარდგენილ წინადადებაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოების რეცენზირების პროცესის გაუმჯობესების თაობაზე.

არჩევანის არსებობის შემთხვევაში საინტერესოა ისიც, თუ რა ფაქტორები ახდენს გავლენას მასწავლებელზე. მის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე მოქმედ ფაქტორებს შორის დასახელდა:

- სახელმძღვანელო ნაცნობ (ძველი) ავტორთა ჯგუფით;
- მასწავლებლებისთვის დამატებითი რესურსების არსებობა, მაგალითად, დისკი, სავარჯიშოების კრებული;
- სახელმძღვანელოს შემუშავებაში მათთვის ნაცნობი მასწავლებლების მონაწილეობა;
- კოლეგების რეკომენდაციები სკოლაში და სკოლის მიღმა;
- სახელმძღვანელოში ნაკლები სინტაქსური და ტექნიკური შეცდომა;
- სახელმძღვანელოს მეთოდიკა.

მასწავლებლები, რომლებიც სახელმძღვანელოების შერჩევის დროს უფრო მეტ აქცენტს მეთოდურ ნაწილზე აკეთებდნენ, აღნიშნავდნენ, რომ საქართველოში პედაგოგების უმრავლესობას ეს კომპეტენცია არ აქვს და ამიტომ უმჯობესია წიგნების შესახებ მეტი ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი.

სახელმძღვანელოების თანასწორობის პრინციპებთან შესაბამისობის შესახებ მსჯელობისას გამოიკვეთა მასწავლებლების კომპეტენციების მიმართულებით არსებული გამოწვევები. რესპონდენტი მასწავლებლები იზიარებენ მოსაზრებას, რომ თანასწორობისა და ადამიანის უფლებების სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება ყველა პედაგოგსა და დირექტორს არ შეუძლია არც სახელმძღვანელოს შერჩევის და არც შემდგომ სწავლების პროცესში. ადამიანის უფლებების სწავლებისა და თანასწორობის პრინციპების დაცვა სახელმძღვანელოს შერჩევის ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად დაასახელეს სამოქალაქო განათლებისა და ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებმა. ასევე მათ, ვისაც სხვადასხვა დროს ამ მიმართულებით ჰქონდა ტრენინგი გავლილი.

„მასწავლებლებს არა გამიზნულად, არამედ ცნობიერების დონეზე ზოგჯერ ვერც წარმოუდგენიათ, ისეთი სტერეოტიპი შეიძლება ჩამოუყალიბონ ბავშვებს. ამიტომ ვცდილობთ, ეს თემები დისკუსიის ნაწილში წამოიწიოს სახელმძღვანელოში“.

გადაწყვეტილების მიმღები პირი

„მასწავლებლები უფრო ვერ ხვდებიან ხოლმე, პრობლემა როცაა. რაც ტრენინგები ჩატარდა, ათასწლეულის გამოწვევის ფარგლებში უფრო დაიწყეს შეცდომების აღმოჩენა, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ უფრო ხშირად თავადაც ეთანხმებიან ამ შეცდომებს და მაინც არასწორად/ არაეთიკურად ასწავლიან მოსწავლეებს“.

მასწავლებელი 3

სახელმძღვანელოების როლი სწავლა-სწავლების პროცესში

სახელმძღვანელოს როლსა და სწავლების მიზნების მიღწევაში მის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, კვლევის რესპონდენტები თანხმდებიან, რომ წიგნი სწავლა-სწავლების პროცესში ერთ-ერთი ძირითადი, თუმცა არა ერთადერთი ინსტრუმენტია.

მასწავლებლები სწავლების პროცესში სახელმძღვანელოს გამოყენების სიხშირეს განსხვავებულად აფასებენ.

- იყენებს ძირითადად მხოლოდ იმ სახელმძღვანელოს, რომელიც სახელმწიფოსგან რეკომენდებულია, ზოგჯერ იყენებს დამხმარე რესურსებს (კვირაში ერთხელ მაინც);
- სახელმძღვანელოს და სხვა რესურსებს (ვიდეო-აუდიო მასალები, დამხმარე ლიტერატურა, ონლაინ წყაროები და სხვ.) იყენებს კომბინირებულად;
- ძირითადად, იყენებს სხვა სასწავლო რესურსებს, მათ შორის, არარეკომენდებულ ან ძველ სახელმძღვანელოს, რომლის გრიფირების ვადაც გასულია.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მათი კოლეგების უმრავლესობისთვის წიგნი ძირითადი სასწავლო რესურსია და მას დეტალურად მიჰყვებიან, „დამოკიდებულები არიან სახელმძღვანელოზე“.

მასწავლებლებს ვთხოვეთ შეეფასებინათ საბაზო-საშუალო საფეხურის სახელმძღვანელოებიც, რომლებიც გრიფირებულია 2018 წლამდე. მათში არსებული ძირითადი ხარვეზები წარმოდგენილია ცხრილში:

მოსწავლის სახელმძღვანელოების შეფასება მასწავლებლების მიერ	
ტექნიკური მხარე	• სტილისტური, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები; • სავარჯიშოების არასწორი გადანომვრა; • ამოსაჭრელი, წიგნში ჩასაწერი და მოსანიშნი დავალებების სიმრავლე, რაც სახელმძღვანელოებს გამოუსადეგარს ხდის შემდეგი ნაკადისთვის.
შინაარსობრივი და მეთოდური მხარე	• ფაქტობრივი უზუსტობები; • ტერმინთა არასწორად განმარტება; • თემასა და ესგ-სთან შეუსაბამო სავარჯიშოები; • მოსწავლისათვის რთული ენით დაწერილი ტექსტები ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელოში; • სახელმძღვანელოების სირთულის შეუსაბამობა დონესთან, დავალებების სირთულის მიხედვით რანჟირების შეუძლებლობა; • სახელმძღვანელოში პირობები მოცემულია მხოლოდ ქართულად; • სახელმძღვანელოებს არ ახლავს ლექსიკონები, რომელიც დაეხმარებოდა მოსწავლეს ტექსტში უცხო სიტყვების, მათ შორის, პირობის ამხსნელი სიტყვების: გახაზე, შეაერთე, მონიშნე, დააწყვილე - გაგებასა და გამეორებაში; • ტექსტის გააზრების უნარის განვითარება ყველა დონის სახელმძღვანელოს მიზანია, თუმცა მე-6 დონემდე, ფაქტობრივად, ტექსტები არ არის მოცემული, გარდა წერილისა, ხოლო მე-6 დონის ტექსტების ენა რთულია.
თანასწორობის და ადამიანის უფლებების სწავლების საკითხები	რელიგიური, კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნების არასათანადოდ წარმოჩენა ან წარმოჩენა მხოლოდ ეთნოცენტრისტული პერსპექტივით; • ისტორიის სახელმძღვანელოში, რიგ შემთხვევებში, რელიგიური ჯგუფი გაიგივებულია ეთნოსთან, რაც მუსლიმანებისგან მტრის ხატის შექმნას უწყობს ხელს; • სახელმძღვანელოებში, მათ შორის, ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელოში, გამოყენებულია მხოლოდ ქართული სახელები.
	• გენდერული ნიშნით ქალისა და კაცის როლების არასათანადო წარმოჩენა, მაგალითად, განსხვავებული საქმიანობის, ამა თუ იმ ისტორიულ-საზოგადოებრივი პროცესის აღწერის ან საოჯახო საქმიანობის მოდელირების/ილუსტრირების დროს; • ქალის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების გამოტოვება ან არასათანადოდ აღწერა.
	• ადამიანის უფლებების სწავლების კუთხით მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოში ინფორმაციის დონეზე ყველაფერი მოცემულია, თუმცა ისინი უპირატესობას სხვა რესურსებს ანიჭებენ; • გამოწვევაა ადამიანის, განსაკუთრებით ბავშვთა უფლებების სწავლება ეთნიკური უმცირესობებისთვის, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც ტექსტები მოცემულია მხოლოდ ქართულად და მოსწავლეებს, რომელთა ენობრივი კომპეტენციები დაბალია, უჭირთ გაიაზრონ და გაითავისონ, თუ რა უფლებები და თავისუფლებები აქვთ. მით უფრო, უჭირთ ამ უფლებების გამოყენება პრაქტიკაში და მათი დაცვა.

რაც შეეხება პედაგოგის წიგნების ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე მსჯელობისას, რესპონდენტი მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ ეს უკანასკნელი მათთვის მეორეხარისხოვანი რესურსია, რადგან რეალურ დახმარებას არ უწევთ როგორც მეთოდიკის, ასევე საკითხის სწავლების კუთხით. მასწავლებლები სახელმძღვანელოს ყველაზე ხშირად ახასიათებდნენ ფრაზებით: „უხარისხო“, „უსარგებლო“ და „დროის კარგვა“.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, მასწავლებლები, რომლებმაც კვლევაში მონაწილეობა დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადასვლის შემდეგ მიიღეს, ხშირად აღნიშნავდნენ, რომ ამ პროცესმა (დისტანციურმა სწავლებამ) მნიშვნელოვნად შეცვალა მათი დამოკიდებულება სახელმძღვანელოს მიმართ და აიძულა ისინი, გაეხედათ „სახელმძღვანელოს მიღმა“. ეს კი დადებითად აისახა სწავლების პროცესზე - უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახდა მათთვისაც და მოსწავლეებისთვისაც.

ხარისხიანი სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის

2013 წლის შემდეგ მოსწავლეებისთვის უფასო სახელმძღვანელოების პროგრამა ამოქმედდა. სახელმწიფო ყიდულობს სასწავლო რესურსების კომპლექტებს მოსწავლეებისთვის და თავად უზრუნველყოფს მიწოდებას, თუმცა ეს არ ქმნის იმის გარანტს, რომ ყველა მოსწავლე სასწავლო პროცესის განმავლობაში ხარისხიანი სახელმძღვანელოთი სარგებლობს.

„სავარჯიშო რვეულები არ იყო საკმარისი და ერთი ტირაჟის შემდეგაც აღარ იბეჭდებოდა. [...] წიგნშიც, 5-6-ჯერ რომ წაშლი ტექსტს, ის უკვე აღარ არის ვარგისი“.

მასწავლებელი 6

„უფასო სახელმძღვანელოები ნამდვილად აქვთ ბავშვებს, მაგრამ როგორია ეს „უფასო“, ხშირად ჭუჭყიანი და ბინძური წიგნებია, ხელის მოკიდებაც რომ შეგეზიზღება“.

მასწავლებელი 5

კვლევაში მონაწილე ზოგიერთი რესპონდენტის თქმით, მათი სკოლები ყოველ წელს აგზავნიან მოთხოვნას, მაგრამ საჭირო რაოდენობის ახალ სახელმძღვანელოებს ვერ იღებენ.

ასევე, პრობლემას წარმოადგენს მეორეული და მესამეული მოხმარების სახელმძღვანელოების ხარისხი. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ეს საკითხი განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე დგას. რადგან მოსწავლეები ჯერ კიდევ არ არიან მიჩვეულები სახელმძღვანელოს გაფრთხილებას, ამიტომ სასწავლო წლის ბოლოს წიგნები დასვრილი და გამოუსადეგარია. ფაქტობრივად, გამოუსადეგარი ხდება ის წიგნებიც, რომლებიც შეიცავდა ამოსაჭრელ მასალებს ან სახელმძღვანელოში სამუშაო დავალებას.

გრიფირების პროცესთან დაკავშირებულ სხვა გამოწვევებს შორის დასახელდა სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმების წესი და საავტორო უფლებების სამინისტროსთვის გადაცემის საკითხიც. ამ უკანასკნელს ავტორები აფასებენ სამინისტროს ხელში „მათ წინააღმდეგ არსებულ ბერკეტად“, რომლის გამოყენებაც ნებისმიერ დროს შესაძლებელია.

შეჯამება

კვლევის შედეგების მიხედვით, პროცესში ჩართული ყველა მხარე სახელმძღვანელოების ხარისხის გაუმჯობესებისთვის აუცილებლად მიიჩნევს მეტი ინვესტიციის ჩადებას შინაარსის შექმნის დროს.

აღნიშნულში, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება საავტორო ჰონორარების ზრდა, რაც გააძლიერებს ავტორთა მოტივაციას და მეტ დროს დაუთმობენ სახელმძღვანელოზე მუშაობას. მნიშვნელოვანია ავტორებისა თუ რედაქტორების კომპეტენციების განვითარებაში ინვესტირებაც, რაც რესპონდენტების შეფასებით, გრძელვადიან პერიოდში დადებითად აისახება სახელმძღვანელოების ხარისხზე.

გარდა ამისა, ავტორების, რედაქტორებისა და განათლების სპეციალისტების შეფასებით, მნიშვნელოვანია სახელმძღვანელოების შექმნის ვადები და პროცედურა იყოს მოქნილი, დეტალურად გაწერილი, რათა ჩართულ მხარეებს საშუალება ჰქონდეს დროულად დაიწყონ მუშაობა და შეძლონ სასურველი ხარისხის მიღწევა.

სახელმძღვანელოების რეცენზირებისა და გრიფის მინიჭების პროცესის შეფასების დროს, ავტორების მხრიდან საკვანძო გამოწვევად კონკურსის ვადები და შემფასებლების კომპეტენცია სახელდება. განათლების სპეციალისტები იზიარებენ მოსაზრებას, რომ შემფასებლები უნდა იყვნენ სპეციალისტები, რომლებსაც გათვითცნობიერებული აქვთ არა მხოლოდ საგნის სწავლების, არამედ, ზოგადად, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები და მიდგომები. მასწავლებლების მოსაზრებით კი, სასურველია, თავად პრაქტიკოსი პედაგოგები ერთვებოდნენ შეფასების პროცესში, რაც სახელმძღვანელოს ხარისხის ვალიდატორიც იქნებოდა და ამასთან, მეტად ასახავდა მათ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

განათლების სფეროს სპეციალისტები, ისევე როგორც მასწავლებლები, მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სახელმძღვანელოს როლის გადააზრებას თანამედროვე გამოწვევების, აგრეთვე ხელმისაწვდომობისა და ხარისხის კონტექსტში. კერძოდ, რესპონდენტების შეფასებით, სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობის იდეა მისასალმებელია და აუცილებელი, თუმცა მნიშვნელოვანია ხარისხზე (ტექნიკური და შინაარსობრი-

vi) მეტი ყურადღების გამახვილება, ასევე იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა მოსწავლეს/მასწავლებელს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, სრულფასოვნად და შეუზღუდავად გამოიყენოს წიგნისა თუ სხვა დამხმარე მასალების რესურსი. მასწავლებლებისა და სპეციალისტების ნაწილი სავალდებულოდ მიიჩნევს სახელმძღვანელოს ტრადიციული ფორმით ბეჭდვის ალტერნატივებზე მუშაობის დაწყებას და პედაგოგებისთვის მეტი პრაქტიკული რესურსის მომზადებას.

სახელმძღვანელოების შერჩევასა და შეფასებაში ერთ-ერთ საკვანძო გამოწვევად გამოიკვეთა სკოლების როლი და, რიგ შემთხვევაში, მასწავლებლების მხრიდან ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობა. მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორების შეფასებით, სკოლებში შერჩევის პროცესი დღესდღეობით სრულფასოვნად არ ხორციელდება, რაც მათი დაბალი მოტივაციითა და სახელმძღვანელოებზე არასაკმარისი ინფორმაციით არის განპირობებული. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ წიგნების შერჩევის პროცესში სკოლის როლის გაზრდა და მასწავლებლების კომპეტენციების გაძლიერება სახელმძღვანელოების პოლიტიკის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ვექტორს უნდა წარმოადგენდეს.

სახელმძღვანელოების შინაარსის ინკლუზიურობისა და თანასწორობის პრინციპების ასახვის თვალსაზრისით, გამოწვევები სამუშაო პროცესის ციკლის ყველა ეტაპზე არსებობს. სპეციალისტები და მასწავლებლები თვლიან, რომ, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ავტორებისა და რეცენზენტების ცნობიერების ამაღლება ყველა სახის დისკრიმინაციისა და ინკლუზიური სწავლების შესახებ. ამასთან, აუცილებელია პედაგოგთა კომპეტენციების განვითარება დისკრიმინაციის ფაქტის ამოცნობისა და ადამიანის უფლებების სწავლების მიმართულებით, ვინაიდან არსებული სახელმძღვანელოები შეიცავს მსგავს ტექსტებსა და ფოტოებს და სწორედ მასწავლებლებმა უნდა შეძლონ მათი კორექტირება სწავლების პროცესში.

საბოლოოდ, კვლევის მონაწილე ყველა რესპონდენტს აქვს განცდა, რომ ამ საკითხების შესახებ აუცილებელია უფრო ფართო და მონაწილეობითი დისკუსიის წახალისება, რაც ჩართული მხარეებისთვის შექმნის საერთო ინტერესების იდენტიფიცირებისა და ოპტიმალური სისტემის განვითარების შესაძლებლობას.

სახელმძღვანელოების კონტენტ-ანალიზის შედეგების მიმოხილვა

სახელმძღვანელოს შეფასება თანასწორობისა და ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონტექსტში

სახელმძღვანელოების შექმნის/შეფასების ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მეთოდოლოგია ორიენტირებულია თანასწორობის პრინციპების დაცვაზე და ცდილობს ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრას შემდეგი სტრატეგიებით:

- ინკლუზიური ენის გამოყენება;
- ინდივიდის/ინდივიდთა ჯგუფების მრავალფეროვანი, თანასწორი წარმოდგენა;
- ადამიანის უფლებების ინტეგრირებული სწავლება.

სახელმძღვანელოების შინაარსისა და დიზაინის თანასწორობის პრინციპებთან შესაფასებლად კვლევის ფარგლებში გამოვიყენებთ ჩარჩოს, რომელიც ეფუძნება გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მიერ ავტორებისა და შემფასებლებისთვის მომზადებულ რეკომენდაციებს, ასევე, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ 2016 წელს სახელმძღვანელოს კვლევისათვის გამოყენებულ მეთოდოლოგიას.

ინკლუზიური აღწერის კრიტერიუმები	*მრავალფეროვნების წარმოდგენის კრიტერიუმები*	*ადამიანის უფლებების ინტეგრირებული სწავლების კრიტერიუმები*
ფაქტების ობიექტური და მიუკერძოებელი აღწერა.	განსხვავებული ჯგუფების/ იდენტობის ობიექტური აღწერა.	ადამიანის ფუნდამენტური უფლებების სრულყოფილი და თანმიმდევრული სწავლება.
ტერმინების, კონცეფციების მართებულობა და შესაბამისობა.	პერსონაჟების თანასწორი და მიუკერძოებელი წარმოდგენა.	სოციალური, ეთნიკური, პოლიტიკური, კულტურული კონფლიქტების, დაპირისპირების აღწერაში ადამიანის უფლებების შესახებ მსჯელობა.
დიზაინის, ილუსტრაციების, სხვა ვიზუალური მასალის ნეიტრალური წარმოდგენა.	წარმოდგენილი ილუსტრაციები არ არის დისკრიმინაციული, მიკერძოებული ან/და შეურაცხმყოფელი რომელიმე ეთნოსის, რელიგიური კუთვნილების, გენდერული თუ სხვა ნიშნით.	

კრიტერიუმის შესაბამისი განმარტება მოცემულია დანართი 2-ის სახით.

სახელმძღვანელოების კონტენტ-ანალიზის შედეგად, 2 ძირითადი გამოწვევა გამოიკვეთა. პირველ ყოვლისა, არასაკმარისად ან საერთოდ არ არის ასახული გენდერული, ეთნიკური, რელიგიური, კულტურული და სხვა ნიშნით მრავალფეროვნების საკითხები ისევე, როგორც უმცირესობების როლი საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში. შესაბამისად, აუცილებელია, ყურადღება გამახვილდეს არა იმაზე, თუ რა წერია სახელმძღვანელოში, არამედ იმაზე, თუ რა უნდა ეწეროს. ამისათვის კი საჭიროა ქართული იდენტობის გადააზრება და სახელმძღვანელოებში რელიგიური ნაციონალიზმით გაჯერებულ ნარატივზე უარის თქმა. ასევე, მნიშვნელოვანია, ავტორებმა, მასწავლებლებთან და კონფლიქტებისა და ნაციონალური იდენტობის მკვლევარებთან კონსულტირების საფუძველზე, შეიმუშაონ ერთიანი ჩარჩო, რომელიც მკაფიო ინსტრუქციას შეიცავს, თუ როგორ შეიძლება ისწავლებოდეს ეთნოსებს, ერებსა და სახელმწიფოებს შორის არსებული/ძველი კონფლიქტები იმგვარად, რომ რომელიმე ეთნოსის ან რელიგიური აღმსარებლობის მოსწავლემ თავი არ იგრძნოს შეურაცხყოფილად ან თავდაცვით პოზიციაში უმრავლესობის მიმართ.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია ადამიანის უფლებების სწავლება. ამ შემთხვევაში გამოწვევას წარმოადგენს ადამიანის უფლებების ინტეგრირებული სწავლება. აღნიშნულში ვგულისხმობთ მნიშვნელოვანი თემების, პრობლემების, ფაქტების, პროცესების გააზრებას ადამიანის უფლებების პარადიგმიდან, რაც მოსწავლეებს დაეხმარება საკუთარი უფლებების გაცნობიერებაშიც და სხვათა უფლებების დაცვისა და საერთო სამოქალაქო ცნობიერების განვითარებაშიც. სახელმძღვანელოების შედეგების დეტალური ანალიზი იხილეთ ქვემოთ.

სამოქალაქო განათლება მე-9 კლასი - მოსწავლის სახელმძღვანელო

ავტორები: ნინო ტალახაძე, თამარ ბრეგვაძე, ივანე პეტრიაშვილი

გამომცემლობა „სიდი“

გრიფის მინიჭების თარიღი: 2012

ინკლუზიური აღწერა

სახელმძღვანელოს ტექსტი ძირითადად აღწერითი და, ზოგიერთ შემთხვევაში, განმარტებითი ხასიათისაა. თხრობა აკადემიურია, თუმცა ვხვდებით არამეცნიერულ, ემოციურ ან მიკერძოებულ აღწერის მაგალითებსაც.

არამეცნიერული და არააკადემიური აღწერა

სახელმძღვანელოს რამდენიმე ქვეთავში წარმოდგენილია ცნებებისა და კონცეფციების ტიპოლოგიები, რომლებიც, ერთი მხრივ, სრულფასოვნად არ აღწერს ცნებას და ბუნდოვანი ინტერპრეტაციების საშუალებას ქმნის, მეორე მხრივ კი, არ ეფუძნება აღიარებულ მეთოდოლოგიურ, თეორიულ ჩარჩოებს:

- თავში - თავისუფალი ნება და გადაწყვეტილებები - მოსწავლეს ევალება გარკვეული გადაწყვეტილების შეფასება ქცევის აგრესიული, პასიური, თავდაჯერებული მოდელის მიხედვით. ყოველი მოდელის ფარგლებში კი შეფასებულია სხვადასხვა უნარი, ღირებულება ან გადაწყვეტილება, მაგალითად: პასუხისმგებლობა, ემოციების გამომჟღავნება, საკუთარი თავის პატივისცემა, ტყუილი და ინტრიგა. მკაფიო არ არის, რას ეფუძნება ქცევის აღნიშნული მოდელები და კავშირები მოდელსა და ამა თუ იმ ღირებულებას შორის. შესაბამისად, ვიღებთ ბუნდოვან მნიშვნელობას - თავდაჯერებული ქცევის მოდელის მიხედვით, ტყუილისა და ინტრიგის ცნება ახსნილია როგორც სიტუაცია, როცა ადამიანი ამას მხოლოდ დადებითი შეფასებისთვის იყენებს, მაგალითად, გვაქებს (გვ. 15).
- პიროვნული და საზოგადოებრივი კონფლიქტების შესახებ ქვეთავში გამოყოფილია კონფლიქტის გადაჭრის <u>საზოგადოებრივი</u> და <u>სამართლებრივი გზები.</u> კონფლიქტების ამგვარი კლასიფიკაცია, ერთი მხრივ, ბუნდოვანია და, მეორე მხრივ, სრულფასოვნად არ აღწერს კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიებს. მაგალითად, ამავე ტექსტში საერთოდ არ არის განმარტებული და მოხსენიებული კონფლიქტის არაძალადობრივი გადაჭრის სხვა სტრატეგიები და ინსტრუმენტები (გვ. 51).

ავტორის/ავტორების სუბიექტური შეფასებისა და არამეცნიერული განსჯის მაგალითებს ვხვდებით იმ თემებში, რომლებიც აღწერს სხვადასხვა დაავადებისა თუ დამოკიდებულების მახასიათებლებს.

- აივ-ინფექცია სადღეისოდ მიჩნეულია კაცობრიობისთვის ყველაზე დიდ საფრთხედ თერმობირთვული ომის შემდეგ (გვ. 133);
- ასევე, შიდსის ვირუსისგან თავის დაცვის საშუალებებში ვკითხულობთ:

  „დაიცავით ოჯახური სიწმინდე და ერთგულება“ ;

  „თავი შეიკავეთ შემთხვევითი სქესობრივი კავშირისგან“.

ოჯახური სიწმინდე და ერთგულების დაცვა არის ცხოვრების წესი, რომელსაც განსაზღვრავს ცალკეული რელიგიური მრწამსი და არა დაავადების პრევენციის მექანიზმი. აღნიშნულ შემთხვევაში მართებულია სექსუალობის შეფასება არა რელიგიური, არამედ სექსუალური განათლების პერსპექტივიდან, რომელიც დეტალურად აღწერს/უნდა აღწერდეს ამ გზით გადამდები დაავადებების პრევენციის ყველა შესაძლო მექანიზმს.

ამავე თავში, სექციაში „ეს საინტერესოა“ მოყვანილია 5 ტექსტი. მათგან პირველი აღწერს სხვადასხვა ქვეყანაში ალკოჰოლზე დამოკიდებული ადამიანების დასჯის ძალადობრივ მეთოდებს კრიტიკული კომენტარის გარეშე:

1. ძველ ინდოეთში სმით გატაცებულ ადამიანებს აიძულებდნენ გავარვარებული ლითონის ჭურჭლიდან მანამდე ესვათ მდუღარე ღვინო ან წყალი, სანამ სიკვდილი არ დადგებოდა;
2. ნებისმიერ რომაელს, რომელიც ცოლის სიმთვრალეს შენიშნავდა, მისი მოკვლის უფლება ჰქონდა;
3. ჰოლანდიაში ქალ ალკოჰოლიკებს სამჯერ აყურყუმელავებდნენ წყალში;
4. 1917 წელს წითელ არმიაში ლოთობა დახვრეტით ისჯებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1-ლი და მე-4 მაგალითის აღწერა გენდერული ნიშნით ნეიტრალურია, ხოლო მე-2 და მე-3 დებულება ქალის მიმართ არსებული სტერეოტიპების განმტკიცებას უწყობს ხელს და საჭიროებს განმარტებით კომენტარს.

მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ტექსტები საქართველოს ისტორიაში, ფოლკლორსა და მითოლოგიაში ღვინის როლს სუბიექტურად წარმოაჩენს. აღნიშნული ისტორიების აღწერას ეთმობა 2 გვერდი, რაც აღემატება ისეთი მნიშვნელოვანი თემების გაშუქებას, როგორიცაა, მაგალითად, კულტურა და მულტიკულტურალიზმი (1.5 გვერდი).

მცდარი ან არასრულად განმარტებული ტერმინები

რიგ შემთხვევაში ტერმინები განმარტებულია არაზუსტად, ან მოცემულია ამა თუ იმ ტერმინის მოძველებული განმარტება:

- ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მიმოხილვაში საყოველთაობის პრინციპის აღწერისას ნათქვამია, რომ „ადამიანის უფლებები საყოველთაოა, ვინაიდან ისინი ეფუძნება თითოეული ადამიანის ღირსებას რასის, კანის ფერის, სქესის, ეთნიკური თუ სოციალური წარმომავლობის, რელიგიის, ენის, ეროვნების, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის, უნარშეზღუდულობისა თუ სხვა რამე გამორჩეული ნიშნის მიუხედავად (გვ. 20).

ტერმინი „უნარშეზღუდული“ მოძველებულია, მის ნაცვლად უნდა იყოს: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე.

- ტოლერანტობა განმარტებულია როგორც განსხვავებული აზრის, კულტურის, რასის, სქესის, რელიგიისა და შეხედულებების მქონე ადამიანების მიმართ კეთილგანწყობა და შემწყნარებლობა, როგორც მომთმენი დამოკიდებულება ოპონენტთან ურთიერთობის დროს (გვ. 21).

ტოლერანტობის თანამედროვე განმარტება სწორედ დამკვიდრებული „მომთმენი პოზიციის“ გადაფასებისკენ არის მიმართული:

ტოლერანტობა ნიშნავს ადამიანის შესაძლებლობას, აღიაროს, პატივი სცეს ან გაითვალისწინოს სხვა ადამიანის რწმენა, ქცევა, ღირებულებები. ტოლერანტული ღირებულებების განვითარების მიზანია, მოსწავლეებს არაძალადობის გზით შეეძლოთ განსხვავებულ კულტურის, რასის, სქესისა და რელიგიის მქონე ადამიანებთან ეფექტიანი ურთიერთობის დამყარება;[70]

- კულტურა არის ადამიანის ჯგუფებისთვის დამახასიათებელი საერთო ფასეულობების, რწმენისა და ქცევის წესების ერთობლიობა (გვ. 55);
- მრავალფეროვნება: მიდგომას, რომელიც კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და განვითარებას გულისხმობს, მულტიკულტურალიზმი ეწოდება (გვ. 55).

დარგობრივი სპეციალისტები საზოგადოებასთან ერთად თანხმდებიან, რომ კულტურისა და მრავალფეროვნების მნიშვნელობა ბევრად უფრო ფართოა. შესაბამისად, სასურველია ეს უკანასკნელი განმარტებული იყოს უფრო ვრცლად და მრავალი პერსპექტივით, რაც მთავარია, ეფუძნებოდეს და წარმოაჩენდეს თანასწორობას, როგორც ღირებულებას და მშვიდობიანი თანაცხოვრების ძირითად პრინციპს.

- კულტურული მრავალფეროვნების კონტექსტში, თანაარსებობის განმარტება შეიცავს ფრაზას: „მოდელში არსებობს ძალაუფლების მონოპოლიის მქონე დომინანტური ჯგუფი, რაც არასწორი მოცემულობაა“. განმარტების მეორე ნაწილი სწორად აღწერს შინაარსს: „ერთმანეთისგან განსხვავებული ჯგუფები თანამშრომლობენ საერთო ინტერესების საფუძველზე, ინარჩუნებენ საკუთარს და აღიარებენ სხვათა კულტურას“.
- ჯანმრთელობა მხოლოდ ავადმყოფობისა და *ფიზიკური ნაკლოვანების* არარსებობა კი არა, არამედ სრული ფიზიკური, სულიერი და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობაა (გვ. 118).

ფიზიკური ნაკლოვანება, მსგავსად უნარშეზღუდულობისა, არ არის ინკლუზიური ცნება. ამიტომ ამ ფორმით გამოყენება მიზანშეწონილად არ ითვლება, ვინაიდან არსებობს დეფინიციის უფრო ინკლუზიური ალტერნატივები.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის განმარტებით, „ჯანმრთელობა - ეს არის სრული ფიზიკური, გონებრივი და სოციალური კეთილდღეობა და არა მხოლოდ დაავადების ან უძლურების არარსებობა, სოციალური და ეკონომიკურად პროდუქტიული ცხოვრების უნარიანობა“.[71]

[70] ლექსიკონი, ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი, 2020, http://ncp.ge/ge/dictionary.

[71] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, *წიგნი პაციენტებისთვის „ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა“ (გზამკვლევი)*

- ნარკოტიკი განმარტებულია, როგორც მცენარეული და ქიმიური წარმოშობის ქიმიური ნივთიერება. მისი გამოყენება იწვევს ნარკოტიკულ თრობას, ხოლო ადამიანს, რომელიც ნარკოტიკს არასამედიცინო მიზნით იყენებს, ნარკომანი ეწოდება. ამგვარი ახსნა არ მოიცავს ნარკოტიკის სამედიცინო, იურიდიულ და სოციალურ განმარტებას. ნარკომანიის, ალკოჰოლიზმისა და მწეველობის აღსანიშნად არსებობს უფრო ინკლუზიური ტერმინი - სოციალური დაავადებები, რომელიც აღწერს დაავადებას/დამოკიდებულებას და არა - ადამიანს.

მრავალფეროვნების, განსხვავებული იდენტობის წარმოდგენის საკითხები

მრავალფეროვნების აღწერას სახელმძღვანელოში 2 გვერდი - 1 თავი ეთმობა. ხაზგასმულია, რომ „საქართველოს შემთხვევაში, თანამედროვე გაგებით, მრავალი განსხვავებული კულტურა თანაარსებობს“ [...] საქართველოსთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება და მოყვანილია შესაბამისი დიაგრამა (გვ. 55).

მრავალფეროვნება და მულტიკულტურალიზმი დაკავშირებულია პოზიტიურ ცნებებთან: მშვიდობა, თანაარსებობა, ერთი რეალობის სხვადასხვა კუთხით აღქმა, თუმცა მრავალფეროვნების ან კულტურათა შორის ურთიერთობის ამსახველი მაგალითები არც ძირითად ტექსტშია მოცემული, არც სექციებში - „ეს საინტერესოა“ და არც დავალებასა და პრაქტიკუმში. ასევე, მრავალფეროვნების, კულტურათაშორისი დიალოგის ელემენტები არ წარმოადგენს გამჭოლ თემას სხვა თემატურ ერთეულებში, მათ შორის, ადამიანის უფლებების, მონაწილეობის, დემოკრატიისა და კონფლიქტების ნაწილში.

განსხვავებული იდენტობის დაფარვა / გამოტოვებული პერსონაჟები

- სახელმძღვანელოს არცერთ ქვეთავში არ არის ჩანაწერი, რომელიც ეხება ეთნიკური და/ან რელიგიური უმცირესობების როლს, ღვაწლს, მნიშვნელობას საქართველოს სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ, აგრეთვე, დემოკრატიის, კონსტიტუციონალიზმისა და პარლამენტარიზმის განვითარებაში. ასევე, არ არის წარმოდგენილი მათი ხედვა და პერსპექტივა, არ არის მოხსენიებული არცერთი ცნობილი პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადოებრივი მოღვაწე, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი დამსახურება საქართველოს სახელმწიფოებრიობის, ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლაში, მაგალითად, მემედ აბაშიძე, ფარი ხანუმ სოფიევა, ჰოვანეს თუმანიანი.
- სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ილუსტრაციები არ ასახავს ეთნიკურ უმცირესობებს, ასევე დასახელებულ პერსონაჟებში არცერთი სახელი არ არის ეთნიკური უმცირესობისთვის დამახასიათებელი.

გენდერული ნიშნით ქალისა და კაცის როლის წარმოდგენა

სახელმძღვანელოს ილუსტრაციებში წარმოდგენილია ქალის 6, კაცის - 17 და 36 ჯგუფური ფოტო. ჯგუფური ფოტოების დიდ უმრავლესობაში (რომელშიც სქესის იდენტიფიცირება შესაძლებელია) მამაკაცების რაოდენობა აჭარბებს ქალების რაოდენობას. ეკონომიკური აქტივობის მიმოხილვაში (თავი „შენ და ეკონომიკა“) წარმოდგენილი არ არის ქალის ფოტო, ისევე როგორც სპორტული აქტივობის აღმწერ 13 ფოტოსურათში. ასევე, სახელმძღვანელოში გვხვდება 11 ცნობილი/აღიარებული პიროვნების გამონათქვამი, მათ შორის, არცერთი გამონათქვამი არ ეკუთვნის ქალს. სხვადასხვა პროცესის/ფაქტის აღწერისას მოხსენიებულია მხოლოდ 2 ქალი: თამარ მეფე და ეკატერინე II.

სახელმძღვანელოს არცერთ თავში, მათ შორის, „ოჯახი - ძირითადი საზოგადოებრივი ინსტიტუტი“, სათანადოდ არ არის აღწერილი და გაანალიზებული გენდერული როლები და მათი მნიშვნელობა. მისასალმებელია, რომ ტექსტში ქალის როლი, გარდა დედისა და დიასახლისისა, წარმოდგენილია სხვადასხვა პროფესიულ საქმიანობაში. მეორე მხრივ, მართვასთან და ფინანსური გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ თემებში ქალი პერსონაჟები არ არიან წარმოდგენილნი, რაც მის შესაძლებლობებსა და საქმიანობასთან დაკავშირებული სტერეოტიპების განმტკიცებას უწყობს ხელს.

(თბილისი: „ფონდი - ღია საზოგადოება – საქართველო“, 2011).

სტიგმის განმტკიცება და ნეგატიური სტერეოტიპიზაცია

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ტექსტები და მსჯელობა ჯანსაღი ცხოვრების წესისა და დამოკიდებულებების შესახებ (ნარკოდამოკიდებულება, ალკოჰოლიზმი) განამტკიცებს სტიგმას, რომელიც არსებობს წამალდამოკიდებული ადამიანების მიმართ. მსჯელობა პრობლემად წარმოაჩენს არა წამალდამოკიდებულებას, არამედ თავად ადამიანს, როგორც დამოკიდებულს. ის წარმოდგენილია როგორც სოციალური დამნაშავე, უსაქმური, საზოგადოებისათვის საფრთხის შემცველი. ვხვდებით ღირსების შემლახველ ტერმინებს, მაგალითად, „დეგრადირებულს“.

- ნარკომანები ცუდი მუშაკები არიან, ოჯახისთვის დიდი მატერიალური ზიანი მოაქვთ, ისინი ხშირად უბედური შემთხვევების მიზეზი ხდებიან (გვ. 130);
- მოზარდი, რომელმაც ნარკოტიკი გასინჯა 25 წლის ასაკში, ჩამოყალიბებული ნარკომანი ხდება. მისი პიროვნება დეგრადირებულია იმიტომ, რომ მისი ფსიქიკა ჩამოუყალიბებელია, განკურნება კი - ძალიან რთული (გვ. 130);
- 4 არა ნარკოტიკის წინააღმდეგ: არა უსაქმურობას [...] ნარკომანები ირჩევენ გზას, რომლითაც საკუთარ თავს ყველა ადამიანურ თვისებას ართმევენ (გვ. 131);
- ლუდის მოხმარება, რასაც ხშირად შეესწრებით ეზოში, სადარბაზოსა და ქუჩაში, იწვევს თაობის დეგრადაციას (გვ. 126).

პიროვნების იდენტიფიცირების, პრობლემის პერსონიფიკაციის რისკი

მიგრაციის, ტრეფიკინგისა და ადამიანის ვაჭრობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოსწავლეებისათვის განსაკუთრებით მგრძნობიარე თემაა, ვინაიდან შესაძლოა, სწორედ მათი მშობელი, მეურვე, ოჯახის წევრი, მეგობარი იყოს ემიგრაციაში, ეწეოდეს არალეგალურ შრომას. ამ თემების განხილვისას მოსწავლეებს დაევალებათ მსხვერპლი ქალისა და კაცის პორტრეტის შექმნა ფიზიკური თუ სოციალური მახასიათებლების მიხედვით. მსგავსი დავალება რისკის შემცველია, რადგან ზრდის მსხვერპლის პერსონიფიკაციისა და იდენტიფიცირების რისკს, განსაკუთრებით კი მცირე დასახლებებში, სადაც მოსახლეობა ბევრად უფრო ახლოს იცნობს ერთმანეთს და ერთმანეთის პრობლემებს.

ამავე თავის მიმოხილვაში ტრეფიკინგის ერთ-ერთი შემთხვევა განხილულია მსხვერპლის აფხაზეთში გადაყვანის მაგალითზე. უმჯობესი იქნებოდა, ის ზოგადი მაგალითით ჩანაცვლდეს ან დაერთოს კრიტიკული კომენტარი, აფხაზების მიერ მტრული განწყობების შექმნისგან თავის არიდების მიზნით (გვ. 111).

ადამიანის უფლებების ინტეგრირებული სწავლება

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებები აღწერილია და თემატურად არის მოყვანილი სხვადასხვა მაგალითი დეკლარაციიდან და კონსტიტუციიდან, ადამიანის უფლებების ჭრილში თემების განხილვის შესაძლებლობა შეზღუდულია. გენდერულ ჭრილში, თანასწორობისა და მრავალფეროვნების, ადამიანის უფლებების დაცვის კონტექსტში არ არის განხილული პროცესები, ფაქტები და გამოწვევები. კერძოდ, სახელმძღვანელოს მასალა და დავალებების კრებული არ იძლევა მკაფიო წარმოდგენას, თუ ვის და რა ფორმით შეუძლია საკუთარი უფლებების დაცვა და რა არის ის წინააღმდეგობები, რომლებიც აფერხებს ინდივიდებისა თუ ჯგუფებისათვის საკუთარი უფლებების რეალიზებას, მაგალითად:

- სახელმწიფო მართვაში და ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობის, ან უფლებებისა და თავისუფლებების სარგებლის ნაწილში აღნიშნული არ არის, რატომ შეიძლება მოხდეს ამა თუ იმ უფლებით სარგებლობის შეზღუდვა;
- არაფერია ნათქვამი, მაგალითად, შემოსავლებს შორის გენდერული ნიშნით სხვაობაზე;
- არაფერია ნათქვამი ეთნიკური ნიშნით განსხვავებაზე დასაქმების, მათ შორის, სახელმწიფო ენის ფლობისა და განათლების უფლების გამოყენების კუთხით;
- მულტიკულტურალიზმისა და მრავალფეროვნების კონტექსტის, ისევე როგორც პიროვნული და საზოგადოებრივი კონფლიქტების განხილვისას, მკაფიოდ არ არის წარმოდგენილი არაძალადობრივი გადაჭრის გზების მნიშვნელობა და ინდივიდის/ჯგუფის დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკითხები;
- პირადი ცხოვრებისა და პირადი ინფორმაციის დაცვის გზები და მნიშვნელობა საერთოდ არ არის წარმოდგენილი;
- სკოლის უსაფრთხოების შესახებ მსჯელობა აღწერს დასჯაზე და არა ზრუნვაზე ორიენტირებულ სისტე-

მას, არასათანადოდ წარმოაჩენს ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებსაც. კერძოდ, ქცევის კოდექსზე საუბრისას ჩამოთვლილია სასჯელის სხვადასხვა ფორმა დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად, თუმცა რეაგირების მექანიზმების აღწერისას არ არის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ დაიცვას უფლებები მოსწავლემ. მაგალითად, როგორ მოიქცეს გაკვეთილიდან გაძევების შემთხვევაში და ვის უნდა მიმართოს დასახმარებლად.

ავტორები: ნ. ბერუჩაშვილი, ნ. ელიზბარაშვილი, ზ. დავითაშვილი

გამომცემლობა: "კლიო " და "მერიდიანი"

გრიფის მინიჭების თარიღი: 2012

ინკლუზიური აღწერა

არამეცნიერული და არააკადემიური აღწერა

ტექსტი ძირითადად აკადემიური და აღწერითი ხასიათისაა და ფაქტები, მონაცემები და ილუსტრაციები ინტერპრეტირების გარეშე არის მოცემული. ზოგიერთ შემთხვევაში გამოყენებულია ნაციონალიზმით გაჯერებული ემოციური შეფასებები ამა თუ იმ მოვლენის აღწერისთვის, მაგალითად:

- ძნელია, მოიძებნოს ქართველი კაცი, რომელიც თავისი ფესვებით სოფელთან არ იყოს დაკავშირებული [...], მაგრამ სოფელი კვლავ ქვეყნის ეკონომიკის საფუძველი, ქართული ხალხური კულტურისა და ეროვნული ტრადიციების უმთავრესი კერაა (გვ. 141);
- ტრადიციულად, ქართველები საკუთარი სურვილით იშვიათად ტოვებდნენ სამშობლოს. ძალით გატაცებული და ტყვედ გაყიდული ქართველობა მალევე ითქვიფებოდა ადგილობრივ მოსახლეობაში და კარგავდა ქართულ თვითშეგნებას. იშვიათი და სასიამოვნო გამონაკლისია ფერეიდნელი ქართველები, რომლებმაც კომპაქტური დასახლების საშუალებით დღემდე შეინარჩუნეს ენა და ეროვნული თვითშეგნება (გვ. 145).

ზოგიერთ შემთხვევაში მონაცემები რუკის, ცხრილის, გრაფიკის სახით წარმოდგენილია შეგროვების თარიღის ამხსნელი ან/და კრიტიკული კომენტარის გარეშე:

- დანაშაულის გეოგრაფიის აღწერისას ნათქვამია, რომ დანაშაულის ზრდას იწვევს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. წარმოდგენილ რუკაზე ჩანს დანაშაულის რაოდენობა ყოველ 100 კაცზე, მაგრამ არ ვიცით მისი შედგენის წელი, არც ის, თუ რა დანაშაულს შეეხება კონკრეტულად, ან ვის მიერაა შეგროვებული მონაცემები. მონაცემების არასრულად წარმოდგენა ამა თუ იმ ქალაქისა და რეგიონის შესახებ მცდარი შეხედულებების ჩამოყალიბების რისკის შემცველია (გვ. 194);
- ერთ-ერთ ილუსტრაციაზე წარმოდგენილია ოკუპირებული ტერიტორიები საქართველოში, ასევე მთიანი ყარაბაღი და ნახჭევანი. აღნიშნულ ილუსტრაციას არ ახლავს კრიტიკული კომენტარი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში წარმოდგენილი ეთნიკური უმცირესობების უმრავლესობას სწორედ სომხები და აზერბაიჯანელები წარმოადგენენ. ეს მხარეები კონფლიქტში არიან ჩართულები და შესაძლოა, მათთვის განსაკუთრებით მგრძნობიარე საკითხი იყოს (ნახ. 1.1.7. გვ. 8).

მცდარი ან არასრული განმარტებების გამოყენება

- სახელმძღვანელოში რელიგიური ჯგუფების აღნიშვნისთვის გამოყენებულია ტერმინები „სექტა“, „გრიგორიანელები“ (გვ. 154-155). აღნიშნული ტერმინებით შესაბამისი ჯგუფები საკუთარ იდენტობას არ განსაზღვრავენ.
- ასევე, ასირიელები მოხსენიებულები არიან, როგორც აისორები (გვ. 153). ეს სახელწოდება გავრცელებული იყო მეფის რუსეთში და დამამცირებლად ითვლებოდა.

მრავალფეროვნების, განსხვავებული იდენტობის წარმოდგენის საკითხები

ეთნიკური მრავალფეროვნების განხილვის კონტექსტი ხელს არ უწყობს მასთან დაკავშირებით პოზიტიური მსჯელობისა და წარმოდგენების განვითარების შესაძლებლობას.

- საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობისა და ტერიტორიის ცვლილების კონტექსტში აღნიშნულია, რომ ჩვენი მეზობელი ქვეყნები გამოირჩევიან ეთნიკური და რელიგიური სიჭრელით, რაც ხშირად კონფლიქტების მიზეზი გამხდარა (გვ. 8);
- ქართველთა ეთნოგენეზის აღწერაში აღნიშნულია, რომ მიუხედავად რთული შიდა ეთნიკური სტრუქტურისა, საერთო ქართული შეგნება ძალიან ადრე ჩამოყალიბდა (გვ. 147-148);
- XIX საუკუნეში რუსეთის იმპერია დაინტერესებული იყო საქართველოში სხვადასხვა ეროვნების ხალხი

დაესახლებინა და ამით განეხორციელებინა „დაყავი და იბატონეს“ ცნობილი პრინციპი. აღწერილია ქვემო ქართლში გერმანელების, სამცხე-ჯავახეთში სომხებისა და თრიალეთში ბერძნების ჩასახლება. აღნიშნულია ოსების მასობრივი მიგრაცია და რუსების, მათ შორის, სექტანტების დასახლებების გაჩენა;

- [...] განსაკუთრებით ინტენსიური იყო იმიგრაციის პროცესი, ძირითადად რუსეთიდან და უკრაინიდან, რამაც რესპუბლიკის ეთნიკური სურათი კიდევ უფრო ააჭრელა (გვ. 150);
- მოსწავლეებს ევალებათ ეთნიკურ რუკაზე ყველაზე რთული ეთნოგრაფიული რეგიონების გამოყოფა (გვ. 150).

ჩვენ და ისინი

ეთნიკური მრავალფეროვნების საკითხებში, მსგავსად ისტორიის სახელმძღვანელოებისა, ჩანს მიმართება: ჩვენ - ქართველები და ისინი - სხვები. „ჩვენი“ და „სხვების“ ურთიერთობა განხილულია, ძირითადად, საქართველოს მოსახლეობის დინამიკის ცვლილების ჭრილში. ეთნიკური უმცირესობები მოხსენიებულები არიან, როგორც არაქართველები, სხვები, რომლებიც სხვადასხვა დროს დასახლდნენ საქართველოში, ჩვენს სამშობლოში და ჩვენი [მკვიდრი ქართველების] ადგილი დაიკავეს.

მსჯელობის ამგვარი განვითარება გამოხატულია როგორც საქართველოს ტერიტორიის ფორმირების, ასევე მოსახლეობის დინამიკის და შემდეგ უკვე ეთნიკურ-რელიგიური შემადგენლობის მიმოხილვის დროს.

მოსახლეობის დინამიკაზე საუბრისას ნათქვამია, „რაც შეეხება საკუთრივ ქართველებს, მათი რაოდენობა 1989 წელს 3787 იყო, რაც საერთო მოსახლეობის 70.1%-ს შეადგენდა [....] საქართველოს მოსახლეობის კლება, ძირითადად, სხვა ეროვნების ხარჯზე მოხდა (გვ. 127).

- შუა საუკუნეში ხდებოდა ქართველი მოსახლეობის გატაცება, ტყვედ გაყიდვა და ძალდატანებითი გადასახლება, ხოლო მათ ნაცვლად სხვა ხალხების ჩამოსახლება-დამკვიდრება (გვ. 145).
- [...] შუა საუკუნეებში ქართველები ქვეყნის მთელი მოსახლეობის 90%-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყვნენ. გვიან შუა საუკუნეებში, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ჩამოსახლდნენ ოსები, სომხები, აზერბაიჯანელთა წინაპრები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ქართველთა ხვედრითი წილი შემცირდა.

თუმცა, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მოსახლეობის დინამიკის მიმოხილვისას საუბარია რუსეთისა და შემდგომ საბჭოთა იმპერიის ინტერესზე, გამოეწვია კონფლიქტი ეთნოსებს შორის და ამ გზით განემტკიცებინა ძალაუფლება. ეს კარგ ნიადაგს ქმნის კრიტიკული მსჯელობის წარმართვისთვის (გვ. 150).

ეთნიკური უმცირესობების შესახებ თავში აღწერილია აფხაზების, ოსების, რუსების, სომხების, აზერბაიჯანელებისა და სხვა ეთნოსების საქართველოში დაფუძნებისა და განსახლების დინამიკა.

აფხაზებთან დაკავშირებით სახელმძღვანელოში ორაზროვანი ჩანაწერებია, კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში ისინი მოხსენიებულნი არიან, როგორც სხვა ერი. ამავე დროს, ვკითხულობთ იმასაც, რომ „ქართველების გარდა, აფხაზები ერთადერთი ხალხია ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ხალხებს შორის, რომელთაც საქართველოს გარეთ სხვა სამშობლო არ გააჩნიათ“; რომ აფხაზეთი ისტორიულად ყოველთვის საქართველოს ნაწილი იყო (გვ. 150), ხოლო XVII საუკუნეში მოსწყდნენ [აფხაზები] ქართულ სამყაროს და დაიწყო ამ ორი ხალხის გაუცხოება (გვ. 151).

ეთნიკური უმცირესობების მიმოხილვაში უფრო მცირე რაოდენობით წარმოდგენილი ეთნოსები გაერთიანებულები არიან ჯგუფში „სხვა ეროვნებები“. მათ შორის არიან ქისტები, ასირიელები, დაღესტნელები, ქურთები, საქართველოში გადმოსახლებული პოლონელების შთამომავლები, გერმანელები, ბერძნები, ებრაელები, ესტონელები. სხვა ეროვნებების ქვეშ გაერთიანებული ეთნოსებიდან შედარებით ინფორმაციულია ებრაელების აღწერა. დანარჩენი ეთნოსების შემთხვევაში მოცემულია ერთ ან ორწინადადებიანი აღწერა, ან უბრალოდ მოხსენიებულია მათი სახელი. განსაკუთრებით ბუნდოვანია ასირიელების დახასიათება:

„ძველი წარმოშობის ქრისტიანი ხალხი, მათი რიცხვი საქართველოში 4 000-ს არ აღემატება (გვ. 153).

მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის საკითხი განხილულია რეგიონების ჭრილშიც, თემაში „მოსახლეობა“.

- თბილისის მოსახლეობის დახასიათებისას აღნიშნულია, რომ მოსახლეობის 84% ქართველია, სომხები - 7%, რუსები - 3%. (გვ. 215).
- კახეთის შემთხვევაში ნათქვამია, რომ „კახეთის ეროვნული შემადგენლობა დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა“. მათი უმრავლესობა ქართველია. აქ ასევე ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, რუსები და სომხები (გვ. 219).

- „ქვემო ქართლის მოსახლეობის 45% ქართველია, ამდენივე - აზერბაიჯანელი. ცხოვრობენ სომხები - 6%, ბერძნები და სხვა ეროვნებები (გვ. 222).
- სამცხე-ჯავახეთის შემთხვევაში აღნიშნულია, რომ მის ეროვნულ შემადგენლობაში კარგადაა გამოხატული ისტორიულ მოვლენათა შედეგები: ქართველები ცხოვრობენ ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის რაიონებში. თურქეთიდან 1829-30 წლებში ჩამოსახლებული სომხებით დასახლებულია ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები (გვ. 236).
- სხვა რეგიონების დასახასიათებლად, ძირითადად, გამოყენებულია ტერმინები - ერთგვაროვანი ან ერთფეროვანი.

რელიგიური მრავალფეროვნების აღწერის მიზნით, წარმოდგენილია საქართველოში გავრცელებული ძირითადი რელიგიები როგორც რუკაზე, ასევე ილუსტრაციების სახით (2 რუკა, 6 ილუსტრაცია). ჩამოთვლილია საქართველოში ყველა გავრცელებული რელიგიური მიმდინარეობა და ასახულია შესაბამისი ილუსტრაციებით.

მუსლიმური აღმსარებლობის შესახებ საუბრისას ვხვდებით განზოგადებული მსჯელობის მაგალითებს, როგორიცაა:

> [...] ქართველი მოსახლეობის ნაწილი ძალდატანებით გაამუსლიმანეს, რის გამოც ქართველების გარკვეული რაოდენობა ისლამს აღიარებს, აჭარლებისა და ინგილოების ნაწილი მუსლიმანი სუნიტია, ფერეიდნელები - მუსლიმანი შიიტები (გვ. 155).

ზოგიერთ შემთხვევაში რელიგია გაიგივებულია ეთნიკურ ჯგუფთან:

- საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის აღწერისას აღნიშნულია, რომ შობადობის მაღალი დონით გამოირჩევა შიდა აჭარა და ქვემო ქართლი, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმანია, აგრეთვე ჯავახეთი, სადაც მოსახლეობის დიდ უმრავლესობას სომხები შეადგენენ (გვ. 130);
- [...] საქართველოში უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები [...] ესენი იყვნენ, ძირითადად, აფხაზები, ქართველი ებრაელები, საქართველოს ქალაქებში მცხოვრები სომხები და უფრო მცირე რაოდენობით, მუსლიმანები (გვ. 149);
- იმ მეზობელთა რიცხვში, რომელიც უშუალოდ არ ემიჯნება საქართველოს, მაგრამ 1000 კმ-ის რადიუსშია, ჩამოთვლილია: რუმინეთი, ბულგარეთი, ნატოს წევრი სახელმწიფოები, ხოლო დანარჩენი მუსლიმანური ან სოციალისტური ქვეყნებია (გვ. 7).

განსხვავებული იდენტობის დაფარვა/გამოტოვებული პერსონაჟები

სახელმძღვანელოში მოხსენიებულები არიან ეთნიკური უმცირესობები, თუმცა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებაში მათი როლის შესახებ არაფერია ნახსენები ან წარმოდგენილი ილუსტრაციის/დამატებითი ინფორმაციის სახით. მაგალითად, არაფერია ნათქვამი (არც ილუსტრაციებია წარმოდგენილი) სომხების წვლილზე თბილისის ეკონომიკურ, ურბანულ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში, მათ შორის, არც საიათნოვას, მიქაელ არამიანცის, გავრილ თამაშევის და სხვათა შესახებ.[72] ასევე, გამოტოვებულია ფაქტი, რომ თბილისის მოსახლეობის უმრავლესობას წლების განმავლობაში სწორედ სომხები წარმოადგენდნენ. ეთნიკური უმცირესობების ღვაწლი/როლი დაფარულია აზერბაიჯანელებისა და სხვა ეთნოსების შემთხვევაშიც.

კულტურული მრავალფეროვნების აღწერა შემოთავაზებულია ასევე დომინანტი პოზიციით: სახელმძღვანელოს მე-7 ნაწილში აღწერილია მატერიალური კულტურისა და ტრადიციების გეოგრაფია შემდეგ თემებში: ხალხური არქიტექტურა, ხალხური კულტურა, ჩაცმულობის გეოგრაფია, სამზარეულო და სუფრის ტრადიციები, რიტუალების გეოგრაფია. არცერთი თემა არ შეიცავს ტექსტობრივ თუ ვიზუალურ ინფორმაციას საქართველოში კულტურული მრავალფეროვნებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. ქართული სამზარეულო, ფოლკლორი, ტანისამოსი აღწერს და ახასიათებს მხოლოდ ეთნიკურ ქართველებს.

ხალხური ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების აღწერას შორის განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ქრისტიანულ რელიგიურ რიტუალებს. ეთნიკური უმცირესობების არცერთი რიტუალი თუ დღესასწაული არ არის მოხსენიებული და ილუსტრირებული, მაგალითად:

საქართველოს თითქმის ყველა სოფელს თავისი რელიგიური დღეობა აქვს: ამ სახალხო რელიგიურ დღესასწაულზე, გარდა საეკლესიო წირვა-ლოცვისა, იმართებოდა სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და რელიგიური დღეობები: ლაშარობა, ლომისობა, ათენგენობა, მცხეთობა, ალავერდობა, თელეთობა (გვ. 207).

[72] ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, „რა უნდა ვიცოდეთ ეთნიკური აზერბაიჯანელების შესახებ“, 2020, ხელმისაწვდომია: https://www.tdi.ge/ge/page/ra-unda-vicodet-tanamokalake-etnikuri-azerbaijanelebis-shesaxeb.

გენდერული ნიშნით ქალისა და კაცის განსხვავებულად წარმოდგენა

სახელმძღვანელოს ერთ-ერთ სექციაში „პერსონა“ მოცემულია ბიოგრაფიული ცნობები საქართველოში გეოგრაფიის სფეროს განვითარებაში განსაკუთრებული ღვაწლის მქონე პიროვნებების შესახებ. სულ წარმოდგენილია 40 პერსონა, მათგან არცერთი არ არის ქალი. შესაძლოა, ფიზიკური გეოგრაფიის შემსწავლელ სფეროებში 20 ან მეტი გამორჩეული ქალი არც იყოს, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ სახელმძღვანელოში, გარდა ფიზიკური გეოგრაფიისა, სოციალური, ეკონომიკური და კულტურის გეოგრაფიაც შედის, ამ მიმართულებით მომუშავე და წარმატებული ქალების შესახებ ცნობების მოძიება პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს.

გარდა ამისა, სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის სახელმძღვანელოების მსგავსად, ამ შემთხვევაში ავტორები არ იყენებენ შესაძლებლობას გენდერულ ჭრილში განიხილონ ისეთი საკითხები, როგორიცაა: ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულობა, განსხვავება შრომის ანაზღაურებაში, ქვეყნის დემოგრაფიული დინამიკა, მათ შორის, სელექციური აბორტის ჭრილში, რაც ახალშობილთა შორის ვაჟების რაოდენობის სიდიდის ერთ-ერთი მიზეზია (გვ. 129), მიგრაციული პროცესები, განათლებაში ჩართულობა.

ადამიანის უფლებების ინტეგრირებული სწავლება

ადამიანის უფლებების ჭრილში განხილული და აღწერილი არ არის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მნიშვნელოვანი თემები, პრობლემები და ფაქტები, მაგალითად: ზოგადი განათლების შესახებ საუბრისას აღნიშნულია, რომ საქართველოში განათლების მიღება 6 ენაზე ხორციელდება და ასევე, სხვადასხვა სოციალური თუ ეკონომიკური პირობების გამო, სასკოლო ასაკის ბავშვების გარკვეული ნაწილი საერთოდ არ დადის სკოლაში (გვ 195). კარგი იქნებოდა ამ მონაცემების რიცხობრივი წარმოდგენა და განათლების შეზღუდვის შესაძლო მიზეზების განხილვა, როგორიც შეიძლება იყოს: ბავშვთა შრომა, ნაადრევი ქორწინება, სახელმწიფო ენის არცოდნა, ოჯახური ძალადობა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების ქონა და სხვ. სასურველია, უმაღლეს განათლებასა და ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულობა წარმოდგენილი იყოს გენდერულ და ეთნიკურ ჭრილში, რაც მკაფიოდ გამოკვეთდა, მაგალითად, ეთნიკური უმცირესობების წინაშე მდგარ გამოწვევებს.

დისკუსია კვლევის შედეგების შესახებ

კვლევის ფარგლებში გავაანალიზეთ გრიფირების არსებულ მოდელთან დაკავშირებული ის გამოწვევები, რომლებიც გრძელვადიან პერიოდში დიდ გავლენას მოახდენს სახელმძღვანელოების ხარისხზე, მათ შორის, ადამიანის უფლებების სწავლებისა და ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კუთხით.

სახელმწიფოსა და სკოლას შორის სახელმძღვანელოების შერჩევის პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების არათანაბარი განაწილება

საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სრულად ან ნაწილობრივ დეცენტრალიზებულ სისტემებში სახელმძღვანელოების შერჩევის უფლებამოსილება დელეგირებულია სკოლისა და მუნიციპალიტეტის დონეზე, ხოლო ცენტრალური ხელისუფლება პასუხისმგებელია სასწავლო პროგრამების განახლებაზე, რაც სახელმძღვანელოს მომზადების საფუძველია.

რაც შეეხება ცენტრალიზებულ სისტემას, რომელსაც საქართველო მიეკუთვნება, სახელმძღვანელოს შესახებ ყველა გადაწყვეტილება მიიღება ცენტრის მიერ, სკოლების როლი მინიმალურია ან საერთოდ არ იკვეთება. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების ამგვარი განაწილება, გარდა პროცესში სკოლის როლის დაკარგვისა, განაპირობებს იმასაც, რომ სახელმძღვანელოს ხარისხზე ერთადერთ პასუხისმგებელ რგოლად სახელმწიფო გვევლინება.

ჩვენს შემთხვევაში სახელმწიფო თავად ქმნის მოთხოვნას სახელმძღვანელოებზე, განსაზღვრავს ხარისხის სტანდარტს, აფასებს, არჩევს და არეგულირებს მის მიწოდებას. სკოლის დონეზე გადაწყვეტილების მიღება და მასწავლებლების ჩართულობა სახელმძღვანელოების შეფასების პროცესში მინიმალურია. სკოლები იღებენ უკვე არჩეული წიგნების სიას და ამ სიიდან მხოლოდ ერთს ირჩევენ, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში არჩევანის გაკეთების საშუალება არ აქვთ. აღნიშნული განაპირობებს, რომ სკოლის დონეზე გადაწყვეტილების მიღება ზოგჯერ ფორმალური ხასიათისაა და ამასთან, მასწავლებლები უფრო ხშირად უკმაყოფილოები არიან „სახელმწიფოს მიერ“ შერჩეული სახელმძღვანელოების ხარისხით, ვიდრე კმაყოფილები.

სახელმძღვანელოების შერჩევა-შეფასების პროცესში მასწავლებლებისა და სკოლის როლის ზრდა წიგნების ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია. ამიტომ გამართლებულია მიმდინარეობდეს განგრძობითი ხასიათის მუშაობა მასწავლებლებისა და სკოლის მენეჯმენტის კომპეტენციების გაზრდის, ასევე ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერის კუთხით. აუცილებელია სკოლის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, რათა შესაძლებელი გახდეს პროცესების სკოლის დონეზე გადატანის შესაძლებლობების ანალიზი და ამ მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვა გრძელვადიანი პერიოდისთვის.

შეფასებაზე ორიენტირებული მოდელის გავლენა სახელმძღვანელოების ხარისხის გაუმჯობესებაზე

კვლევის შედეგების ანალიზი სახელმძღვანელოს ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტში აჩვენებს, რომ ძირითადი გამოწვევები წიგნების შექმნის პროცესთან მეტად არის დაკავშირებული, ვიდრე შეფასებასთან.

აღნიშნული შეიძლება აიხსნას იმ დაშვებით, რომ სახელმძღვანელოების ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგია გრიფირების არსებული მოდელის შემთხვევაში უფრო მეტად ორიენტირებულია საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, ვიდრე წიგნის შექმნის პროცესზე.

პროცესზე ორიენტირებულ მიდგომაში ვგულისხმობთ, რომ სისტემა ფოკუსირებულია სახელმძღვანელოების შექმნის პროცესზე, სხვადასხვა მხარდამჭერი მექანიზმის გზით ხელს უწყობს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას და მათ დახვეწას შესაფასებლად წარდგენამდე. პროდუქტზე ორიენტირებული მიდგომა კი აქცენტს აკეთებს წიგნზე, როგორც მზა პროდუქტზე და ხარისხის გაუმჯობესების ძირითად მექანიზმად შეფასების სისტემის პირობების, პროცედურისა და სტანდარტის გაუმჯობესებას მოიაზრებს. ორივე მიდგომას აქვს თავისი ნაკლოვანება და უპირატესობა.

პროცესზე ორიენტირებული მიდგომა მოითხოვს უფრო მეტ ინვესტირებას ისეთ მხარდამჭერ მექანიზმებში, როგორიცაა: ავტორებისა და გამომცემლობების გადამზადება, საჯარო განხილვის ორგანიზება, რეცენზირება პროცესში, შესაძლო პილოტირების ხარჯი და სხვა. ასევე, პროცესი უფრო ხანგრძლივია, რაც შემაფერხებელი შეიძლება იყოს პარალელურად მიმდინარე პროგრამებისთვის, მაგალითად, მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამისთვის.

მეორე მხრივ, მიდგომის ძირითადი უპირატესობა არის ის, რომ სახელმძღვანელოს მოსალოდნელ და რეალურ ხარისხს შორის ნაკლები განსხვავებაა, ვინაიდან წერის პროცესში ავტორებისათვის უფრო მკაფიოა

მათ მიმართ არსებული მოთხოვნები, ხოლო კონცეპტუალური ცვლილებების განხორციელება შედარებით მარტივი და რეალისტურია.

პროდუქტის შეფასებაზე ორიენტირებული მიდგომის შემთხვევაში ინვესტირება დიდწილად ხორციელდება სახელმძღვანელოების შეფასების პროცესის დახვეწაში. ეს მიდგომა, ერთი მხრივ, უფრო ხარჯეფექტიანია და, ამასთან, მეტად იძლევა შეზღუდულ ვადებში მუშაობის საშუალებას (მიუხედავად საბოლოო შედეგისა). მეორე მხრივ, ამგვარი სისტემის შემთხვევაში უფრო დიდია კომპრომისების რისკი, ვინაიდან შეფასების პროცესში სახელმძღვანელოს კონცეპტუალური ცვლილება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

2018-2019 წლებში გრიფირების წესში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა, რამაც, ერთი მხრივ, სახელმძღვანელოების ხარისხის სტანდარტი გაზარდა (მაგ: შინაარსობრივი შეფასების მინიმალურმა ზღვარმა 90%-მდე აიწია) და, მეორე მხრივ, პროცესი უფრო ღია გახდა დაინტერესებული მხარეებისთვის (მაგალითად, შეფასების პროცესში მონაწილეობის საშუალება მიეცათ სახალხო დამცველის მიერ წარდგენილ სპეციალისტებს). შეფასების სისტემის დახვეწა თავისთავად აუცილებელი პირობაა, თუმცა თუ გრიფირების ყოველ შემდგომ ეტაპზე სტრატეგია სახელმძღვანელოების შექმნის პროცესის მხარდაჭერაზე არ იქნება ორიენტირებული, მივიღებთ უკვე ნაცნობ სიტუაციას, როდესაც მაღალი სტანდარტით დაბალი ხარისხის სახელმძღვანელოებს შორის უკეთესის არჩევა მოგვიწევს.

არასწორია მსჯელობა, რომ სისტემა მხოლოდ ერთი ან მეორე სტრატეგიით უნდა მუშაობდეს. უფრო მართებულია იმის თქმა, რომ შეფასების სტანდარტის გამკაცრებას უნდა მოჰყვებოდეს სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესის განვითარება ავტორების, რედაქტორების და სხვა დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერისა და მათ შორის თანამშრომლობის გაძლიერების გზით.

სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობის პოლიტიკის გავლენა სახელმძღვანელოების ხარისხზე

საქართველოში სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელია მოსწავლეებისა და მასწავლებლების წიგნებით უზრუნველყოფის პროგრამა. ის 2013 წელს ამოქმედდა და მინიმუმამდე შეამცირა ამ კუთხით შინამეურნეობის მიერ გაწეული ხარჯები. მეორე მხრივ, სამინისტრომ სალიცენზიო ხელშეკრულების საფუძველზე თავად დაბეჭდა წიგნები. შედეგად, დაზარალდნენ მცირე და ამ ნიშაზე მომუშავე გამომცემლობები, შეიცვალა სახელმძღვანელოების ბაზრის სტრუქტურა.

ეს პროგრამა დღესაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც გრიფირების პროცესის წარმართვაზე, ასევე სამინისტროსა და საავტორო უფლებების მფლობელებთან ურთიერთობაზე.

სახელმწიფო შესყიდვების რთული ბიუროკრატიული მექანიზმი გარკვეულწილად განსაზღვრავს გრიფირების კონკურსის გამოცხადებისა და დასრულების ვადებს. შესაბამისად, დაჩქარებული წესით და შეზღუდულ ვადებში მიმდინარეობს როგორც სახელმძღვანელოების შექმნის, ასევე შეფასებისა და შერჩევის პროცესი. სახელმწიფო შესყიდვების პრინციპი მოქმედებს სახელმძღვანელოების საბოლოო ქულის გამოთვლაზეც, მიუხედავად იმისა, რომ ფასის წილი საბოლოო ქულის გამოთვლაში 2019 წლიდან 5%-ს არ აღემატება.

მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ 2018-2019 წლებში ლიცენზიის პირობები გადაიხედა და ავტორების მისაღები ჰონორარი გაიზარდა, საავტორო უფლებების საკითხი დღემდე რჩება სამინისტროსა და გამომცემლობებს შორის დისკუსიის საგნად, ვინაიდან ამ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ნდობა სამინისტროს მიმართ დაბალია.

იმისათვის, რომ სახელმძღვანელოების უზრუნველყოფის პროგრამამ და გრიფირების პროცესმა სრულფასოვნად იმუშაოს, აუცილებელია ბიუროკრატიული მექანიზმის იმგვარად დაგეგმვა, რომ შესყიდვების პროცესი არ წარმოადგენდეს გრიფირების პროცესის ნაწილს, რაც ვადების დარეგულირებისა და გაზრდის შესაძლებლობას გააჩენს. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია გადაიხედოს საავტორო უფლებების გადაცემის საკითხი, რათა ეს უკანასკნელი აღარ იქცეს პოლიტიკური ან სხვა მიზნების განხორციელების მექანიზმად.

სახელმძღვანელოებში ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრა და ადამიანის უფლებების სწავლების ხელშეწყობის შესაძლებლობების ანალიზი

ადამიანის უფლებების სწავლების კონტექსტში სახელმძღვანელოების შეფასების მექანიზმის, ასევე თავად სახელმძღვანელოების კონტენტ-ანალიზის შედეგები აჩვენებს, რომ ამ მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა დგას სისტემის წინაშე.

თანასწორობის, მრავალფეროვნების, ადამიანის უფლებების საკითხებზე მუშაობის პროცესში, პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვანია იმ ადამიანების დამოკიდებულება და პრობლემის იდენტიფიცირების კომპეტენცია, რომლებიც ქმნიან, აფასებენ და იყენებენ სახელმძღვანელოს.

მეორე და არანაკლებ საყურადღებოა თანასწორობის საკითხების სახელმძღვანელოში ასახვის მიზნის, მექანიზმებისა და მნიშვნელობის სათანადოდ წარმოჩენის პრობლემა. კვლევის პროცესში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ განსაკუთრებით მგრძნობიარე თემების სახელმძღვანელოებში ასახვის ირგვლივ არსებული დისკუსია ზოგიერთ შემთხვევაში პრობლემის შინაარსს უტრირებულად და ზედაპირულად წარმოადგენს. ამის ნათელი მაგალითია სქესთა საკითხების თანასწორი ასახვის პრობლემა. კერძოდ, სახელმძღვანელოებში სქესთან თანასწორის ასახვის საკითხმა შეიძინა კონტექსტი, რომლის მიხედვითაც პრობლემა ქალის და კაცის რაოდენობების (მათ შორის, ავტორთა შემადგენლობის) გათანაბრებაა. ამ შემთხვევაში უგულებელყოფილია პრობლემების გააზრების კომპონენტი და ქალების და კაცების მოხსენიების რაოდენობის შედარების მიზანიც.

მსგავსი ტენდენცია განსაკუთრებით ხშირად შეინიშნება ზოგადად გენდერული საკითხების გაშუქების მიმართ, მაგალითად, პრობლემის უტრირებისა და კონტექსტის დამახინჯების ფაქტია სექსუალური შევიწროების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის პროცესში საჯარო დისკუსიის წარმართვა „მიშტერების“ საკითხის ირგვლივ. საკითხის უტრირების, ცვლილებების რეალური შინაარსისა და მიზნის დაზარალების გარდა, აღნიშნულმა ფაქტმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საზოგადოებაში სექსუალური შევიწროების შესახებ არსებული სტიგმების კიდევ უფრო გაძლიერებას.

საგულისხმოა, რომ სახელმძღვანელოებში რელიგიურ-ეთნიკურ თემაზე მომზადებული ტექსტების ნაწილი რიგ შემთხვევაში არანეიტრალური ენით და მიკერძოებულად არის აღწერილი, ან პირველ პირშია მოწოდებული და მიემართება მხოლოდ ეთნიკურად ქართველებს, სხვა ეთნოსებთან ურთიერთობის აღწერა კი მხოლოდ „ჩვენ“ დომინანტურ ეთნოსთან თუ რელიგიურ ჯგუფთან დაპირისპირების, გაუცხოების კონტექსტშია განხილული. ყოველივე ეს ხელს უშლის უმცირესობების წარმომადგენლების მიერ თავის თანასწორ და სრულუფლებიან მოქალაქედ აღქმას, ასევე, ქმნის რისკს, რომ სახელმწიფო აღქმული იყოს, როგორც ერთი ეთნოსის [ქართველების] და ერთი რელიგიური აღმსარებლობის [მართლმადიდებლების] საკუთრებად.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ სახელმძღვანელოზე მუშაობის და მისი შეფასების პროცესში ადამიანის უფლებებისა და მრავალფეროვნების ასახვის კუთხით განსახორციელებელი ნებისმიერი ცვლილების კონტექსტი და პრობლემის სიღრმე სათანადოდ იქნეს გააზრებული ყველა მხარის მიერ. ამასთან, მასწავლებლების ტრენინგებისა თუ სახელმძღვანელოს შეფასების პროცესში მკაფიოდ უნდა იყოს განმარტებული, რომ ქალისა და კაცის რაოდენობის დათვლა, ისევე როგორც ეთნიკურ-რელიგიური ან სხვა ნებისმიერი ნიშნით წარმოდგენილი სუბიექტების რაოდენობრივი შედარება, არის ინსტრუმენტი პრობლემის ანალიზისთვის და არა პროცესის თვითმიზანი.

დაბოლოს, 2018 წელს გრიფირების პროცესში შეფასების ეტაპზე ჩართულები არიან სახალხო დამცველის აპარატის მიერ წარდგენილი სპეციალისტები, რამაც ყველა მხარის შეფასებით დადებითი გავლენა იქონია სახელმძღვანელოების გაუმჯობესებაზე. გამოწვევად რჩება სპეციალისტების მიერ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული ცვლილებების მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი და ასახვის პროცედურა. 2018-2019 წლის გრიფირების კონკურსის გამოცდილებაზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, თუ რა საკითხებზე ექნებათ ადამიანის უფლებების ექსპერტებს გადაწყვეტილების ექსკლუზიური მიღების უფლებამოსილება და რა შემთხვევაში იქნება საჭირო საბჭოს ან საბჭოს ცალკეული წევრების მიერ ცვლილებების მართებულობაზე თანხმობის მიღება.

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის ყველა კომპონენტის ფარგლებში მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სახელმძღვანელოებში თანასწორობის პრინციპების ასახვის, ადამიანის უფლებების სწავლების გაძლიერებისა და, შესაბამისად, ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიმართულებით არსებული გამოწვევები დაკავშირებულია როგორც ღირებულებების სისტემასთან, ასევე პროცესების მართვისა და გადაწყვეტილების მიღების ძირითად პრინციპებთან.

თანასწორობისა და მრავალფეროვნების, როგორც ფუნდამენტური ღირებულებების არასათანადოდ გაცნობიერება, ასევე ავტორების დამოკიდებულებები საკითხის მიმართ სახელმძღვანელოს შინაარსში აისახება როგორც პირდაპირ, ასევე ირიბად. მეორე მხრივ, რაც უფრო გავრცელებულია ესა თუ ის სტერეოტიპული წარმოდგენა საზოგადოებაში, მით უფრო რთულია პრობლემების იდენტიფიცირება როგორც სახელმძღვანელოს შეფასების, ასევე სწავლების პროცესში, მასწავლებლის მიერ. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილია, განათლების პოლიტიკის ძირითად ქვაკუთხედს წარმოადგენდეს მასწავლებლების, ავტორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლება ამ მიმართულებით, რათა დროთა განმავლობაში სახელმძღვანელოების აგება თანასწორობის პრინციპზე იქცეს გააზრებულ და გაზიარებულ აქტად და არ დარჩეს თავსმოხვეულ ვალდებულებად.

სწავლა-სწავლების პროცესში ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესაძლებლობაზე დიდ გავლენას ახდენს არა მხოლოდ განათლების, არამედ სახელმწიფო პოლიტიკა. ამიტომ კარგი იქნება, არსებობდეს გაზიარებული და შეთანხმებული პოზიცია სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე ადამიანის უფლებების დაცვისა და მრავალფეროვნების საკითხების ირგვლივ. ტოლერანტობა და ინტერკულტურული მგრძნობელობა წარმოადგენს როგორც საჯარო რიტორიკის, ასევე გადაწყვეტილებების მიღების ერთ-ერთ ძირითად და უალტერნატივო პრინციპს, რაც გრძელვადიან პერიოდში სახელმძღვანელოების შეფასების ნაწილზეც აისახება და ადამიანის უფლებების სწავლებასთან დაკავშირებით რაიმე ტიპის კომპრომისის დაშვებას გამორიცხავს.

კვლევის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები ეყრდნობა სახელმძღვანელოების შექმნის საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის ანალიზს, თვისებრივი კვლევის ფარგლებში მიღებულ უკუკავშირს, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციებს.

რეკომენდაციები წარმოდგენილია 4 ძირითად ბლოკად, შეეხება სახელმძღვანელოების შემუშავების, შეფასების, დამტკიცების პროცესებს და ყველა ეტაპზე ადამიანის უფლებების საკითხების სათანადოდ ასახვას. რეკომენდაციების მთავარ ადრესატს წარმოადგენს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სახელმძღვანელოების შემუშავების, შეფასებისა და დამტკიცების პროცესში ჩართულ სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად.

რეკომენდაციები სახელმძღვანელოების შემუშავების პროცესის გაუმჯობესებისთვის

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების დეპარტამენტმა ავტორებისა და გამომცემლობებისთვის უნდა უზრუნველყოს სახელმძღვანელოს შედგენისა და ადაპტირების კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობების შექმნა. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან სახელმძღვანელოს ადაპტირების პროცესში არსებული გამოწვევების დასაძლევად.
- სახელმძღვანელოზე მუშაობის, შეფასებისა და არჩევის პროცესის ვადები იმგვარად უნდა გახანგრძლივდეს, რომ ავტორებს ერთი კლასის წიგნებზე სამუშაოდ მიეცეთ არანაკლებ 6-თვიანი ვადა, ხოლო მათი კონცეფციის მომზადების, წარდგენისა და უკუკავშირის მისაღებად - დამატებით ერთთვიანი ვადა. იმ შემთხვევაში, თუ პროცესი მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების პროცედურიდან გამომდინარე ფერხდება, ეს უკანასკნელი ტექნიკური პროცესის სახით გრიფირების პროცესისგან უნდა განცალკევდეს.
- გრიფირების არსებული პრაქტიკისა და მასთან დაკავშირებული გამოწვევების ანალიზის საფუძველზე, მართებულია, შენარჩუნდეს ერთი კლასის სახელმძღვანელოს გრიფირების წესი საბაზო საფეხურის ზოგიერთი და საშუალო საფეხურის სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში.
- აუცილებელია, გადაიხედოს და შეიცვალოს მასწავლებლის სახელმძღვანელოს კონცეფცია და ის იქცეს დამხმარე მეთოდური და პრაქტიკული რესურსების კრებულად, რომელიც გააერთიანებს სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა მიზნით (შეფასება, უკუკავშირი, ახალი თემის ახსნა) პრაქტიკულ ინსტრუმენტებსა და რჩევებს, ასევე, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის სწორად გააზრებისა და სწავლა-სწავლების პროცესში გასათვალისწინებელ ძირითად, მეთოდური ხასიათის რეკომენდაციებსა და გამოსაყენებელ ონლაინ რესურსებს. ონლაინ რესურსების კომპონენტების გაძლიერება მნიშვნელო-

ვანი დახმარება იქნება, ერთი მხრივ, დისტანციური სწავლების დროს შექმნილი რესურსების თავმოყრის და, მეორე მხრივ, ტრადიციულ სასწავლო პროცესში ონლაინ რესურსებისა და სხვადასხვა დამხმარე პლატფორმების გამოყენების მიზნით. სასურველია, რომ მასწავლებლის წიგნი ყველა სკოლამ მიიღოს როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ვერსიის სახით.

რეკომენდაციები სახელმძღვანელოების შეფასების/შერჩევის პროცესის გაუმჯობესებისთვის

- მნიშვნელოვანია, რეცენზირების ეტაპის დაწყებამდე შეფასების პროცედურა დეტალურად გაიწეროს და უზრუნველყოფილი იყოს, რათა საბჭოს ყველა რეცენზენტისთვის მკაფიო გახდეს გადაწყვეტილების მიღების პრინციპები და წესი. ასევე, რეცენზენტების შერჩევის პროცესში ჩაერთონ სამინისტროსგან დამოუკიდებელი სპეციალისტები და ექსპერტები, მკაფიოდ განისაზღვროს რეცენზენტის შერჩევის კრიტერიუმები.
- სკოლის დონეზე ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით, აუცილებელია მასწავლებლების მიერ სახელმძღვანელოების არჩევამდე მომზადდეს რეცენზიები ყველა შესარჩევი ერთეულისთვის, რაც უფრო მკაფიოდ გამოკვეთს წიგნების ძლიერ და სუსტ მხარეებს. რეცენზიები წარედგინოს სკოლებს სკოლის დონეზე სახელმძღვანელოების არჩევის ეტაპამდე.
- სასურველია, მომზადდეს ვიდეო გზამკვლევი მასწავლებლებისთვის, სახელმძღვანელოების შეფასების ძირითადი კრიტერიუმების გააზრებისა და შეფასების ტექნიკების შესახებ.

რეკომენდაციები პროცესის მართვის და მონიტორინგის სისტემის გაძლიერებისთვის

- სახელმძღვანელოს შემუშავების, შეფასებისა და დამტკიცების პროცესის ეფექტიანი მართვისთვის მნიშვნელოვანია: დაიწყოს მონაცემების შეგროვება სკოლის დონეზე წიგნის შეფასებასთან, შერჩევასა და გამოყენებასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ; შეიქმნას ღია ელექტრონული სისტემა, რომლის მისამართი განთავსდება ყველა სახელმძღვანელოს შიდა ყდაზე და რომელიც საშუალებას მისცემს მასწავლებელს, მშობელს, მოსწავლეს, დირექტორს და სხვა დაინტერესებულ მხარეს, დაარეგისტრიროს მათში აღმოჩენილი ხარვეზები.

რეკომენდაციები სახელმძღვანელოების თანასწორობის პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის

- მნიშვნელოვანია, ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებისა და ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის მიერ, სახელმძღვანელოების თანასწორობის პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ავტორებისა და რეცენზენტებისთვის მომზადდეს გზამკვლევი ეთნიკური, რელიგიური, გენდერული საკითხების ინკლუზიური ასახვის ძირითადი პრინციპების შესახებ. გზამკვლევი უნდა შეიცავდეს პრაქტიკულ მაგალითებს და წარმოადგენდეს უკუკავშირს ყველაზე ხშირად დაშვებულ შეცდომებზე. სასურველია, გზამკვლევთან ერთად შემუშავდეს განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც გააერთიანებს თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და ადამიანის უფლებების სწავლების კონტექსტში სახელმძღვანელოებში ყველაზე ხშირად გამოყენებული ტერმინების/კონცეფციების თანამედროვე და ინკლუზიურ განმარტებებს.
- მიზანშეწონილია, რეცენზენტების კომპეტენციებისა და საკითხისადმი მგრძნობელობის გაზრდის, ასევე მრავალფეროვნებისა და ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით დაიგეგმოს კონსულტაციები/ვებინარები, ონლაინ/პირისპირ ტრენინგები, რომლებიც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ მხარეებს, ამ საკითხებთან დაკავშირებული გამოწვევები გაიაზრონ.
- სახალხო დამცველის აპარატის მიერ წარდგენილ სპეციალისტებსა და საგნობრივ სპეციალისტებს შორის კონსტრუქციული და შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობის მიზნით, გამართლებულია ჩატარდეს ესგ-ისა და, შესაბამისად, სახელმძღვანელოების მომზადების ძირითადი პრინციპების შესახებ მცირე ვორქშოპი, რომელიც თემატურ სპეციალისტებს დაეხმარება საჭირო რეკომენდაციების ასახვა სახელმძღვანელოს აგების პრინციპებს დაუახლოონ.

დაბოლოს, კრიტიკულად მნიშვნელოვანია გრიფირების კონკურსში, შეფასების ეტაპზე მკაფიოდ გაიმიჯნოს ადამიანის უფლებების საკითხების შეფასებაში თემატური სპეციალისტებისა და საგნობრივი ექსპერტების უფლებამოსილება, მათ შორის, ის კრიტერიუმები, რომლებზეც „სხვა სპეციალისტს“ ექნება გადაწყვეტილების მიღების ექსკლუზიური უფლება. იმ შემთხვევაში, თუ რეცენზენტებს შორის კონკრეტული საკითხის ასახვაზე შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, რეკომენდაციები უნდა აისახოს სისტემაში და გაეცნოს ავტორს, როგორც არასავალდებულო.

კვლევის პროცესის ყველა ეტაპზე მკაფიოდ გამოიკვეთა სახელმძღვანელოების შესახებ ფართო და მონაწილეობითი დისკუსიის გამართვის საჭიროება. ამასთან, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ დისტანციური სწავლების სისტემის დანერგვამ ახალი გამოწვევები გააჩინა განათლების პოლიტიკის ყველა მიმართულებით. ამიტომაც გონივრულია, რომ არსებული გამოწვევების შესახებ სახელმძღვანელოების შემუშავების ახალი ციკლის დაწყებამდე დაიგეგმოს შეხვედრები და მასში მონაწილეობის საშუალება მიეცეს ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების, საგნობრივი და პროფესიული ასოციაციების, ადგილობრივი და საერთაშორისო გამომცემლობების წარმომადგენლებს.

კრიტერიუმი	კრიტერიუმის განმარტება
ინკლუზიური აღწერის კრიტერიუმები	
ფაქტების ობიექტური და მიუკერძოებელი აღწერა	▪ ინფორმაცია განსხვავებული ჯგუფების ისტორიის, ცხოვრების წესის, რწმენისა და წარმოდგენების, დამოკიდებულების შესახებ მოცემულია მიუკერძოებლად და ობიექტურად; ▪ კონკრეტული ჯგუფის მახასიათებლები არ არის განზოგადებული მთელ პოპულაციაზე; ▪ ფაქტები არ არის შეცვლილი ან/და გამოტოვებული; ▪ ტექსტები არ შეიცავს ბუნდოვან, უტრირებულ ან/და გაზვიადებულ მტკიცებებს; ▪ დაცულია თხრობის აკადემიური სტილი.
ტერმინებისა და კონცეფციების მართებულობა და შესაბამისობა	▪ ტერმინების/ცნებების განმარტებები სწორად არის მოცემული; ▪ ტერმინები კონტექსტისა და თემის შესაბამისია; ▪ სხვადასხვა ცნება-კონცეფცია, ფრაზა ხელს არ უწყობს სტერეოტიპების განმტკიცებას; ▪ ტერმინები, ფრაზები, ნაწარმოები ხელს არ უწყობს კულტურული, გენდერული, ეთნიკური, რელიგიური სტერეოტიპების განმტკიცებას.
დიზაინის, ილუსტრაციების, სხვა ვიზუალური მასალის ნეიტრალური წარმოდგენა	▪ წარმოდგენილი ილუსტრაციები არ არის დისკრიმინაციული, მიკერძოებული ან/და შეურაცხმყოფელი.

მრავალფეროვნების წარმოდგენისა და ტოლერანტობის კრიტერიუმები	
განსხვავებული ჯგუფების/ იდენტობის ობიექტური აღწერა	▪ ამა თუ იმ ჯგუფის აღწერა, დახასიათება არ იწვევს ნეგატიურ სტერეოტიპიზაციას; ▪ განსხვავებული ჯგუფი/იდენტობა სრულფასოვნად აღიარებულია, ყოველგვარი განმასხვავებელი ნიშნის მიუხედავად; ▪ განსხვავებულის შესახებ მსჯელობის შესაძლებლობა თანასწორუფლებიანობის კონტექსტში.
პერსონაჟების თანასწორი და მიუკერძოებელი წარმოდგენა	▪ წარმოდგენილი პერსონაჟები/გმირები/ისტორიული ფიგურები არ არიან გენდერული, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა ნიშნით მიკერძოებულად წარმოჩენილნი ან უგულებელყოფილნი; ▪ განსხვავებული სოციალური როლების აღწერისას გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები; ▪ აღწერა არ განამტკიცებს ეთნიკურ, რელიგიურ, გენდერულ სტერეოტიპებს.
ადამიანის უფლებების სწავლების კრიტერიუმები	
ადამიანის ფუნდამენტური უფლებების თანმიმდევრული სწავლება	▪ ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები თანმიმდევრულად და სრულფასოვნად არის წარმოდგენილი; ▪ ინდივიდისა და საზოგადოების როლისა და ურთიერთდამოკიდებულების შესახებ მსჯელობა ითვალისწინებს თანასწორობის პრინციპებს;
სოციალური, ეთნიკური, პოლიტიკური, კულტურული კონფლიქტების, დაპირისპირების აღწერაში ადამიანის უფლებების შესახებ მსჯელობა	▪ რადიკალიზმის, რელიგიური შეუწყნარებლობისა და ფუნდამენტალიზმის (შესაძლო) აღწერისას ადამიანის უფლებისა და თანასწორობის პრინციპების უგულებელყოფის კონტექსტში, გათვალისწინებულია ადამიანის უფლებების შესახებ მსჯელობა, მათ შორის, ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობა.